

178 /  
1990/2

ISSN 88



სამართველოს იურისტთა კავშირი

# სახელმწიფო და სამართალი

ნომერი 2:

10-90

ვიწყებთ დისკუსიას!



მიწის კანონმდებლობა: სიხლენი, პერსპექტივები



ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ



სამართლიანი სასამართლო

CIVITAS AC IUS

**სარედაქციო საბჭო:**

ვახტანგ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანტონ ბაბიანი, ოთარ გონაძე,  
შოთა გორგოძე, გივი ინჟირველი, აკაკი კარანაძე, ოთარ კაციტაძე,  
თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, დურგინუხან ლორია,  
გიორგი ნაღაკიშვილი, ნოდარ ნებერიძე, ვახტანგ რაჭმაძე, ჯუჯაბ რატიანი,  
ზრიგოლ კოინიშვილი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უგრეხელიძე,  
აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, რევაზ ყიფიანი, თამაზ შავჭულიძე,  
ვიქტორ შარაშენიძე, ალექსანდრე უშუანაშვილი, რამზეს ჩალაჭი,  
ირაკლი ჩიქოვანი, სერგო ჯორჯაძე.

მთავარი რედაქტორი  
**თევდორე ნინიძე**

**სარედაქციო კოლეგია:**

ნინო არსენაშვილი (ასუხისმგებელი მდივანი), გულა ბერძენიშვილი (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე), ოთარ ბაშკალიძე, რომანო ბილიბაშვილი, ავთანდილ  
დემეტრაშვილი, ვალერიან ედიშერაშვილი, მიხეილ გეგელია, გიგია ლეკვიშვილი,  
ალექსი კაკუაშვილი, თეიმურაზ სიღაშონიძე, ალექსანდრე ტალიაშვილი,  
ჯონი ხატურია, რუსუდან შველიძე, ჯონი ჯალაღანია.

ტექნიკური რედაქტორი გულნარა გოსურაშვილი.

# სახელმწიფო და საბარტოალი

სამეცნიერო-პრაქტიკული უშრნალი

გამოდის 1926 წლიდან

ოქტომბერი

10

1990

საძიებელი

საძიებელი

**კოზიცია**

ავტორიტეტის ძალა . . . . . 3

**ვიწუებათ დინსკუნიას**

გ. ტუაშელიაჟე — წერილი რედაქციას! . . . . . 6

**სიხსლენი კანონმდებლობაში**

ლ. კანტურია — მიწის კანონმდებლობა — მემკვიდრეობითობა და განვითარების ტენ-  
დენციები . . . . . 9

**თეორიის საძიებელი**

გ. ნაკუებია — პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიკოლოგი-  
ური დასაბუთების პრობლემა . . . . . 20

**დამნაზავოტის სოციოლოგია**

ა. გაბიანი — მეძავობა . . . . . 30

**კოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან**

გ. ნადარეშვილი — მილიუკოვი რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებათა  
შესახებ . . . . . 42

**ოფიციალური მასალა**

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ 46

**რეცენზია**

რ. შენგელია — საყურადღებო ნაშრომი . . . . . 67

ო. ზოიძე — გაცხადება სანუკუარი ოცნებისა . . . . . 70

**უცხოური იურიდიული კრმხა**

ლ. უაიშანი — სამართლიანი სასამართლო . . . . . 71

УКАЗАТЕЛЬ

Позиция

Сила авторитета . . . . . 3

Начинаем дискуссию

Ткешелнадзе Г. — Письмо редакции . . . . . 6

Новеллы в законодательстве

Чантурия Л. — Земельное законодательство — наследственность и тенденции развития . . . . . 9

Вопросы теории

Начкебия Г. — Проблема психологической обоснованности логической связи прямого умысла с наказанием . . . . . 20

Социология преступности

Габияни А. — Проституция . . . . . 30

Из истории политической мысли

Надареишвили Г. — Милюков об особенностях исторического развития России . . . . . 42

Официальный материал

Европейская конвенция о защите прав и основных свобод человека . 46

Рецензия

Шенгелия Р. — Примечательная работа . . . . . 67

Зондзе О. — Сбылась желанная мечта . . . . . 70

Зарубежная юридическая пресса

Уайман Л. — Справедливый суд . . . . . 71



© „საბჭოთა სამართალი“, 1990 წ.

რედაქციის მისამართი: 380110, თბილისი, დავით აღმაშენებლის კვ. 103.

ტელ. 05-88-40, 05-58-87

გადაეცა წარმოებას 17. 09, 90 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად № 11, 90 წ.

ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი

ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 2026.

ტირაჟი 24.000

საქ. კვ ტყ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.

თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

## საბჭოთაების კალა

ქართული კონგრესის არჩევნები ჯერ არ დამთავრებულა. ახლოვდება უზენაესი საბჭოს არჩევნებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ არჩევნებში როგორც ერთს, ისე მეორეს. განსხვავება ამომარჩეველთა რიცხოვნობაში. ალბათ ხელს არ შეუშლის კონგრესის ერთგვარ საზოგადოებრივ აღიარებას, ლეგიტიმაციას. ხალხის მანდატის მოპოვებით კონგრესის უშუალო გავლენა გაცდება მის მხარდაჭერ პოლიტიკურ პარტიებს. იგი უაღიბდება როგორც საზოგადოებრივი ანუ საჯარო წარმომადგენლობითი ორგანო.

საკოვეტოების პრინციპის საფუძველზე არჩეული ორი წარმომადგენლობითი ორგანოს მოხალოდნელი არსებობა საზოგადოებრივობამ კანონზომიერად დაუკავშირა ხელისუფლების საკითხს. კითხვა — ხომ არ ექმნება ორხელისუფლებიანობის საფრთხე, საფუძველს მოკლებული როდია. კონგრესის სამართლებრივი სტატუსი, ადგილი პოლიტიკურ სისტემაში ჯერ განსაზღვრული არ არის.

პოლიტიკურ სისტემაში კონგრესის ადგილის დასადგენად არსებითია ხელისუფლებასთან მისი მიმართების საკითხის გარკვევა. ხალხის მანდატი კონგრესს არაფორმალური, ფაქტობრივი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საჯარო ხელისუფლებას ანიჭებს. საჯარო ხელისუფლება წოვალად ორი სახის შეიძლება იყოს: სოციალური და პოლიტიკური. როგორც ერთი, ისე მეორე არის უნარი — ადამიანების ქცევა დაუმორჩილოს ხალხის ნებას. ამასთან, საჯარო ხელისუფლების ამ ორ სახეს შორის პრინციპული განსხვავებაა. თუ სოციალური ანუ წმინდა საზოგადოებრივი ხელისუფლება ხალხის ნებას სპეციალური აპარატის, პოლიციის, ჯარის, ციხეების დაუმარებლად ახორციელებს, პოლიტიკური ანუ სახელმწიფო ხელისუფლება ასეთი აპარატის გარეშე ვერ იარსებებს.

სამართლებრივი თვალსაზრისით, მომავალი კონგრესი შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალური ხელისუფლების სუბიექტი. ხალხის მანდატის მიუხედავად მას ვერ ექნება პოლიტიკური ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი უფლებამოსილება. კერძოდ, რაკი ფიზიკური იძულების უნარი სახელმწიფო

52561

სამართლებრივი  
მეცნიერული  
ბიბლიოთეკა



ხელისუფლების მონოპოლია, ორგანიზებული ძალის გამოყენება მხოლოდ შეუძლია.

ამდენად, კონგრესის მიერ საქარისო ფორმირების მსგავსი წარმონაქმნების გამოყენება ეწინააღმდეგება პოლიტიკური ხელისუფლების, საქართველოს სინამდვილეში — უზენაესი საბჭოს სუვერენულობას.

მომავალი კონგრესი, მისი მხარდამჭერი პარტიების განცხადებით, მიჩნეულია როგორც ეროვნული მოძრაობის კოორდინატორი. ეროვნული მოძრაობა სახალხო მოძრაობაა, კოორდინაცია — ხელმძღვანელობის ერთ-ერთი სახე, რაც ფორმალური თვალსაზრისით შესაძლოა გამოიხატოს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის აქტებში. ეს აქტები სახელმძღვანელოა მხოლოდ მათთვის, ვინც აქტების დებულებებს იზიარებს. კონგრესის აქტებს არ გააჩნიათ იურიდიული, ესე იგი საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობა, რაც მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების აქტების ნიშანთვისებაა. უფრო მეტიც, კონგრესის აქტები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ უზენაესი საბჭოს აქტებს, რადგან იურიდიული უზენაესობა პოლიტიკური ხელისუფლების თვისებაა.

ამდენად, ადამიანებზე კონგრესის ზემოქმედების ერთადერთი იარაღი არის მისი ავტორიტეტი. თუ ძალის ავტორიტეტი პოლიტიკური ხელისუფლების ნიშანია, კონგრესი, როგორც საზოგადოებრივი ხელისუფლება, უნდა ემჯარებოდეს ავტორიტეტის ძალას. ვებერის ტერმინი რომ მოვიშველიოთ, კონგრესის გავლენა გვესახება როგორც ქარიზმატიული — უშუალო, ემოციური კავშირი ლიდერისა ადამიანებთან.

მომავალი კონგრესის უფლებამოსილებათა ასეთი შინაარსი განპირობებულია თვით სახალხო და პოლიტიკური სუვერენიტეტის ბუნებით. სახალხო სუვერენიტეტი ხალხის ნებაა, რომელიც აისახება პოლიტიკურ ხელისუფლებაში. ყოველი პოლიტიკური ხელისუფლება ხალხიდან უნდა ამოდიოდეს და ხალხს ეკუთვნოდეს. „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს“ — ნათქვამია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში. თუ ერთი ერთიანია, ერთიანია მისი პოლიტიკური სუვერენიტეტიც და პოლიტიკური ხელისუფლებაც. ერთ სახელმწიფოში ერთმანეთის გვერდით ორი სუვერენული ხელისუფლება ვერ იარსებებს.

პოლიტიკური ხელისუფლების ორგანო, ავი თუ კარგი, საქართველოს გააჩნია. მრავალპარტიული არჩევნების საფუძველზე იგი თვისებრივად იცვლება და იბრძვის უფლებამოსილებათა გაფართოების, სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. რაც მთავარია, საქართველოს ხალხს ქერქერობით პოლიტიკური ხელისუფლების არჩევნებისათვის ბოიკოტი არ გამოუცხადებია, ესე იგი ხალხი აღიარებს მომავალი უზენაესი საბჭოს პოლიტიკურ ავტორიტეტს. ამდენად, შინაარსობრივად დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნას მეორე სუვერენული პოლიტიკური ორგანო. ხალხის მიერ არჩეულ სხვა ორგანოს ექნება მხოლოდ სოციალური ხელისუფლების პრეტენზია, რადგან ხალხის, ისე როგორც პოლიტიკური ხელისუფლების სუვერენიტეტი ერთიანია და განუყოფელი.

განსხვავებული რამ შეიძლება მოხდეს მხოლოდ რევოლუციის დროს, რომელიც არ არის პოლიტიკური ბრძოლის სამართლებრივი ფორმა. საქართველოს თანამედროვე პარტიები არსებითად ბრძოლის სამართლებრივ ფორმებს აღიარებენ, რაც უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ბრძოლა პარლამენტში. საუბარია არა ბრძოლის მხოლოდ კანონიერ, არამედ სამართლებრივ ფორმებზე, რომელიც ემყარება საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს.

კონგრესის ჩატარებას წინ არ უძღოდა არა მხოლოდ ფორმალური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით ორი მნიშვნელოვანი მომენტი. პირველი, არჩევნების მიმართ საქართველოს ამჟამინდელ ოფიციალურ ხელისუფლებას სათანადო იურიდიული აქტით არ გამოუთქვამს საკუთარი ნება, რაც მისივე პრეროგატივის უფლებებელყოფაა. თუ ოპოზიციურ ძალებს მიაჩნდათ, რომ ხელისუფლების აზრი საყოველთაო არჩევნების ჩახატარებლად ანგარიშგასაწევი არ იყო, მაშინ არჩევნების მიზანშეწონილობის შესახებ უნდა ჩატარებულიყო, თუ რეფერენდუმი არა, მოსახლეობის საჯარო გამოკითხვა მაინც. მაგრამ გამოკითხვის ჩატარების შესახებ ხელისუფლებასვე უნდა მიეღო სათანადო აქტი. მეორე, ამომრჩეველთა კორპუსს ზუსტად უნდა სცოდნოდა იმ ორგანოს უფლებამოსილებანი, რომელსაც ირჩევდა, ესე იგი ხალხის მანდატს უნდა მისცემოდა მიზნობრივი დანიშნულება. ვთქვათ, როცა ირჩევენ დამფუძნებელ კრებას, წინასწარ ცნობილია, რომ მისი მიზანია კონსტიტუციის შემუშავება ან მიღება, რის შემდეგაც დამფუძნებელი კრების უფლებამოსილება წყდება; როცა ირჩევენ პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოს, წინასწარ არსებობს კონსტიტუცია, სადაც მოცემულია ამ წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებანი. სხვანაირად ხალხის ნება სრულყოფილად ვერ გაცხადდება.

ბუნებრივია კითხვა — იყო თუ არა აუცილებელი არჩევნები სოციალური ხელისუფლების მოსაპოვებლად? რაკი სოციალური ხელისუფლება ავტორიტეტს ემყარება, არჩევნების ჩატარება ნდობის მანდატის მოსაპოვებლად აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ ინდოეთის ეროვნული კონგრესი, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ედგა სათავეში, მსხვილი პოლიტიკური პარტია იყო და არა არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო. კონგრესმა არჩევნების გზით მანდატი ინდოეთის სრული განთავისუფლების შემდეგ მიიღო.

თედო ნინიძე.

## ნაჩილი რედაქციას!

ბატონო რედაქტორო! სულ ახლახან რუსულად გამოქვეყნდა ოთხასგვერდიანი წიგნი საკმაოდ მრავალსმეტყველი სათაურით „ქეშმარიტება... და ქეშმარიტება“ («Истина... и только истина». Пять бесед о судебно-правовой реформе, М., Юрид. лит., 1990). მრავალი მაგისი გარშემო გამართულა დიალოგი, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ იურიდიული გამომცემლობის რედაქტორს, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებსა და სწავლულ იურისტებს. მე არ შეეუდღებები დიალოგის მონაწილეთა თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებების განხილვას და შემოვიფარგლები მხოლოდ ერთ-ერთ მონაწილის, პროფ. ვ. ბასკოვის მოსაზრებით, რომელიც იურიდიული კადრების მომზადებას შეეხება.

ვ. ბასკოვი, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების მქონე იურისტთაგან დაახლოებით 40 პროცენტი (აქ ძირითადად იგულისხმებიან ისინი, რომლებმაც განათლება უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებზე მიიღეს) არ მუშაობს თავისი სპეციალობით და მათგან ბევრი საყოფაცხოვრებო მომსახურების მომმარაგებელია, სასტუმროში ადმინისტრატორი, მაღაზიაში გამყიდველი... დღეისათვის მრავალმა მათგანმა იურისტობას კოოპერატივაც კი ამჯობინა. ცნობილია, რომ ყოველწლიურად, პროკურატურაში განაწილებულთაგან დაახლოებით 150 კურსდამთავრებული არ ცხადდება სამუშაოზე, ხოლო მოგვიანებით ისინი მაინც იღებენ დიპლომებს.

ამის შემდეგ პროფ. ვ. ბასკოვს უთქვამს: „სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის საქმეში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე — ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის იურიდიული უზრუნველყოფის ხარისხი. მთლიანად, ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ 10 ათას კაცზე მოდის 16 იურისტი, როდესაც სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკებიდან გამოითხოვა 1990 წლისათვის მოსამზადებელ იურისტთა რაოდენობის მონაცემები, აღმოჩნდა, რომ კადრების საჭიროებას საქართველოში გადააჭარბებს 665 პროცენტით, ხოლო სომხეთში — 240 პროცენტით. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რესპუბლიკებშიც. აი, მონაცემები იურისტთა კადრების საჭიროების შესახებ მე-12 ხუთწლედისათვის. ამ დროისათვის საჭირო იქნება სულ 12.761 იურისტი: აქედან რუსეთისათვის — 9121, უკრაინისათვის — 1371, ამ პერი-



ოდში საქართველოს დაჭირდება 35 კაცი, სომხეთს — 38, ყირგიზეთს — 82, ესტონეთს — 89 და ა. შ. მე-13 ხუთწლედისათვის მოთხოვნა უფრო მცირეა. სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ ზოგიერთმა რესპუბლიკამ მოითხოვა მხოლოდ 3-4 იურისტი, ხოლო ზოგმა საერთოდ არც გააკეთა განაცხადი. საკითხავია, როგორ უნდა მოვექცეთ შემდგომში იმათ, რომლებიც დღეს უკვე სწავლობენ ამ რესპუბლიკების იურიდიულ სასწავლო დაწესებულებებში? ზომ ცნობილია, რომ საქართველოში ყოველწლიურად იღებენ 125 სტუდენტს (თბილისი და სოხუმი), სომხეთში — 125, აზერბაიჯანში — 250. უცვლელი რჩება მიღების გეგმები იმ რესპუბლიკებშიც, სადაც იურიდიული კადრების აშკარად „ჭარბწარმოებაა“. ხსენებულ რესპუბლიკათა სამართალდაცვით ორგანოებს ამდენი კურსდამთავრებული არც სჭირდებათ. სად უნდა წავიდნენ ისინი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ? ამაზე რატომღაც არავინ ფიქრობს. ამიტომ, იმ რეგიონების სტუდენტები, სადაც სახეზეა იურისტების „ჭარბწარმოება“, ვერ ხედავენ რაიმე პერსპექტივას, სპეციალობით იმუშაონ მშობლიურ რესპუბლიკაში, რაც შეეხება ციმბირში ან შორეულ აღმოსავლეთში წასვლას, ბევრი ამას ალბათ არც დათანხმდება. როგორც წესი, ისინი ისევ თავიანთ რესპუბლიკებში დამკვიდრდებიან და შეავსებენ უმუშევართა რიგებს ან მოეწყობიან კომუნალური მომსახურების სფეროში, ვაჭრობის სისტემაში გამყიდველებად და ა. შ. სხვათაშორის, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამართალდაცვით ორგანოებში ხშირად ტექნიკური თანამდებობები უკავიათ დიპლომიან სპეციალისტებს. აქ შეიძლება კანკელარიის მდივნად იბილოთ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე დიპლომიანი იურისტი, რომელიც მოთმინებით, თითქმის ხუთი ან ექვსი წელი ელოდება გამომძიებლის ან რაიონის პროკურორის თანაშემწის ვაკანსიას. განა ეს სახალხო სახსრების ფლანგვა არაა?! მხოლოდ ერთი იურისტის სწავლება სახელმწიფოს ზომ დაახლოებით სამი ათასი მანეთი უჯდება“ (გვ. 135-136).

ვ. ბასკოვი აქვე ეხება აგრეთვე იურიდიული განათლების ორგანიზაციის კიდევ ერთ პრობლემას. „ეს არის სასწავლო დაწესებულების მოუფიქრებელი დისლოკაცია და მრავალი მათგანის მცირე შესაძლებლობანი, რომ სათანადო დონეზე მოამზადოს იურისტები. თავის დროზე პრესტიჟულად ითვლებოდა იმის შესაძლებლობა, რომ თითოეულ რესპუბლიკაში, საოლქო ცენტრსა და ავტონომიაში ჰქონოდათ თავიანთი უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტით. ზშირად მათ ქმნიდნენ ყველაფრის გაუთვალისწინებლად, იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა საამისოდ სათანადო საწარმოო ბაზა, ჰყავდათ თუ არა შესაბამისი კადრები, კერძოდ, მასწავლებლები და ა. შ. და დაიწყო კურიოზები, საქვეყნოდ ცნობილი უმაღლესი სასწავლებლების (ზარკოვის, სვერდლოვის, სარატოვის ინსტიტუტები, სრულიად საკავშირო იურიდიული ინსტიტუტი, მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტები) ბაზებზე ერთიმეორის მიყოლებით დაარსდა „ჯუჯა“ იურიდიული ფაკულტეტები ჩრდილოეთ ოსეთში, აფხაზეთში, იაკუტიაში, მორდვეთში, უდმურტეთში, კალინინგრადში და ა. შ. რა აზრი აქვს ფაკულტეტს, სადაც მხოლოდ 25 კაცს იღებენ?! დაუეჩრებელია, მაგრამ არის ისეთი ფაკულტეტებიც, სადაც მასწავ-

ლებელთა შორის არცერთი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი არ მოიძებნება, სადაც ერთი მასწავლებელი 8-10 დისციპლინას კითხულობს, სადაც არა აქვთ აუცილებელი სამართლებრივი ლიტერატურა და სპეციალური აუდიტორიაც კი იურიდიული ფაკულტეტისათვის". (გვ. 137).

რასაკვირველია, იურიდიული კადრების მომზადების ბასკოვისეული მოდელი უპირატესად რუსეთისათვის არის გამიზნული (გაიხსენეთ მისი შეფარული გულისტკივილი, ქართველი იურისტი სამუშაოდ ციმბირსა ან შორეულ აღმოსავლეთში არ წავაო). მიუხედავად ამისა, ერთი რამ უცილობლად უნდა ითქვას: საქართველოში იურისტთა კადრების რაოდენობის, მათი მომზადება-განაწილების და იურიდიულ სასწავლებელთა დისლოკაციის პრობლემები საგულდაგულო შესწავლას და გონივრულ გადაწყვეტას მოითხოვენ.

ბატონო რედაქტორო, ალბათ, კარგი იქნებოდა ჟურნალ „სახელმწიფოსა და სამართლის“ ფურცლებზე დისკუსია გაგვემართა ამ პრობლემის შესახებ. ეს არ უნდა იყოს დისკუსია დისკუსიისათვის. მისი შედეგები უნდა განიხილოს საქართველოს იურისტთა კავშირმა ფართო აქტივის მონაწილეობით და შემდეგ სათანადო წინადადებები წარუდგინოს საქართველოს ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს.

პატივისცემით ბიორბი ტაუშელიაძე.

რედაქციისათვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის კათედრის გაშვების, პროფესორ გიორგი ტუშუაძის წერილში დასმულია იურიდიული და არა მხოლოდ იურიდიული საზოგადოებისათვის მტკად საგულისხმოდ პრობლემა. მისი აქტუალობა განსაკუთრებით თვალნათლივი ვახდა მიმდინარე წელს, როცა საქართველოს უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სტრუქტურა რიცხვი თითქმის ერთობადად გაიზარდა, საზოგადოებას, რომელიც დამოუკიდებელი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ მიისწრაფვის, მაღალი იურიდიული კულტურა და მაღალი რანგის პროფესიონალი იურისტები სჭირდება. მაგრამ სინამდვილე ცხადყოფს, რომ რაოდენობრივი ცვლილება უოველთვის არ იძლევა თვისებრივს. წერილში დასმულ პრობლემებს მრავალი ასპექტი აქვს. მათ ქროვან გადაწყვეტას არა მხოლოდ პროფესიული, არამედ ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულ პრობლემებზე სადისკუსიოდ ვიწვევთ უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების, სათანადო სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებს, უველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართველი იურისტების ახალგაზრდა თაობის მომავალი, ჩვენი ეროვნული იურიდიული კულტურა.

ლადო ხანჭყალია

## მიწის კანონმდებლობა — შემკვიდრეობითობა და განვითარების ტენდენციები

ხანგრძლივი საპარლამენტო დისკუსიების შემდეგ სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 20 თებერვალს მიიღო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები (შემდგომში — „საფუძვლები“). აღნიშნული კანონის უდიდეს მნიშვნელობაზე სრულიად სამართლიანად თქვა მწერალმა ვასილ ბელოვმა: „გლეხური ტრადიციები ეროვნულ-შრომითი და კულტურული ტრადიციების ტოლფასია. ვერც ერთი ხალხი ვერ გადაარჩენს თავის ეროვნულ ენას, თავის კულტურას, თუკი მოსპობს საკუთარ გლეხობას. დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა ჩიხიდან თავის დაღწევა ასევე შეუძლებელია თავისუფალი გლეხობის გარეშე. მაგრამ გლეხობა მიწის გარეშე — ესაა ფიქცია, ფუჭი ლაპარაკი, ამიტომ მიწის კანონს, პირველ ყოვლისა, აქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა“<sup>1</sup>.

საფუძვლების მიღება უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია ახალი მიწის კანონმდებლობის ჩამოყალიბების გზაზე. ამ კანონში განმტკიცებული ბევრი ინსტიტუტი პრინციპულად ახალი და საბჭოთა ხელისუფლების პირობებში უარესად ნოვატორულია. ამასთან უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კანონი გარდამავალი პერიოდის ნორმატიული დოკუმენტია, რომლის ნორმებიც ახალ ვითარებაში ახლებურად უნდა შეიცვალოს, აქ შევეცადეთ გამოგვეკვლია რამდენიმე საკითხი, რომელიც ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებს ამ აქტში.

საკუთრების საკითხი მიწაზე უმთავრესია მიწის კანონმდებლობაში. მის ამგვარ როლს ორი გარემოება განსაზღვრავს. ჯერ ერთი, ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა უპირველესი პირობაა სასურსათო პრობლემის გადასაჭრელად. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც მიწაზე საკუთრების საკითხი არაა რაციონალურად მოგვარებული, იქ სასურსათო პრობლემა ლამის სოციალური უბედურებაა (მაგალითად, სსრ კავშირში), მეორე, საკუთრებითი ურთიერთობები განმსაზღვრელია სხვა სახის მიწის ურთიერთობათა შინაარსისა (მიწათსარგებლობა, მმართველობა და ა. შ.).

რა დაედო საფუძვლად საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებულ მიწის ურთიერთობებს, როგორ გადაწყდა მიწის საკუთრების საკითხი?

<sup>1</sup> «Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальностей», № 7, 20 февраля 1990 г., с. 9.

ეკონომიკის განვითარების ბუნებრივი გზები საბჭოთა კავშირში ოქტომბრის გადატრიალების პირველი დღეებიდანვე გაუკუღმართდა. ამის ნათელი მაგალითია სამხედრო კომუნიზმის, სასურსათო გაწერის პოლიტიკა. ყოველივე ამას თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად დაედო პროლეტარიატის დიქტატურის ლენინისეული გაგება, როგორც ცნობილია, ლენინიზმში უდიდესი ადგილი უკავია მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ლენინის მიხედვით პროლეტარიატის ანუ მუშათა კლასის დიქტატურა გულისხმობს უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე. რუსეთში უმრავლესობის ბატონობის თაობაზე ლოზუნგი რეალურად საფუძველს მოკლებული იყო: 1917 წლისათვის რუსეთის მუშათა კლასი, ე. ი. წმინდა პროლეტარიატი შეადგენდა საერთო მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტს. ამიტომ, ბუნებრივია, 20 პროცენტის ბატონობა მოსახლეობის დანარჩენ 80 პროცენტზე უმრავლესობის დიქტატურა ვერ იქნებოდა. ამიტომ საჭირო იყო პროლეტარიატის რაოდენობის გაზრდა. პროლეტარიატის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი არის დაქირავებული კლასი, რომელსაც არ გააჩნია საკუთრება და იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა. ე. ი. ესაა უქონელთა კლასი, გლეხობა (მისი უდიდესი ნაწილი) პროლეტარიატისაგან განსხვავებით, კერძო მესაკუთრეა. მას საკუთრებაში გააჩნია მიწა ან მიწის დამუშავებით მიღებული პროდუქცია, ესე იგი, გლეხობას „თავისი ბორკილების“ გარდა სხვა რამეც აქვს დასაკარგი. ამდენად გლეხობის დიდი ნაწილი თავისი თვისებებით ვერ თავსდება პროლეტარიატის ცნებაში. ამ დიქტატურის განხორციელებისათვის კი სასიცოცხლოდ აუცილებელია პროლეტარიატის შევსება ახალი ძალით. მაგრამ ცნობილია, რომ ბოლშევიკურ რევოლუციას გლეხობა არ უჭერდა მხარს. საერთოდ გლეხობა გულგრილია რევოლუციური მოძრაობებისადმი. პროლეტარიატის რაოდენობის გასაზრდელად საჭირო ზდება სოფლის პროლეტარიატის ცნების შემოღება. ამიტომ რსფსრ-ს 1918 წლის კონსტიტუციაში განმტკიცდა არა „პროლეტარიატის დიქტატურა“, არამედ „ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის დიქტატურა“ (მუხლი მე-9).

მხოლოდ ამ ფორმალურ-იდეოლოგიურ-მეთოდოლოგიური ღონისძიებების გატარება საკმარისი არაა. რევოლუციაში გამარჯვებისათვის პროლეტარიატს სჭირდება სურსათი, სურსათის მწარმოებელი კი გლეხობაა. ლენინსა და მის მომხრეებს ისე უნდა გაეკეთებინათ, რომ გლეხობას ემუშავა პროლეტარიატის სასარგებლოდ და მხარი დაეჭირა რევოლუციისათვის, ვინაიდან „არავითარი სოციალისტური ქვეყანა არ შეიძლება, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების სახელმწიფო, თუ მას მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ძალდონით არ შეუძლია ისეთი სასურსათო ფონდის შეგროვება, რომ უზრუნველყოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა გამოკვება (ხაზგასმა ჩვენია — ლ. ჯ.), რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ათი და ასი ათასობით მუშა (ხაზგასმა ჩვენია — ლ. ჯ.) დაძრას იქეთ, საითაც ეს საბჭოთა ხელისუფლებას ესაჭიროება“<sup>2</sup>. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო გლეხობის იძულება და ასეთი იძულების ფორმას, რომელიც ძალადობასა და სისასტიკეზე იყო დამყარებული, წარმოადგენდა სამხედრო კომუნიზმი და მისი გამოხატულება — იმ პერიოდში შექმნილი საბჭოთა მეურნეობები, როგორც „პროლეტარიატის სასარგებლოდ“ გლეხობის მუქთად მუშაობის ფორმა.

ცხადია იბადება კითხვა, შეიძლებოდა თუ არა ამ პირობებში მიწა სა-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, 1952, გვ. 623

საკუთრებაში გადაცემოდა გლეხობას. ამისათვის საკმარისი იყო XIX საუკუნის  
ნაო-იანი წლების დამდეგს და რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ სტო-  
ლიპინის მიერ ვატარებული აგრარული რეფორმების მტრულად სრულყო-  
და. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუკი მიწა გლეხობას საკუთრებაში გადაეცე-  
მოდა, ბუნებრივია, იგი ხდებოდა მესაკუთრე. ზოლო მესაკუთრე კი, ჯერ ერთი,  
შეუძლია არ იმუშავედა „პროლეტარიატის სასარგებლოდ“, და მეორე, კერძო  
მესაკუთრე ვერ მოთავსდებოდა „უქონელი მუშათა კლასის“ — პროლეტარი-  
ატის ცნებაში. ამიტომ მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მათი სახელ-  
მწიფო საკუთრებად გამოცხადება შორს გამიზნული პოლიტიკური აქტი იყო:  
ჯერ ერთი, ნაციონალიზაციის აღიარებით გლეხობის მოტყუება და მათი ჩაბმა  
რევოლუციაში; მეორე, გლეხში უნდა ჩაეკლათ კერძო მესაკუთრის სულის-  
კვთება, რომ ამით მოესპოთ „კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობა“.  
ათეულ ათასობით კერძო მესაკუთრე გლეხი გაცილებით რთული სამართავია,  
ვიდრე რამდენიმე ათასი „რევოლუციურად ორგანიზებული“ კოლმეურნეო-  
ბა და საბჭოთა მეურნეობა. ამრიგად, ლენინიზმისათვის ყოველმხრივ მიუ-  
ღებელია მიწის კერძო მესაკუთრე გლეხი და შესაბამისად, კერძო საკუთრება  
მიწაზე.

მიწის მიმართ ამგვარ ლენინურ პოლიტიკას საფუძველი დაუდო 1917  
წლის 26 ოქტომბრის დეკრეტმა მიწის შესახებ. ამ დეკრეტის სამართლებრივი  
ბუნება დიდი ხნის განმავლობაში ცალსახად იყო გაგებული როგორც აქტისა,  
რომელმაც გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე და მოახდინა მისი ნაციონალი-  
ზაცია. როგორ შეიძლება შეფასდეს ამ პერიოდის აქტები მიწის შესახებ? ჯერ  
კიდევ 1928 წელს, ანალიზებდა რა მიწის შესახებ დეკრეტების იმ დებულე-  
ბას, რომ „ყოველგვარი საკუთრება მიწაზე, წიაღზე, წყალზე, ტყეებსა და ბუ-  
ნების ცოცხალ ძალებზე რუსის ფარგლებში, უქმდება საბოლოოდ. მიწა  
ყოველგვარი აშკარა ან ფარული შესყიდვის გარეშე ამიერიდან გადადის მთე-  
ლი მშრომელი ხალხის საკუთრებაში“, სამოქალაქო სამართლის პროფესორი  
ნ. პ. კარაჯე-ისკროვი წერდა: „აშკარაა, გამოდის ისეთი ნივთი, რომელიც არა-  
ვის არ ეკუთვნის და გათვალისწინებულია საერთო სარგებლობისათვის. მიწის  
ნაციონალიზაციის იდეა აქ საერთოდ არ არსებობდა. მიწის დეკრეტი განმსკვა-  
ლულია სოციალიზაციის იდეებით“<sup>3</sup>. იმას, რომ მიწის დეკრეტებში განმტკი-  
ცებულია არა ნაციონალიზაციის, არამედ სოციალიზაციის პრინციპი ხაზი  
გავსავ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზეც.

რა განსხვავებაა ნაციონალიზაციასა და ლენინურ სოციალიზაციას შორის?  
ნაციონალიზაციის დროს მესაკუთრედ ცხადდება სახელმწიფო. საკუთ-  
რების უფლების რეალური სუბიექტია სახელმწიფო. სოციალიზაციის დროს  
კი მესაკუთრედ ცხადდება მთელი ხალხი, საზოგადოება. იურიდიულად და  
ფაქტობრივად მთელი საზოგადოება არ შეიძლება იყოს მესაკუთრე. ამიტომ  
მესაკუთრე ხდება ის, ვისაც რეალური ძალაუფლება აქვს მოცემული ნივ-  
თის მიმართ. ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს პირობებში  
ასეთი ძალაუფლება გააჩნიათ სამინისტროებსა და უწყებებს. რეალურად მე-  
საკუთრეები თავად ისინი არიან. ამრიგად, მიწების ლენინური ნაციონალიზა-  
ცია სინამდვილეში არის სოციალიზაცია, რომელიც თავის მხრე საფუძველი  
ხდება მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ადმინისტრაციულ-ბიუროკრა-

<sup>3</sup> Н. П. Карадже-Искров. К вопросу о праве государства на землю. Иркутск, 1928, с. 12-13.



ტიული საკუთრების ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ, პარადოქსია, როცა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ფ. იაკვლევი უზენაეს საბჭოს სთავაზობს, რომ ახალ მიწის კანონს საფუძვლად სწორედ მიწის ნაციონალიზაციის ლენინური იდეები დაედოს<sup>4</sup>.

მიწაზე საკუთრების საკითხის განხილვა პირდაპირ კავშირშია საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ეტაპებთან. თითქმის 70 წლის განმავლობაში მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტი ტაბუდადებული იყო. იმ დროს, როდესაც სიძლიერის ერთადერთი საზომი სახელმწიფოს ძლევამოსილება იყო, მიწის კანონმდებლობაში ფოკუსირებას მხოლოდ „სახელმწიფო“, „კოლმურნეობა“, „საბჭოთა მეურნეობა“, მაგალითად, 1928 წლის დეკემბერში მე-4 მოწვევის ცაკ-ის მე-4 სესიაზე, სადაც მიღებულ იქნა პირველი საკავშირო აქტი „მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ზოგადი საწყისები“. მიწის კერძო საკუთრებაზე საერთოდ ლაპარაკი კი არ ყოფილა. დეპუტატთაგან არავის გამოუჩენია ინიციატივა კერძო საკუთრების აღორძინებისა. სამაგიეროდ, იზილებოდა საკითხი, თუ ვინ იყო მიწის მესაკუთრე — სსრ კავშირი თუ მოკავშირე რესპუბლიკა. ეს დისკუსია ელიავას „წყალობით“ სსრ კავშირის სასარგებლოდ გადაწყდა<sup>5</sup>.

ასევე არ ყოფილა განხილვის საგანი მიწაზე კერძო საკუთრება არც 1968 წელს, როცა მიღებულ იქნა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები“. მთელი ამ პერიოდის კანონმდებლობა განმსჭვალული იყო მიწების სოციალიზაციის სულისკვეთებით.

მხოლოდ ამ ბოლო დროს, როდესაც სახელმწიფო სექტორმა და იმ პოლიტიკამ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწეოდა სოფლის მეურნეობაში, სრული კატასტროფა განიცადა, დღის წესრიგში დადგა კერძო საკუთრების აღორძინების საკითხი. ამიტომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე უკვე აშკარად გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი: მიწაზე სახელმწიფო საკუთრების ორთოდოქსებისა და კერძო საკუთრების მომხრეების. პირველთა აზრით, „მიწა უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება ან კუთვნილება, და არავითარი ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლება რომ იყოს“. მაგრამ დამაფიქრებელია ამ სიტყვების ავტორის მიერ მოხმობილი მიზეზი: „რატომ? იმიტომ, რომ მიწების გაყიდვით ჩვენ ქვეყანაში დაეთესავთ შულოს, სკანდალს, რაც ისედაც გვეყოფნის.“<sup>6</sup> ამის ფონზე სრულიად ობიექტურად ეღერს ე. გრიზოვსკისის სიტყვები „ბოლოსდაბოლოს ჩვენ საზოგადოებას, ხალხს უნდა ვუთხრათ, რომ მიწაზე სახელმწიფოს მონოპოლიურმა საკუთრებამ არ გაამართლა“.<sup>7</sup>

მიწების ლენინური ნაციონალიზაციის იდეა აშკარად ჰგავს „ისლამური სოციალიზმის“ მოძღვრებას მიწის საკითხში. ლენინის მიხედვით მიწა არ შეიძლება იყოს კერძო საკუთრებაში, მიწა მთელი ხალხის კუთვნილებაა. „ისლამური სოციალიზმიც“ აღიარებს, რომ მიწა არ უნდა იყოს კერძო საკუთრებაში. ვინაიდან მიწის ერთადერთი მესაკუთრე არის ალაჰი.

მიწების ლენინური ნაციონალიზაციის იდეა წითელი ზოლივით გასდევს

<sup>4</sup> «Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальностей», № 5, 16 февраля 1990 г., с. 45-46.

<sup>5</sup> 4-ая сессия Центрального исполнительного комитета Союза ССР 4-го созыва. Стенографический отчет. Бюллетень, № 17, 1928 г., с. 32-33.

<sup>6</sup> «Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальностей», № 6, 16 февраля 1990 г., с. 10.

<sup>7</sup> იქვე, გა. 23.

მთელს საბჭოთა მიწის კანონმდებლობას ან კონსტიტუციურ კანონმდებლობას მიწის შესახებ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნორმათა უმრავლესობა, რომელიც მიწაზე საკუთრების საკითხებს შეეხება, დეკლარაციულია და რეალურად სამართლებრივი შინაარსისაგან დაცლილი. კერძოდ, 1958 წლის მიწის კანონმდებლობის საფუძვლებში ჩაწერილი იყო: „სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საბჭოთა კავშირში მიწა წარმოადგენს საბელმწიფო საკუთრებას — მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებას“. საბელმწიფო საკუთრება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. თუ ვინ იყო მესაკუთრე — სსრ კავშირი თუ მოკავშირე რესპუბლიკები, ვინაიდან სსრ კავშირში 16 სუვერენული საბელმწიფო არსებობს — სსრ კავშირი და 15 მოკავშირე რესპუბლიკა, როგორ უნდა გაგვეგო „მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება“? ამ დებულებას დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან არ ჩანს, თუ ვინ არის საკუთრების უფლების ელემენტების — მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის — რეალური მატარებელი. ამრიგად, ეს კანონმდებლობა უკიდურესი სოციალიზაციის პრინციპებით იყო განმსჭვალული.

როგორ გადაწყვიტა ახალი კანონმა მიწის საკუთრების საკითხი?

საფუძვლებმა შემკვიდრებოთ მიიღო საკუთრების საკითხის განმსაზღვრელი ნორმების დეკლარაციულობა. აღნიშნული კანონი, ისევე როგორც მისი წინამორბედნი, არ იძლევა ცალსახა პასუხს მესაკუთრის შესახებ. საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, „მიწა მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა კუთვნილებაა“. მიუხედავად ამ ნორმის გარეგნული მიმზიდველობისა, იგი უაღრესად პრობაგანდისტულია და საკუთრების უფლების რეალურ მექანიზმს ვერ წარმოადგენს. მაგალითად, გაუგებარია თუ რას ნიშნავს „მოცემული ტერიტორია“. რა არის ეს? ქალაქი, რაიონი, სოფელი, რესპუბლიკა თუ სხვა რამ კიდევ. ასევე ბუნდოვანია თუ რა იგულისხმება „მცხოვრებ ხალხში“. მაგალითად, რა უფლება აქვს ქალაქში მცხოვრებ ხალხს ქალაქის მიწებზე? ანდა რა როლდენობის ადამიანები შეიძლება ჩავთვალოთ „მცხოვრებ ხალხად“. ცხადია, რომ ეს ორი დეკლარაციული ფრაზა განსაზღვრავს მესამე დეკლარაციულ დებულებასაც — კუთვნილებას. კუთვნილება ამ შემთხვევაში არ შეიძლება გაიგვიებული იყოს საკუთრებასთან.

ამგვარად, ახალი საფუძვლები მიწის საკუთრების საკითხში ერთგული დარჩა მიწების სოციალიზაციის სამოცდაათწლიანი ტრადიციისა. თუმცა ეს ახლებური ფორმულირება ისეთი დაბალი სამართლებრივი კულტურის ხალხში, როგორც საბჭოთაა, შეიძლება უამრავი ეთნოკონფლიქტის მიზეზი გახდეს. ამავე დროს, ფაქტობრივად, მოკავშირე რესპუბლიკებს ეძლევათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად განსაზღვრონ მიწაზე საკუთრების ფორმები მათი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ მიწაზე საკუთრების რომელი ფორმა მიზანშეწონილი, ეს ცალკე განხილვის საგანია.

**კლასიკური სამართლის ინსტიტუტები მიწის კანონმდებლობაში.** მიწის კანონმდებლობის საფუძვლები ყურადღებას აპყრობს იმითაც, რომ მასში ასახულია ბევრი ინსტიტუტი, რომელიც რომის სამართლიდან მოყოლებული თანამედროვე ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში მყარადაა დამკვიდრებული. მათი შესწავლა და გაანალიზება მრავალმხრივ საინტერესოა. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ამგვარი კვლევის აუცილებლობა ახალი კანონმდებლობის ჩამოყალიბებისათვის. განვიხილოთ ამ ინსტიტუტთაგან რამდენიმე.

**ემფითევზისი.** ემფითევზისი რომის სამართლის მიხედვით წარმოადგენს



სხვისი მიწის გამოყენების ერთ-ერთ უფლებას და დგინდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმართვისათვის. იუსტიციანეს დიგესტების შესაბამისად. ემფითევისის არის გრძელვადიანი სამემკვიდრეო იჯარა. მოიჯარეს (ემფითევისს) უფლებდაქვს თავისი ნებისა და სურვილის მიხედვით მოაწყოს მეურნეობა გადაცემულ ნაკვეთზე. მიიღოს ნაკვეთიდან ყველა შემოსავალი და გააჩნდეს მესაკუთრის თითქმის ყველა უფლებამოსილება. იგი ვალდებულია მიწის მესაკუთრეს გადაუხადოს მცირე ყოველწლიური რენტა, რომელსაც მეტადრე მესაკუთრის აღიარების ხასიათი აქვს. გასწიოს შესაბამისი ხარჯები და გადაიხადოს ბეგარა. თუკი მოიჯარე არ ასრულებს თავის მოვალეობებს სათანადო წესით, მესაკუთრეს შეუძლია ჩამოართვას მას მიწათსარგებლობა\*.

მიწის კანონმდებლობის საფუძვლებმა ააღორძინა ეს ინსტიტუტი, რომელიც ყოველად დაუსაბუთებლად მივიწყებული იყო. იგი ახალმა კანონმდებლობამ მიწათმფლობელობის ცნებით მონათლა. თუმცა ამით მიწათმფლობელობის კნება გარკვეულწილად შეიზღუდა. ვინაიდან იგი რომის სამართლიდან მოყოლებული უფრო ფართო გაგებით გამოიყენება და მოიცავს არა მხოლოდ ემფითევისის, არამედ სერვიტუტებს, უზუფერუტუტებს და სხვ.

საფუძვლების მე-20 მუხლის თანახმად, სსრკ მოქალაქეებს უფლება აქვთ სამუდამო, სამემკვიდრეო მფლობელობაში მიიღონ მიწის ნაკვეთები. ამ უფლებით მიწის ნაკვეთი მოქალაქეებს მიეცემათ გლეხური მეურნეობის წარმართვისათვის, პირადი დამზარე მეურნეობის წარმოებისათვის, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და მომსახურებისათვის, მებაღეობისა და მეცხოველეობისათვის, სააგარაკო მშენებლობისათვის, ტრადიციული ხალხური სარეწებისათვის. სამუდამო სამემკვიდრო მფლობელობაში მიწის ნაკვეთის მიღების უფლება მოქალაქეებს წარმოეშობათ ასევე საცხოვრებელი სახლის მემკვიდრეობით მიღების ან შეძენის შემთხვევაში.

საფუძვლები მიწათმფლობელებს (ემფითევეტებს) მნიშვნელოვან უფლებებს ანიჭებს. ისინი დამოუკიდებელი არიან გადაცემულ მიწაზე მეურნეობის გაძღოლისას, ე. ი. თვითონ განსაზღვრავენ თუ სოფლის მეურნეობის რომელი დარგი განავითარონ და რა რაოდენობით: წარმოებული პროდუქცია და მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი მათი საკუთრებაა. უფლება აქვთ, დადგენილი წესის შესაბამისად მეურნეობის საკიროებისათვის გამოიყენონ მიწის ნაკვეთში არსებული საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეული, ტორფი, ტყის სავარგულები, წყლის ობიექტები. უფლება აქვთ ააშენონ საცხოვრებელი, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობა-ნაგებობანი და ა. შ. ემფითევეტებს ამავე დროს უფლება აქვთ მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი დროებით სარგებლობაში გადასცენ სხვა პირებს (მუხლი 16). მიწათმფლობელების მნიშვნელოვანი მოვალეობაა წარმოების ბუნებადაცვითი ტექნოლოგიების გამოყენება. მიწის კირის დროულად გადახდა, ეს უკანასკნელი ემფითევისის აუცილებელი პირობაა.

რომის სამართლის მიხედვით, სახელმწიფოსაგან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთებს (ემფითევეტურ ნაკვეთებს) მიეკუთვნება ისინი, რომლებიც კირითაა აღებული სამუდამოდ, ე. ი. იმ პირობით, რომ სანამ მათთვის იხდიათ საიჯარო კირას, მანამ არ შეიძლება ეს ნაკვეთი ჩამოერთვას როგორც ემფითევეტს (მი-

\* Бартошек М., Римское право (Понятия, термины, определения), М., Юрид. лит., 1980, с. 119-120



წათმფლობელს), ასევე მის მონაცვლეს<sup>9</sup>. ამრიგად, რომის სამოქალაქო სამართალი ემფითევზისის შეწყვეტის ძირითად საფუძვლად მიიჩნევს მიწის ქირის გადაუხდელობას. ამავე დროს, მესაკუთრეს ართმევს უფლებას ცალმხრივად, შესაბამისი საფუძვლის არსებობის გარეშე შეწყვიტოს ეს ურთიერთობა. მიწის კანონმდებლობის საფუძვლები კი რამდენიმე საფუძველს განსაზღვრავს, რომელთა არსებობისას შეიძლება შეწყდეს ემფითევზისი (მუხლი 9).

ემფითევზისი ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: 1. სხვისი მიწის სარგებლობის უფლება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისათვის; 2. იგი გადადის მემკვიდრეობით და შეიძლება გადაცემა სხვისთვისაც; 3. საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება<sup>10</sup>. მასასადამე, ემფითევზისის ძირითადი მიზანი არის მიწის გამოყენება უპირატესად მხოლოდ სოფლის მეურნეობისათვის.

მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ნორმების ანალიზისას ირკვევა, რომ კანონმა ემფითევზისის ცნება გააფართოვა. მასში შეიტანა ასევე სუპერფიციის შინაარსიც. სუპერფიციია ესაა უფლება გქონდეს ნაგებობა სხვისი მიწის ნაკვეთზე (ძირითადად ქალაქებში)<sup>11</sup>. ემფითევზისისაგან მას ძირითადად განასხვავებს მიწათსარგებლობის მიზანი. ამ შემთხვევაში მიწა გამოიყენება არა სოფლის-მეურნეობის წარმართვისათვის, არამედ ნაგებობების, შენობების, სხვა ობიექტების ასაშენებლად ან აშენებულზე უფლების მოსაპოვებლად. მიწის კანონმდებლობის საფუძვლები ამგვარ უფლებას ითვალისწინებს. კერძოდ, მიწა სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში გადაეცემათ საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და მომსახურებისათვის. — საცხოვრებელი სახლის მემკვიდრეობით მიღების ან შეძენის შემთხვევაში (მუხლი 20). ასევე ამ მიწის ნაკვეთზე შეიძლება აშენდეს საწარმო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობა-ნაგებობანი. ამრიგად, მიწის კანონმდებლობის საფუძვლებით გათვალისწინებული მიწათმფლობელობის ინსტიტუტი შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ — ემფითევზისი და სუპერფიციია.

ადრე მოქმედი მიწის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საფუძვლები ერთმანეთისაგან აცალკევებს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ცნებებს. ჩვენი აზრით, ამგვარი დაყოფა იურიდიულად არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან მიწათსარგებლობა აუცილებლად გულისხმობს მიწათმფლობელობასაც. მიწაზე ფაქტობრივი ბატონობის გარეშე მისი დადებითი, სასარგებლო თვისებების მიღება შეუძლებელია. ამ წესიდან გამონაკლისია სამართლის კლასიკური ინსტიტუტი — სერვიტუტები. სერვიტუტები ესაა სანივთო უფლება სხვის ნივთზე, რომელიც უზრუნველყოფს ნივთით სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობას და რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია მიწის განსაზღვრულ ნაკვეთთან<sup>12</sup>. სერვიტუტების ყველაზე გავრცელებული ცალკეული სახეებია: პირუტყვის გარეკვის (გადენის), უცხო მიწის ნაკვეთზე წყლის გაყვანის უფლება, უცხო ნაკვეთზე არსებული წყლის ამოხაპვის უფლება, უცხო ნაკვეთზე ნაწვიმარი წყლის გადაადგების უფლება, უცხო ნაკვეთზე კირის ჩაქრობის უფლება, უცხო ნაკვეთზე სიარულის უფლება, სხვის ნაკვეთზე

<sup>9</sup> Дигесты Юстиниана. С. примеч. И. С. Перетерского, М., Наука, 1984, с. 140.

<sup>10</sup> С. Вагацума, Т. Арнидзуми. Гражданское право Японии (в двух книгах). Книга первая, М., «Прогресс», 1983, с. 194.

<sup>11</sup> მ. ბარტოშეკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 305-306.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 294.

კავშირის გაშვების უფლება, სხვის ნაკვეთზე ქვესა და ქვიშის მოპოვების უფლება, უცხო ნაკვეთზე პირუტყვის ძოვების უფლება, უფლება გქონდეს აივანი, რომელიც გადმოშვებულია მეზობლის ნაკვეთზე, უფლება სხვის ტყეში მოაგროვო შეშა და ა. შ.<sup>13</sup> როდესაც ვაჩაიძეებმა და გადარებმა ერთმანეთს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ინსტიტუტებს ახალი საფუძვლების მიხედვით, ამკარაა, რომ კანონმდებელი ვერ პოულობს რაიმე არსებით განსხვავებებს მათ შორის. მიწათსარგებლობა მიწათმფლობელობისაგან მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით განსხვავდება იმით, რომ მიწა სარგებლობაში გადაეცემა მხოლოდ მეზობსტნეობისათვის, სუბორბიტად და პირუტყვის საძოვებლად (მუხლ. 21). მართალია, მიწათსარგებლობის სხვა სახეების განსაზღვრის უფლებას საფუძვლები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს აძლევს, მაგრამ ეს გაუგებრობას არ ხსნის, კანონში არ არის და ალბათ, არც შეიძლებოდა გავლენილიყო არსებითი ზღვარი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის უფლებებს შორის. ამიტომ, საფუძვლების მიხედვით ამგვარი კლასიფიკაცია ხელოვნური დაყოფის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამავდროს, დამახინჯებულია სერვიტუტების კლასიკური შინაარსი — სხვების ნივთზე უფლების ზუსტი რეგლამენტაცია.

**გარანტიები ახალ კანონმდებლობაში.** მიწათსარგებლობის სფეროში მყარი, რეალური გარანტიების არსებობა ერთ-ერთი სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა სოფლის მეურნეობასა თუ მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა დარგების ნორმალური განვითარებისათვის. ის საადგილმამულო ურთიერთობები, რომლებიც არსებობენ თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამას ხელს უწყობდა მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა და ამ საკუთრების ხელშეუვალობის სახელმწიფოებრივი აღიარება. მართალია, მიწაზე აბსოლუტური საკუთრების უფლებამ განსაზღვრული ტრანსფორმაცია ვანიცადა, მაგრამ ეს ნაკლებად შეეხო სასოფლო-სამეურნეო მიწათსარგებლობის სფეროს. მიწის საკუთრებისა და მიწათსარგებლობის ტრადიციული ფორმებისათვის მყარი სახელმწიფოებრივი გარანტიების შექმნა განვითარებული ქვეყნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმები და მათ შორის, საკანონმდებლო რეფორმები მიმართულია საადგილმამულო ურთიერთობების სრულყოფისათვის რეალური გარანტიების შექმნისაკენ. მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციების ეპოქაში, როცა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის არაახალი მასშტაბები რეალურ საფრთხეს ქმნის გარემომცველი გარემოსათვის და პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო მიწათსარგებლობისათვის, მოწინავე სახელმწიფოები ცდილობენ ამ სფეროში ხელი შეუწყონ ტრადიციული ფორმებისა და ტრადიციული დარგების განმტკიცება-განვითარებას. მაგალითად, იტალიის ალპებში დღესაც კი არსებობს თემური მიწის საკუთრება ტრადიციული დარგებისა და მეურნეობის შენარჩუნებით. კანონმდებლობა კი არ ზღუდავს ამ ფორმებს, არამედ, პირიქით, ქმნის გარანტიებს მათი განვითარებისათვის. იტალიელი იურისტი, პროფესორი ემილიო რომანიოლი აღნიშნავს, რომ ალპების ზოგ რაიონში ძველთაგან წარმოიშვა ტყითა და საძოვრებით თემური მფლობელობის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო განუყოფელობა, მიწების გაუსხვისებლობა და ურთიერთკავშირი მიწათმფლობელობას, სატყეო მეურნეობასა და მესაქონლეობას შორ-

<sup>13</sup> იუსტინიანეს დოვსტები, გვ. 158-170.

რის. თემის ამგვარი ტიპი მნიშვნელოვნად განსხვავდება იტალიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული თემისაგან. ტყეების მიზნობრივი დანიშნულება და გაუხსვისებლობა ეწინააღმდეგება საკუთრების სამოქალაქო-სამართლებრივ გაგებას. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ახალისებს ასეთ ფორმებს და ხელს უწყობს მათ<sup>14</sup>.

სოფლის მეურნეობისათვის და კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მიწათსარგებლობისათვის სტაბილური პირობების უზრუნველყოფა და ტრადიციული ფორმებისა და მეთოდების ხელშეუხებლობა დიდი ხანია აღიარებული პრინციპია. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ამერიკის კონტინენტზე გადასახდარმა კონკისტადორებმა ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებებსა და ტრადიციებში აღმოაჩინეს ისეთი ნორმები, რომლებიც ამ მოსახლეობის საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებას სრულყოფილად აწესრიგებდნენ. ამ ნორმების მნიშვნელობამ, მათმა სტაბილურობამ ესპანეთის სამეფო აიძულა ინდიელთა შრომის ორგანიზაციისა და მიწაზე საკუთრების ურთიერთობის ტრადიციული ნორმები განემტკიცებინა ახალ კანონმდებლობაში<sup>15</sup>. ამგვარი მაგალითები ფართოდაა გავრცელებული სხვა კოლონიზატორების მოღვაწეობის ისტორიაშიც.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო მიწათსარგებლობა მყარ, ტრადიციულ, მოცემული ხალხის ფსიქიკისათვის შესაფერის ნორმებს უნდა ემყარებოდეს, ეს სოფლის მეურნეობის პროგრესულად განვითარების აუცილებელი პირობაა.

საბჭოთა კავშირში მიწათსარგებლობის ამგვარ გარანტიებზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან სახელმწიფოს სათავეში ყოველი ახალი ხელმძღვანელის მოსვლისთანავე იცვლებოდა კანონებიც და მათ შორის კონსტიტუციებიც კი. რეალური საკანონმდებლო გარანტიები საადგილმამულო ურთიერთობების განვითარებისთვის პრაქტიკულად არ არსებობდა. ეს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმ მძიმე სასურსათო კრიზისისა, რომელშიც საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა. ამგვარი გარანტიების არარსებობამ გამოიწვია (სხვა მრავალ მიზეზთან ერთად) სოფლის მოსახლეობის თანდათანობით დაცარიელება, სასაქონლო სოფლის მეურნეობის განადგურება.

1985

ამ თვალსაზრისით შევხვით საფუძვლებში განმტკიცებულ იმ ნორმებს, რომლებიც უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია ადრე მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით. თუმცა აბსოლუტურ გარანტიებად მათი მიჩნევა ჯერ-ჯერობით ნაადრევია. ამგვარ საექვო დასკვნას რივი გარემოება განსაზღვრავს: პირველი, ჯერ ნაადრევია ახალი კანონმდებლობის სტაბილურობაზე ლაპარაკი, 70 წლის განმავლობაში სსრ კავშირში ექვსჯერ შეიცვალა მიწის კანონმდებლობა. ე, მაშინ, როცა მიწის კანონმდებლობა მის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე უაღრესად სტაბილური უნდა იყოს. და მეორე, კანონმდებლობა არ განამტკიცებს აღნიშნული ურთიერთობების ყველაზე მყარ გარანტიას — მიწაზე კერძო საკუთრებას.

არსებითი სიახლე, რომელიც განმტკიცებულია საფუძვლებში, არის მოქალაქეთათვის მიწის გადაცემა სამემკვიდრეო მფლობელობაში (მუხლები 5, 20) მიწის გადაცემა მემკვიდრეობის უფლებით მნიშვნელოვნად აახლოებს მიწათსარგებლობას საკუთრების უფლებასთან. ამასთან, საადგილმამულო ურთიერთობებში შეაქვს არსებითი სტაბილურობა. ამავე დროს, საფუძვლების

<sup>14</sup> «Право и сельское хозяйство в СССР и Италии». М., 1980, с. 100, 102.  
<sup>15</sup> «Право собственности на землю в странах Латинской Америки». М., 1989, с. 11.

საქართველოს  
მართვის  
მინისტროს

მიერ მიწის მემკვიდრეობით გადაცემის უფლების აღიარება საბოლოოდ წყვეტს ამ სფეროში წარმოშობილ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს მემკვიდრეობის ორ სახეს: კანონით და ანდერძით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 539). საფუძვლები არ განსაზღვრავს თუ როგორი მემკვიდრეობით ზდება მიწათმფლობელობის უფლების გადასვლა: კანონის-მიერით თუ ანდერძისმიერით. საფუძვლები ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებას მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს ანიჭებს. ამდენად, საქართველოს მიწის კოდექსმა ეს სიახლე უნდა გაითვალისწინოს. როდესაც ლაპარაკია მიწათსარგებლობის უფლების მემკვიდრეობით გადაცემაზე, ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა მივიღოთ ტრადიციული დარგებისა და მეთოდების ჩელ-შეუხებლობისა და მათთვის ხელსაყრელ პირობების შექმნის აუცილებლობა. ამიტომ მიწის ნაკვეთების მემკვიდრეობით გადაცემის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ კანონისმიერ მემკვიდრეებს, რომლებიც ცხოვრობენ ანდერძის დამტოვებლის მიწის ნაკვეთზე ან იმავე დასახლებულ პუნქტში და მისდევენ სოფლის მეურნეობის იმ დარგს, რომელსაც ანდერძის დამტოვებელი, ანალოგიური ნორმები გათვალისწინებულია საფრანგეთის ლენის კოდექსში. კერძოდ, ვენახის მემკვიდრეობით მიღების უპირატესი უფლება აქვს იმ მემკვიდრეს, რომელიც მისდევს მევენახეობას და მოჰყავს ყურძნის ის ჯიში, რომელიც ტრადიციულია ანდერძის დამტოვებლისათვის. ასევე, ნიდერლანდებში მიწის ნაკვეთის მისაღებად აუცილებელია სპეციალური განათლების დამადასტურებელი დიპლომის წარდგენა. ამგვარი ნორმების საკანონმდებლო რეგლამენტაცია უდაოდ შეუწყობს ხელს ხალხური ტრადიციებისა და დარგების შენარჩუნებასა და მათ შემდგომ განვითარებას.

მიწათმოსარგებლეთა ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა მათი უფლებების სასამართლო დაცვის როლის უაღრესად ამაღლება. თუკი ადრე კანონმდებლობა მიწის ურთიერთობების დროს ფაქტობრივად გამორიცხავდა მიწითმოსარგებლეთა უფლებების სასამართლო დაცვას, ახალმა კანონმა ამ მხრივ არსებითად გადადგა ნაბიჯი წინ. თუმცა მიწითმოსარგებლეთა უფლებების სასამართლო დაცვის აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მყარი, რეალური გარანტიის არსებობას. პირველი, დღევანდელი სასამართლოები აბსოლუტურად მოუმზადებელი არიან მიწის დავების სრულყოფილად გადაწყვეტისათვის; მეორე, სასამართლოები მათი უკიდურესად დაბალი ავტორიტეტისა და შელაზული პრესტიჟის გამო შეუძლებელია აღვიქვათ უფლებების დაცვის მტკიცე ბურჯად; მესამე, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში აუცილებლად იზრდება სასამართლოების როლი, როგორც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზენაესი ორგანოსი. სასამართლოების მოღვაწეობის ამჟამინდელი ორგანიზაციული პრინციპები სრულიად შეუთავსებელია მოზღვავებული საკითხების და მათ შორის, მიწის დავების გადაწყვეტასთან. აქედან გამომდინარე, ძირულად უნდა შეიცვალოს სასამართლოების სისტემა. მათი საქმიანობის ფორმები, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ი. ჩერნიჩენკოს გამოსვლა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე: „ჩვენმა წინაპრებმა, როცა 1861 წელს ნამდვილად თავისუფლებდნენ გლეხებს, შექმნეს მომრიგებელი შუამავლის ინსტიტუტი“<sup>16</sup>. ანალო-

<sup>16</sup> «Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальностей», № 6, с. 24.

გიური ინსტიტუტის ჩამოყალიბების აუცილებლობა დღეს უკვე არსებობს. მაგალითად, საქართველოს მთის რეგიონში, სადაც კოლმეურნეობები დაიშალა. უამრავი დავა წამოიჭრა მიწის განაწილების საკითხებზე. მათი გადაწყვეტი არც პირი, არც ორგანო ჯერჯერობით არ არის.

ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი სიახლე. კერძოდ, მოქალაქეებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები პირადი დამხმარე მეურნეობის გაძლიერებისათვის ეძლევათ სახალხო დემუტატთა სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების მიერ. უკვე ამ მიზნისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა არ იქნება დამოკიდებული კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მოქალაქეთა შრომით საქმიანობაზე.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სოფლის მეურნეობაში ღამის პანაკეად იყო გამოცხადებული. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა ფორმებს რეალურად არსებობის უფლებაც კი არ ჰქონდა. ყოველივე ეს კანონმდებლობაშიც მყარად იყო განმტკიცებული. მაგალითად, სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საბკომსაბჭომ 1927 წლის 16 მარტს მიიღეს დადგენილება „კოლექტიური მეურნეობების შესახებ“<sup>17</sup>. ამის შესაბამისად კოლმეურნეობებში შეიქმნა განუყოფელი ფონდი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კოლმეურნეობიდან გასულ წევრს არ უბრუნდებოდა საკოლმეურნეო ქონების ის ნაწილი, რომელიც მან გააერთიანა კოლმეურნეობაში შესვლისას. მით უფრო არ მიეცემოდა მას კოლმეურნეობის მიწებიდან მიწის ნაკვეთი. ამ დროიდან იღებს სათავეს კოლმეურნეობებისათვის კოოპერაციული ბუნების დაკარგვა და მათი თანდათანობითი გაუქმდობა. ამიტომ ყალბია ლენინური დებულება: „მიწები გლეხებს“. ვინაიდან მიწა გადაეცათ არა გლეხებს, არამედ „რევოლუციურად ორგანიზებულ“ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს „პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების შესასრულებლად“.

საფუძვლებმა კოლმეურნეობების არსებობის ისტორიაში პირველად მისცა კოლმეურნეობის წევრებს კოლმეურნეობიდან მიწიანად გასვლის უფლება. კერძოდ, საფუძვლების 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებს, რომლებიც მოისურვებენ გავიდნენ მათი შემადგენლობიდან და მისიონ გლეხურ მეურნეობას, სახალხო დემუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით მეურნეობრიობის თანაბარი პირობების შექმნის გათვალისწინებით ეძლევათ აღნიშნული საწარმოთა მიწებიდან ამოღებული ნაკვეთი. სოფლის მეურნეობაში საბჭოური ბატონყმობის შემდეგ კოლმეურნეობიდან მიწის ნაკვეთით თავისუფალი გასვლის უფლება მართლაც „ნოვატორულ ხასიათს“ ატარებს, როგორც ეს სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე ითქვა“.

მიუხედავად ბევრი სიახლისა და პროგრესული დებულებებისა, აღნიშნული კანონი მაინც გარდამავალი პერიოდის აქტაა, რომელიც ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების კვალობაზე სამომავლოდ არსებითად უნდა შეიცვალოს.

<sup>17</sup> СЗ СССР, 1927, № 15, с. 161.

<sup>18</sup> «Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальностей», № 5, 16 февраля 1990 г., с. 41.

ჯურამ ნაჭყვიაძე

## პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემა

ყოველი მეცნიერება გამოირჩევა არა მარტო მისი შესწავლის საგნის სპეციფიკით, არამედ ცნებათა სპეციფიკითაც. მეცნიერების ცნებები მკაცრ ლოგიკურ წესრიგს ექვემდებარებიან და ქმნიან გარკვეულ სისტემას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერების ცნებათა ლოგიკური კავშირი ავტომატურად მყარდება და ამ მხრივ რაიმე თეორიული სიძნელე გამორიცხულია. პირიქით, მეცნიერების ცნებათა ლოგიკური კავშირის პრობლემა ყოველი მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. იგი უშუალოდაა დაკავშირებული მეცნიერების დაფუძნების პრობლემასთან და, გარკვეული აზრით, არსებულ კონცეფციათა შემოწმების ერთგვარ კრიტერიუმდაც გვევლინება. ის საშუალებას იძლევა დავინახოთ თუ სად, რომელ პრობლემაში გვმართებს „თვალის ახელა“ და არსებულ კონცეფციათა გადასინჯვა.

ყველაფერი ეს ეხება სისხლის სამართლის მეცნიერებასაც. მეცნიერების ამ დარგსაც მოპოვებული აქვს თავისი ცნებები და მათი ლოგიკური კავშირის პრობლემა ფრიად აქტუალური იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ხსენებული მეცნიერების ცნებათა ლოგიკური კავშირის პრობლემა დღემდე არავის დაუსვაშს. ამიტომ ჩვენ არ ვიკითხვართ, არიან თუ არა ერთმანეთთან ლოგიკური კავშირში დანაშაულისა და სასჯელის, საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალის, ბრალისა და სასჯელის და ა. შ. ცნებები.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით მოკლედ მაინც შევეხებით პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემას. პრობლემის არსი, რომელიც აქ გვინდა წარმოვაჩინოთ, შემდეგში მდგომარეობს: დადგენილია, რომ სასჯელი ფსიქოლოგიურად განიცდება როგორც იძულება, ტანჯვა თავისუფლების აღკვეთისა თუ მისი შეზღუდვის გამო. მაგრამ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნების თანახმად, დანაშაულის სუბიექტი ყოველთვის საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილით მოქმედებს და არასოდეს არაა იძულებული ეს შედეგები გამოიწვიოს. შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება იძულების ცნებას საერთოდ არ იცნობს. სასჯელი კი იძულებად ფსიქოლოგიური განცდის გარეშე შეუძლებელია. მოკლედ რომ ვთქვათ, პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება იძულების ფსიქოლოგიურ განცდას ლოგიკურად გამორიცხავს. ხოლო, სასჯელის ცნება, პირიქით, იძულების ცნებას ლოგიკურად მოითხოვს. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვა და

სასჯელი ფსიქოლოგიურად გამორიცხვენ ერთმანეთს, რის გამოც აღნიშნულ ცნებათა ლოგიკური კავშირის დასაბუთება შეუძლებელია.

საქართველოს სსრ სსკ მე-9 მუხლის თანახმად, დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ჩაითვლება თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა მათი დადგომა.

რაკი პირდაპირი განზრახვის აღნიშნული ცნება საბჭოთა სისტლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც თითქმის გაბატონებულია, ლიტერატურის დაწვრილებითი ანალიზი საჭიროდ არ მიგვაჩნია. შევებებით ზოგიერთ ტიპურ თვალსაზრისს.

ი. ფილანოვსკი ეხება პირდაპირი განზრახვის ნებელობით ასპექტს და ასეთ მაგალითს იშველიებს: დივერსანტს, რომელიც ხიდის აფეთქებას ორგანიზაციულად ზელმძღვანელობს, არ სურს ადამიანთა დაღუპვა, მაგრამ რამდენადაც მას ადამიანთა დაღუპვის გარდუვალობა შეგნებული აქვს, ის მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. ვინაიდან ადამიანთა დაღუპვის გარდუვალობის შეგნება იმდენად ახლოსაა მათი დაღუპვის სურვილთან, რომ აქ პირდაპირი განზრახვის არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს<sup>1</sup>.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ავტორი ლოგიკურად თანმიმდევრული არ არის. თავდაპირველად იგი ამტკიცებს, რომ დივერსანტს არ სურს ადამიანთა დაღუპვა, მაგრამ რაკი აქ ადამიანთა დაღუპვის გარდუვალობა შეგნებულია, ადამიანთა დაღუპვაც დივერსანტის სურვილის საგანს შეადგენს. მაშასადამე, დივერსანტს ერთსადაიმავე დროს არ სურს ადამიანთა დაღუპვა და სურს კიდევ. ამ წინააღმდეგობის მიზეზი, როგორც ჩანს, ისაა, რომ ადამიანთა დაღუპვის გარდუვალობის შეგნება თურმე მათი დაღუპვის სასურველობაზეც ნეტყველებს. მაგრამ „შეგნება“ პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ნიშანია, ხოლო, განა ინტელექტს შეუძლია არასასურველი შედეგი სასურველად აქციოს? სამწუხაროდ, თითქმის გაბატონებულია დებულება, რომლის თანახმად, საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შეგნება ამავე დროს მათ სასურველობაზეც მეტყველებს. მაგალითად, ა. რაროვი წერს: „სასურველია ისეთი შედეგებიც, რომლებიც, მიუხედავად მათდამი სუბიექტის უარყოფითი დამოკიდებულებისა, წარმოუდგებიან მას საჭიროდ და გარდუვალად მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზაზე“<sup>2</sup>. და შემდეგ: „თუ ადამიანი თავის ნებას წარმართავს იმ მოქმედების ჩასადენად, რომელსაც წინასწარშეცნობით საზოგადოებრივად საშიში შედეგები მოჰყვა, მაშინ ამ შედეგების არასასურველობის შესახებ ლაპარაკი უადგილოა“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, თურმე იმ შემთხვევაშიც კი, როცა რომელიმე საზოგადოებრივად საშიში შედეგი სუბიექტისათვის აშკარად არასასურველია და მომავალი შესაძლო უსიამოვნების წყაროა, ეს შედეგი უეჭველად სასურველია თუ მისი დადგომა ინტელექტუალურად იყო გათვალისწინებული, მაშასადამე, თუ რომელიმე საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა ინტელექტუალურად გათვალისწინებულია, მაშინ ის სასურველია კიდევ, მაგრამ

<sup>1</sup> И. Г. Филиановский, Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, ЛГУ, 1970, с. 131.

<sup>2</sup> А. Н. Рарог, Общая теория вины в уголовном праве, М., 1980, с. 37.

<sup>3</sup> იქვე.

ნუთუ შედეგისადმი ინტელექტუალური დამოკიდებულებების მიხედვით ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავასკვნათ ამ შედეგისადმი ეტიოტი დამოკიდებულების ხასიათზე? სწად არის აქ ინტელექტისაგან ნებისმიერ შემთხვევაში და მოუკიდებლობა?

სამწუხაროდ, განზრახვის ცნებებში ნებისა და ინტელექტის განსაზღვრადობა ნათელი არ არის. მაგალითად, პ. დაგელი წერდა: „თუ პირდაპირი განზრახვისა და არაპირდაპირი განზრახვის ნებითი ნიშნები განსხვავებულია, მაშინ ეს განსხვავება მათს ინტელექტუალურ მხარეშიც უნდა ასახვობს“<sup>4</sup>. მაგრამ ავტორი იქვე წერდა, რომ „განზრახვის ინტელექტუალური ნიშანი საერთოა როგორც პირდაპირი განზრახვისათვის, ისე არაპირდაპირი განზრახვისათვის. ინტელექტუალურ მომენტის მიხედვით მათ შორის სხვაობის დადგენის ცდები არ ემყარება კანონს და არსებითად შეცდომაა“<sup>5</sup>. ავტორის მსჯელობებში აშკარა წინააღმდეგობაა: თუ პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის ნებითი ნიშნები განსხვავდებიან, მაშინ ეს განსხვავება მათ ინტელექტუალურ განსხვავებაშიც უნდა გამოვლინდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ინტელექტისა და ნების კავშირი შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ დებულება, რომ საზოგადოებრივად საშიში შედეგების გარდუვალობის შეგნება ამ შედეგების სასურველობაზეც მეტყველებს, ინტელექტზე ნების დავიანის ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს.

მაგრამ ჯერ გამოვცადოთ იგი სასჯელის ცნებაზე. ზოლო შემდეგ უფრო ნათელი გახდება საძიებელი საკითხი, სახელდობრ, დაუშვათ, რომ ყველაფერი ის, რაც შეგნებულია, ამავე დროს სასურველია კიდევ. თუ ეს დებულება ფსიქოლოგიური ზოგადობით ხასიათდება, მაშინ ის ყოველი შეგნებული სტყვიელის ასახვად უნდა გამოდგეს. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ჩვენ ამჯერად მხედველობაში გვაქვს პირდაპირი განზრახვის ფსიქოლოგიური მხარე, რაც მის ზოგადფსიქოლოგიურ გამართულობას მოითხოვს. ამრიგად, პირველი ლოგიკური წინამძღვრის სახით ავიღოთ დებულება: ყველაფერი ის, რაც შეგნებულია, ამავე დროს სასურველია კიდევ. მეორე ლოგიკურ წინამძღვრად ავიღოთ დებულება: მსჯავრდებულს შეგნებული აქვს, რომ მისთვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უნდა მოიხადოს. დაუსჯელობის რწმენა უფრო რეალურია იქამდე, სანამ დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სასჯელის მოხდა არ დაუქისრებიან.

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია ავაგოთ შემდეგი ლოგიკური მსჯელობა:

1. ყველაფერი ის, რაც შეგნებულია, ამავე დროს სასურველია კიდევ;
2. მსჯავრდებულს შეგნებული აქვს, რომ დანიშნული სასჯელი უნდა მოიხადოს.

დასკვნა: მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოხდა სასურველია;

ამრიგად, თუ სწორია დებულება, რომ ყველაფერი ის, რაც შეგნებულია, ამავე დროს სასურველია კიდევ, როგორც ეს პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნებიდან გამომდინარეობს, მაშინ, რაკი მსჯავრდებულს შეგნებული აქვს დანიშნული სასჯელის მოხდის გარდუვალობა, მას, მაშასადამე, უნდა სურდეს სასჯელის მოხდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, სასჯელი მსჯავ-

<sup>4</sup> П. С. Дагель, П. Д. Котов, Субъективная сторона преступления и ее установление. Воронеж, 1974, с. 38.

<sup>5</sup> 3. დაგელისა და 3. კოროვის დასახ. ნაშრომი, გვ. 37.



რდებულის სურვილის საგანს უნდა შეადგენდეს. თუ ეს დებულება დამტკიცდა, მაშინ პირდაპირ განზრახვისა და სასჯელის ცნებებს შორის ფსიქოლოგიურ-ლოგიკური კავშირი დავას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ როგორც კი ვიტყვით, რომ სასჯელი სახელმწიფო იძულების განსაკუთრებულ ღონისძიებას თუ ზომას წარმოადგენს, მაშინვე აღმოჩნდება პირდაპირ განზრახვისა და სასჯელის სრული ფსიქოლოგიური დაპირისპირება. ამიტომ უნდა მივიღოთ ან ერთი ან მეორე: ან სწორია დებულება, რომ ყველაფერი ის, რაც შეგნებულია, სასურველია კიდევ. მაშინ სასჯელი მსჯავრდებულის სურვილის საგანს შეადგენს, ან სასჯელი სახელმწიფო იძულების ზომაა, და მაშინ მცდარია დებულება, რომლის თანახმად, ყველაფერი ის, რაც ინტელექტუალურად შეგნებულია, ამავე დროს სასურველია კიდევ. ეს, რა თქმა უნდა, წმინდა ლოგიკურად, ხოლო თეორიულად სერიოზული არც იქნებოდა ექვის შეტანა იმ საყოველთაოდ ცნობილ დებულებაში, რომ სასჯელი ფსიქოლოგიურად განიცდება, როგორც იძულება. ტანჯვა თავისუფლების აღკვეთისა თუ მისი შეზღუდვის გამო. „ყოველი სასჯელი. — წერდა ა. პიონტოვსკი. — ყოველთვის არის დაკავშირებული მსჯავრდებულისათვის სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული ტანჯვის მიყენებასთან. ეს ყოველი სასჯელის აუცილებელი თვისებაა. უარყოფს — ნიშნავს თვალი დახუჭო სინამდვილის წინაშე“<sup>6</sup>.

ცხადია, სასჯელის განცდა სინდისის ქენჯნის მორალურ ფენომენთანაც არის დაკავშირებული. ამის გამო არ არის გამორიცხული შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩამდენი პირი ინანიებს და ბრალის გამოსყიდვის მიზნით დასჯაზე ნებაყოფლობით თანხმდება, მაგრამ აქაც უნდა გავითვალისწინოთ ის მოტივი, რომელიც სუბიექტს იძულებს მოითხოვოს საკუთარი თავის დასჯა. ამასთან, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ თავისუფლება ადამიანისათვის, როგორც ცნობილია, სიცოცხლეზე ძვირად ფასობს, მაშინ გასაგები უნდა იყოს თავისუფლებაში ყოფნის სურვილის ინტენსივობა და მისი აღკვეთისა თუ შეზღუდვის გამო ტანჯვა. სასჯელი ფსიქოლოგიური მხრივ იძულებად, ტანჯვად რომ არ განიცდებოდეს, მაშინ მისი ეფექტურობა ფრიად საეჭვო იქნებოდა. რასაკვირველია, სასჯელის პრობლემა მხოლოდ ფსიქოლოგიურად ვერ გადაწყდება, მაგრამ სასჯელის, ასე ვთქვათ, პირველადი გამოვლინების ეფექტი მისი ფსიქოლოგიური იძულების სახით განცდის გარეშე შეუძლებელია. როგორც მართებულად მიუთითებს ფ. სუნდუროვი, „სასჯელი, ისევე როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მთლიანად, არის არა მარტო სოციალური პრობლემა, არამედ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური პრობლემაც. სასჯელს შესაბამისი ეფექტი მხოლოდ მაშინ ექნება, როცა იგი ადამიანში შესაბამის „გამოძახილს“ გამოიწვევს. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის აღქმის პრობლემა, ე. ი. მსჯავრდებულში გრძნობიერი ტანჯვა და სასჯელის განცდა“<sup>7</sup>.

ამრიგად, სასჯელი მსჯავრდებულის სურვილის საგანს არ შეადგენს არც მაშინ, როცა იგი საზოგადოების წინაშე ბრალის გამოსყიდვის მიზნით იძულებულია თავისი თავის დასჯაზე დათანხმდეს. სასჯელი, მაშასადამე, ფსიქოლოგიურად განიცდება, როგორც იძულება. ამიტომ სასჯელი ფსიქოლოგიურად არ უკავშირდება პირდაპირი განზრახვის ტრადიციულ ცნებას, რომელიც

<sup>6</sup> «Курс советского уголовного права», т. III, «Наука», М., 1970, с. 26.

<sup>7</sup> Ф. Р. Сундуоров, Лишение свободы и социально-психологические предпосылки его эффективности, Казанский гос. ун., 1960, с. 15.

იძულების ცნებას, როგორც იტყვა, არ იცნობს. ამდენად, იმისათვის, რომ ნიშნულ ცნებებს შორის ფსიქოლოგიური კავშირი დამყარდეს, რჩება ერთი გამოსავალი: პირდაპირი განზრახვის ცნება უნდა აიგოს ისე, რომ ის ფსიქოლოგიურ იძულებას არ უნდა გამორიცხავდეს. მაგალითად, მკვლელობა ანგარებით ფსიქოლოგიურად წარიმართება არა ადამიანის მკვლელობის სურვილით, არამედ ქონებრივი გამორჩენის სურვილით. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში ამტკიცებენ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სასურველია სუბიექტისათვის როგორც დაზარალებულის სიკვდილი, ისე ქონებრივი გამორჩენა. მოვიტანთ ერთ ტიპურ მაგალითს:

გ. ზლობინი და ნ. ნიკიფოროვი, რომლებმაც განზრახვის პრობლემას მონოგრაფიული ნაშრომი მიუძღვნეს, ეხებიან რა ანგარებით მკვლელობას რსფსრ სსკ 102-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით. წერენ: „განზრახი მკვლელობაა, თუ ბრალდებული ითვისწინებდა, რომ დანაშაულის ჩადენის შედეგად ის გამორჩენას მიიღებდა და სურდა ეს“<sup>8</sup>. მაგრამ ამავე დროს წერენ, რომ დამნაშავეს სურს ადამიანის სიკვდილი იმ შემთხვევაშიც, როცა ის მკვლელობას სჩადის „იმისათვის, რომ მოკლულის ქონებას დაეუფლოს“<sup>9</sup>.

გამოდის, რომ დანაშაულის სუბიექტი ერთდროულად მოქმედებს ორი სურვილით: ქონებრივი გამორჩენის სურვილით და ამ ქონების პატრონის მკვლელობის სურვილით. ეს ფსიქოლოგიურად იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ერთდროულად შეუძლია იმოქმედოს ორი მოქმედებით ანუ ორი მოტივით. მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავდა დ. უზნაძე, „ქცევა იმდენივეა, რამდენიც მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს“<sup>10</sup>. მაშასადამე, გადაწყვეტილებას ანგარებით მკვლელობის ჩასადენად აღძრავს არა დაზარალებულის მკვლელობა, როგორც ასეთი, არამედ ქონებრივი გამორჩენა. ამიტომ საკვებით ბუნებრივია პროფ. ბ. ხარაზიშვილის შემდეგი მსჯელობა: „თუ სუბიექტს ამოძრავებს ქონებრივი გამორჩენის მოთხოვნილება და მოქმედებს იმისათვის, რომ მიაღწიოს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფინალს ანუ მიზანს, როგორ შეიძლება მას ამოძრავებდეს სხვისი სიცოცხლის მოსპობის სურვილი? მაშინ სურვილი რას უკავშირდება ფსიქოლოგიურად? დამოუკიდებელი ქცევის კომპონენტია? რა თქმა უნდა, არა“. და შემდეგ: „სხვისი სიცოცხლის მოსპობა ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურად ქცევის განხორციელების ხერხია, რომელიც თუმცა ეწინააღმდეგება სუბიექტის სურვილს, მაგრამ ის მაინც იძულებულია გამოიყენოს იგი. მაგალითად, სუბიექტი არ მოელოდა, თუ გასაჭურდ ობიექტს ყარაული ეყოლებოდა. ამიტომ იგი იძულებულია მას რევოლვერი ესროლოს და მოკლას. სხვანაირად ქონებას ვერ გაიტაცებდა“<sup>11</sup>.

ამ მსჯელობაში ჩვენთვის საინტერესო კუთხით თითქმის ყველაფერია ნათქვამი. მთავარი აქ ისაა, რომ ანგარებითი მკვლელობის შემთხვევაში ფსიქოლოგიურად ქცევა გამოხატულია ქონებრივი გამორჩენის მოტივში, ხოლო ამ მიზნით სხვისი სიცოცხლის მოსპობა დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური ქცევა კი არ არის, არამედ ის ხერხია, რომლის გამოყენებითაც ქონებრივი გამორჩენის მიზანი ხორციელდება. მეორე მხრივ, ირკვევა, რომ პირდაპირი გან-

<sup>8</sup> Г. А. Злобин, Н. С. Никифоров, Умысел и его формы, «Юрид. лит.», 1872, с. 57.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>10</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 3-4, თბილისი, 1964, გვ. 212.

<sup>11</sup> ბ. ხარაზიშვილი, სიცრუის ფსიქოლოგია, თბილისი, 1975, გვ. 164-165.

ზრახვა ფსიქოლოგიურ იძულებას სრულიადაც არ გამოირიცხავს, ყარაულის მკვლელობა არის ქონების გატაცების ის ხერხი, რომელიც ფსიქოლოგიური იძულების ვითარებაშია გამოყენებული. თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ადამიანი იშვიათად არ არის იძულებული მიმართოს ისეთ ხერხს, რომელიც დანაშაულად ითვლება. მაგრამ აქ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სოციალური იძულება და ფსიქოლოგიური იძულება. დანაშაულის გენეზისში სოციალური იძულების პრობლემა ვრცელ ფილოსოფიურ-კრიმინოლოგიურ მსჯელობას მოითხოვს. ფსიქოლოგიური იძულება სოციალური იძულებისაგან მოწყვეტილი არ არის, მაგრამ არც მასზე დაიყვანება. სოციალურად არავინ აიძულებს სუბიექტს ჯერ გააუპატიუროს ქალი, ხოლო მისგან გაუპატიურებაში მხილების შიშით შემდეგ მოკლას იგი. მაგრამ დაზარალებულის მკვლელობა ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური იძულების ვითარებაშია ჩადენილი. დაზარალებულის მხრივ გაუპატიურებაში მხილების შიში რომ არა, დაზარალებულის მკვლელობას აზრი არ ექნებოდა.

ამრიგად, ირკვევა, რომ პირდაპირი განზრახვა საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილის გარეშეც ყოფილა შესაძლებელი. უფრო მეტიც, პირდაპირი განზრახვა ფსიქოლოგიური იძულების ვითარებაშიც შეიძლება გამოვლინდეს. მაგალითად, ჩადენილი დანაშაულის დაფარვა-განუცხადებლობის შემთხვევაში სუბიექტს ამოძრავებს არა საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის სურვილი, ე. ი. დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ჩაშლის სურვილი, არამედ იმის სურვილი, რომ მიაღწიოს მატერიალურ გამორჩენას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაიხსნას ახლო ნათესავი, მეგობარი და ა. შ. სრული აბსურდი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ დედა, რომელმაც თავისი ვაჟის დანაშაული დაფარა, მოქმედებდა დანაშაულთან ბრძოლის ჩაშლის სურვილით. სრულიად პირიქით. იგი მშობლიური გრძნობით მოქმედებდა, სწორედ მშობლიური გრძნობა აიძულებდა მას ემოქმედა თავისი ვაჟის დანაშაულის დაფარვის მიზნით. დედას, როგორც მართებულად აღნიშნავს ო. გამყრელიძე, შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მთელი სიღრმე, მაგრამ რამდენადაც იგი მოქმედებს მშობლიური გრძნობით, მისი ზნეობრივი გაკიცხვის საფუძველიც არ არსებობს.<sup>12</sup>

ამრიგად, საზოგადოებრივად საშიში შედეგების მართოდენ ინტელექტუალური შეგნების ფაქტიდან, ან თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ პირს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საშიშროება და გათვალისწინებული — თავისი ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების გარდუვალობა, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გადაწყვიტოთ საკითხი ამ შედეგებისადმი სუბიექტის ნებითი დამოკიდებულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ინტელექტუალიზმი გარდუვალი იქნებოდა. სამწუხაროდ, პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება ინტელექტუალიზმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება ადამიანის ქცევის მოტივებს ანგარიშს არ უწევს. ჩადენილია დანაშაული ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვის თუ ეკვივანობის მოტივით. სუბიექტი ყველა შემთხვევაში საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილით მოქმედებს. მაგალითად, ქურდობა პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. ამიტომ პირდაპირი განზრახ-

<sup>12</sup> О. К. Гамкрелидзе, Укрывательство преступления, совершенного близкими родственниками, «Новая Конституция СССР и актуальные вопросы борьбы с преступностью», «Мещинереба», Тбилиси, 1979, с. 82—84.

ვის ტრადიციული ცნების ლოგიკით ქურდი მოქმედებს მესაკუთრისათვის ანის მიყენების სურვილით, ვინაიდან ქურდობის საზოგადოებრივად საშიში შედეგი არის მესაკუთრისათვის მატერიალური და მორალურ-პოლიტიკური ზიანის მიყენება. სინამდვილეში კი სუბიექტს შეგნებული აქვს, რომ იგი ზიანს აყენებს მესაკუთრეს, მაგრამ მოქმედებს არა ამ ზიანის მიყენების სურვილით, არამედ ქონებრივი გამორჩენის სურვილით.

გასაგები უნდა იყოს, რომ შედეგისადმი ინტელექტუალური დამოკიდებულების მიხედვით არ შეიძლება მექანიკურად გადაწყდეს ამ შედეგებისადმი ნებითი დამოკიდებულების საკითხი. ამიტომ მართებულია აზრი, რომ შედეგებისადმი ნებითი დამოკიდებულების საკითხი უნდა გადაწყდეს დანაშაულებრივი ქცევის მოტივების მიხედვით<sup>13</sup>. მართლაც, თუ მაგალითად, დანაშაული ჩადენილია ეკვიანობის, შურისძიების ან სისხლის აღების ნიადაგზე, მაშინ საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილი საეჭვო არ უნდა იყოს. სუბიექტს ამ შემთხვევაში სურს დაზარალებულის სიკვდილი ან ქონების დაზიანება-განადგურება. მაგრამ თუ სუბიექტი მოქმედებს ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვის ან სხვისი დანაშაულის დაფარვის მიზნით, მაშინ საზოგადოებრივად საშიში შედეგი შეგნებულია. მაგრამ სასურველი არ არის: სასურველია ქონებრივი გამორჩენა, სხვა დანაშაულის დაფარვა, ახლო ნათესავის დახსნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

ამრიგად, პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება ინტელექტზე ნების დაყვანის ტენდენციით ხასიათდება: საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი სუბიექტის ინტელექტუალური დამოკიდებულების მიხედვით გადაწყვეტილია ამ შედეგებისადმი მისი ნებითი დამოკიდებულება. ამის გამო ნება აქ მოკლებულია შეფარდებით დამოუკიდებლობას. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამ ლოგიკით ნება არც კი არსებობს. მაგრამ ადამიანი, რომელიც მხოლოდ ინტელექტის ამარაა დარჩენილი, ჰგავს რობოტს, რომელსაც იძულების ფსიქოლოგიური განცდა არ შეუძლია. ასეთ ადამიანს ვერ აიძულებ, ვინაიდან მას ხომ ნება არა აქვს! ინტელექტის იძულება შეუძლებელია: იძულება მხოლოდ ნებას მიეწერება, მაგრამ რაკი აქ ნება ინტელექტზეა დაყვანილი. ხოლო ინტელექტის იძულება შეუძლებელია. „იძულების“ ფსიქოლოგიური დასაბუთება შეუძლებელი აღმოჩნდა. აი, რატომაა, რომ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება და სასჯელის ცნება ფსიქოლოგიურად გამორიცხავენ ერთმანეთს. ეს კი დაუშვებელია, ვინაიდან პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ფსიქოლოგიურ-ლოგიკური კავშირი ადამიანის ბუნების გაგებაზეა დამოკიდებული. შეუძლებელია იმის დაჩერება, რომ რეალურად არსებობს ადამიანი, რომელიც დანაშაულის ჩადენაში არასოდეს არ იქნებოდა იძულებული და ყოველთვის საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილით იმოქმედებდა. საზოგადოდ, არ არსებობს ადამიანი, რომელიც ინტელექტის, ნებისა და ემოციის გარკვეული ერთიანობით არ ხასიათდება. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება ადამიანის ბუნების დამახინჯების შედეგია. ეს კი არა მარტო ფსიქოლოგიური შეცდომაა, არამედ მსოფლმხედველობრივი შეცდომა: ადამიანის ბუნების სწორად გაგების გარეშე სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის ლოგიკური დასაბუთება შეუძლებელია.

მაგრამ პირდაპირი განზრახვის მსოფლმხედველობრივ წანამძღვრებს ცო-

<sup>13</sup> Б. В. Хорнабуджеш, Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981, с. 34.

ტაქტიკადაა შეგვხებდით. აქ კი გვინდა ყურადღება მივაქციოთ პირდაპირი განზრახვის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ასპექტებს. სახელდობრ, პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება „შესანიშნავად“ ემსახურება ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემას: დანაშაულის სუბიექტს ყოველთვის სურს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, მაშასადამე, ის არასოდეს არაა იძულებული იმოქმედოს თავისი ნების წინააღმდეგ. დანაშაულში სოციალური იძულება ანუ დანაშაულის სოციალური ფესვები არ არსებობს და ყველაფერი „ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებით“ უნდა აიხსნას. მაშასადამე, დანაშაულის სუბიექტი აბსოლუტურად თავისუფალია: თვითონ მას რომ არ სურდეს დანაშაულის ჩადენა, მაშინ დანაშაული სოციალიზმის დროს გამორიცხული იქნებოდა.

სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება იმ ყალბი იდეოლოგიის გამოხატულებაა, რომლის თანახმად, სოციალიზმის დროს დანაშაულის სოციალური ფესვები არ არსებობენ და, მაშასადამე, დანაშაული ცალკეულ პირთა თვითნებობით, მათი დაბალი შეგნებით უნდა აიხსნას? ამგვარი იდეოლოგია ხომ ძირეულად ეწინააღმდეგება კრიმინოლოგიას.

არანაკლებ საშიშია პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნებიდან გამომდინარე პოლიტიკური დასკვნა: სოციალისტური ქონების ხელმყოფს სურს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, ე. ი. საბჭოთა ეკონომიკური საფუძვლისათვის ძირის გამოთხრა. მაშასადამე, სოციალისტური ქონების ხელმყოფი „ხალხის მტერია“. გასაგები უნდა იყოს, რომ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება აშკარად ყალბი, მაგრამ ფრიად საშიში პოლიტიკური დასკვნის საფუძველია. იგი საშუალებას იძლევა დასაბუთდეს არაერთი ყალბი პოლიტიკური ბრკლდება. იგი 30-იანი წლების რეპრესიულ პოლიტიკას ესადაგება.

მოკლედ შევეხთ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნების მსოფლმხედველობრივ წანამძღვრებს. სახელდობრ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ცნება ჰეგელიანიზმის კონკრეტული გამოვლინებაა. აქ ადგილი არ არის ამ მხრივ მსჯელობის გასაშლელად, მაგრამ მოკლედ მაინც უნდა ითქვას შემდეგი: ჰეგელის ფილოსოფიაში სასჯელი დამნაშავის ნების გამოვლინებაა, რით უნდა აიხსნას ეს? თავდაპირველად ის უნდა ითქვას, რომ ჰეგელი წინა პლანზე წამოსწევს ხოლმე ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების საკითხს და ამ პოზიციიდან საკმაოდ მოხდენილად ჰკითხავს ა. ფოიერბახს, რომლის „ფსიქოლოგიური იძულების თეორია“, ჰეგელის თქმით, დამნაშავეს აყენებს მდგომარეობაში, იმ ძალისა, რომელსაც ჯობის დაქნევით აშინებენ<sup>14</sup>.

ჰეგელი „ფსიქოლოგიური იძულების“ თეორიას ვერ დაეთანხმება, ვინაიდან ეს თეორია არსებითად ეწინააღმდეგება ჰეგელის ფილოსოფიის ძირითად ტენდენციას სწორედ ნებისა და ინტელექტის თანაფარდობის საკითხში. სახელდობრ, სასჯელი, ჰეგელის აზრით, დანაშაულის სუბიექტის ნების გამოვლინებაა იმიტომ, რომ ამას აბსოლუტური იდეის ინტერესები მოითხოვს. ეთანხმება რა ბეკარიას, რომ ადამიანი თვითონ იძლევა თანხმობას სასჯელზე, ჰეგელი დასძენს, რომ ამ თანხმობას დანაშაულის ჩამდენი პირი უყვე თავისი მოქმედებით აცხადებს. „როგორც დანაშაულის ბუნება, ისე დამნაშავის ნება, — ასკვნის ჰეგელი, — მოითხოვენ მოხსნილი იქნეს მისგან გამომდინარე სამართალდარღვევა“<sup>15</sup>.

<sup>14</sup> Hegel, Philosophie des Rechts, t. 7, M.-L., 1934, c. 117.

<sup>15</sup> იქვე, 33-118.

აქ უნდა გავითვალისწინოთ ჰეგელის ფილოსოფიისათვის ფუნდამენტური დებულება, რომლის თანახმად, ნება სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების განსაკუთრებული ხერხი, რაც საბოლოო ანგარიშით ინტელექტზე ნების დაყვანის საფუძველია: ნებამ ის უნდა აკეთოს, რაც აბსოლუტური იდეის თვითშემეცნებას ემსახურება. ამიტომ დანაშაულის ჩამდენ პირს უნდა სურდეს სასჯელი, რათა მოხსნას დანაშაული და ამით აბსოლუტური იდეის ნება განაზორციელოს. აბსოლუტური იდეის ეს თვითშემეცნება ოდესმე დასრულდება კიდევ და ამ პოზიციიდან აბსოლუტური იდეა თავის განვილილ გზებს ისე გამოჰხედავს ხოლმე, როგორც მოხუცი — თავის განვილილ ცხოვრებას. ჰეგელის სიტყვით: „აბსოლუტური იდეა შეიძლება შევადაროთ მოხუცს, რომელიც იმავე რელიგიურ დებულებებს გამოთქვამს, რასაც ბავშვი, მაგრამ მოხუცისათვის მათ მთელი ცხოვრების მნიშვნელობა ექნებათ“<sup>16</sup>.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების სასურველ ეტაპზე ნება უკვე საჭირო აღარ არის, ვინაიდან მიღწეულია ის, რისი მიღწევაც სასურველი იყო. იქამდე კი, სანამ აქ აბსოლუტური იდეის თვითშემეცნება დასრულდება, ნება ინტელექტის მიმართულებით უნდა მოქმედებდეს და არა მის საწინააღმდეგოდ. ამდენად ნების იძულების დაშვება ჰეგელის ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობის დაშვება იქნებოდა. მაშასადამე, სასჯელი დამნაშაულის სურვილის საგანს უნდა შეადგენდეს, როგორც ეს პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნების ლოგიკით გამოვიდა. ეს ნათესაობა შემთხვევითი არ უნდა იყოს; საბჭოთა იურისტი-მეცნიერები ნებისა და ინტელექტის თანაფარდობის საკითხში აკრიტიკებენ კანტს და ეთანხმებიან ჰეგელს. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება ინტელექტუალიზმის ჰეგელიანური ტენდენციის გამოვლინებაა.

გასაგები უნდა იყოს, რომ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ცნება შესწორებას მოითხოვს, იგი უნდა შესწორდეს როგორც ინტელექტუალური თვალსაზრისით, ისე ნებითი თვალსაზრისით. სახელდობრ, ინტელექტუალური ასპექტით პირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივად საშიში შედეგების კატეგორიული გათვალისწინება. ახუ მათი გარდუეალად დადგომის შეგნება მაშინ, როდესაც ევენტუალური განზრახვისათვის დამახასიათებელია ამ შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება. სხვათაგან ინტელექტისა და ნების კავშირის დასაბუთება შეუძლებელია. მართლაც, თუ პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის ნებითი ასპექტები განსხვავებულია, მაშინ განსხვავებული უნდა იქნეს მათი ინტელექტუალური ასპექტებიც. მაგრამ საქმე ასე მარტივი არ არის: ნებითი ასპექტით პირდაპირი განზრახვა ერთგვაროვანი არ არის: როგორც უკვე ვნახეთ, პირდაპირი განზრახვა ზოგჯერ ვლინდება კიდევ საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილში. მაგრამ ზოგჯერ არ ვლინდება ამ სურვილით. მაგალითად, ჯაშუშობა ანგარებით ხორციელდება არა იმ სურვილით, რომ ზიანი მიაღდეს სახელმწიფოს ინტერესებს. — ეს მას შეგნებული აქვს, უფრო სწორად, გათვალისწინებული აქვს, რომ უცხოეთის აგენტურისათვის მის მიერ გადაცემული სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოება თავისი სახელმწიფოს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. — მაგრამ იგი მოქმედებს ქონებრივი გამორჩენის სურვილით და არა სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების სურვილით, მიუხედავად ამისა, ჯაშუშობა ამ შემთხვევაში ხორციელდება პირდაპირი განზრახვით

<sup>16</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., გვ. 436.

და არა ევენტუალური განზრახვით, როგორც ეს ზოგიერთ კრიმინალისტს მი-  
აჩნია — ანგარება და ევენტუალური განზრახვა შეუთავსებელი ცნებებია.

ჩვენი აზრით, პირდაპირი განზრახვის ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩა-  
მოვაყალიბოთ: „დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ჩაითვლება,  
თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული პქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის  
საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად  
საშიში შედეგების გარდუვალობას და სურდა ისინი ან იყენებდა მათ სხვა  
მიზნების ხეობებად“.

ამ ცნებაში ინტელექტუალური მხრივ შეტანილია საზოგადოებრივად  
საშიში შედეგების გარდუვალად დადგომის გათვალისწინება, მაშინ, როდეს-  
საც ევენტუალური განზრახვისათვის დამახასიათებელია აღნიშნული შედეგე-  
ბის შესაძლებლობის გათვალისწინება. ნებითი მხრივ კი პირდაპირი განზრახ-  
ვა ვლინდება საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილში, როცა ეს შე-  
დეგები სუბიექტის მიზანს შეადგენენ. და არ ვლინდება მაშინ, როცა ეს შე-  
დეგები რაიმე სხვა მიზნის საშუალებას თუ ხერხებს წარმოადგენენ.

ამრიგად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აღნიშნული ცვლილება საშუალებას  
იძლევა ინტელექტზე ნების დაყვანა თავიდან იქნეს აცილებული, ვინაიდან  
ამ ცნებაში გათვალისწინებულია პირდაპირი განზრახვა იმ შემთხვევაში, როცა  
სუბიექტი საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილით მოქმედებს, და ის  
შემთხვევადაც, როცა სუბიექტი ამ შედეგებს სხვა მიზნების ხეობებად იყენებს.  
ამ უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტი არ შეიძლება აღნიშნული შედეგების  
სურვილით მოქმედებდეს. უფრო მეტიც, იგი შეიძლება იძულებულიც კი იყოს  
იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით. მაგალითად, ნუთუ სადავოა, რომ  
მუქარის ზეგავლენით ჩადენილი დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხორცი-  
ელდება, მაგრამ სუბიექტი ფსიქოლოგიურად იძულებულია ამ მუქარას ან-  
გარიში გაუწიოს? სად არის აქ საზოგადოებრივად საშიში შედეგების „სურ-  
ვილი“, რანაირად შეიძლება ფსიქოლოგიური იძულების ვითარება ხელოვნუ-  
რად მისი საპირისპირო „სურვილით“ შევცვალოთ?

დანაშაულის ჩადენა მუქარის ან იძულების ზეგავლენის ვითარებაში შე-  
საძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით: სუბიექტს შეგნებული აქვს  
თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, გათვალისწინებული —  
საზოგადოებრივად საშიში შედეგების გარდუვალობა, მაგრამ ეს შედეგები კი  
არ სურს, არამედ იძულებულია გამოიყენოს ისინი მუქარაში გამოთქმული სა-  
შიშროების თავიდან აცილების ხერხად ან დაემორჩილოს გარკვეულ ძალას.  
სრულიად ელემენტარული არათანმიმდევრობაა სისხლის სამართლის კანონში,  
როცა პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო ცნებაში საზოგადოებრივად  
საშიში შედეგების სურვილზეა ლაპარაკი, ხოლო, როცა საჭირო გახდა პასუ-  
ხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინება ელემენტა-  
რული საყოფაცხოვრებო პრაქტიკის მიხედვით, გაირკვა, რომ პირდაპირი გან-  
ზრახვა თურმე ფსიქოლოგიური იძულების ვითარებაშიც ყოფილა შესაძლე-  
ბელი. „სურვილი“ და „იძულება“ ერთმანეთს გამოირიცხავენ.

მედიკალიზაცია

## მედიკალიზაცია

მედიკალიზაცია, რაც დღეს უფრო პროსტიტუციის სახელწოდებით არის ცნობილი, უხსოვარი დროიდან არსებობს. ამიტომ მას უძველეს პროფესიასაც უწოდებენ. მიუხედავად მედიკალიზაციის პრობლემის დიდ სიმწვავესა, საქართველოში მის შესახებ ნაკლებად იყო ცნობილი 30-იანი წლების შემდეგ. ვინაიდან მას ტაბუ ჰქონდა დადებული მთელი ამ ხნის მანძილზე. იმის გამო, რომ მედიკალიზაციის შესახებ უძრობის პირობებში არაფერი იწერებოდა. ბევრი დღემდე თვლის, რომ ეს პრობლემა საქართველოში არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში. იგი რაიმე სერიოზულ სოციალურ საფრთხეს არ წარმოადგენს. სინამდვილეში, მედიკალიზაციას არ დაუკარგავს აქტუალობა საქართველოს გასაბჭოების შვიდი ათეული წლის მანძილზე. უკანასკნელ წლებში კი მან განსაკუთრებით მწვავე სასიათი მიიღო.

დიდი ხანია დავაა მედიკალიზაციის ცნების განსაზღვრის გამო. საერთაშორისო წერილის მოცულობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მეცნიერული შეფასება მიეცეს მოდერნული მხარეების მიერ ამ საკითხის გარშემო გამოთქმულ მოსაზრებებს. ამიტომ მოკლედ ვიტყვი: სპეციალისტების ერთი ნაწილი მეტად აფართოვებს ამ ცნების შინაარსს, მიიჩნევს რა მედიკალიზაციად გამოარჩენაზე დამყარებულ მამაკაცისა და ქალის ყოველგვარი ქორწინებისგარეშე სქესობრივ ურთიერთობებს, ზოგიერთი კი ანგარებით პომოსექსუალურ კონტაქტებსაც.

ჩემი აზრით, მედიკალიზაცია არის ქალების მიერ საკუთარი სხეულით ნებაყოფლობითი ან იძულებითი ვაჭრობა ხელობის სახით. რაც წარმოადგენს საარსებო სახსრების მოპოვების ძირითად ან დამატებით წყაროს. მედიკალიზაციის ცნების ამგვარი გაგების დროს მედავეებად უნდა მივიჩნიოთ ის ქალები, რომლებიც თავიანთი ინიციატივით ან ვისიმე მხრიდან იძულებით სისტემატიურად შედიან სქესობრივ კონტაქტში ნებისმიერ მამაკაცთან წინასწარ მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრული ოდენობის მატერიალური გასამრჯელოს მიღების მიზნით, რაც წარმოადგენს მათი არსებობის ძირითად ან დამატებით წყაროს. პროფესიონალი მედავეები არიან ის ქალები, რომელთათვისაც საკუთარი სხეულით ვაჭრობა არის არსებობის ძირითადი წყარო, ხოლო ნაბეგრადპროფესიონალები — ვისთვისაც ეს შემოსავალი არის არსებობის დამატებითი წყარო. ხელფასთან, პენსიასთან ან რაიმე სხვა სახის კა-

1 პირველი ჩემი წერილი „პროსტიტუციის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგადი შედეგი“ გამოქვეყნდა 1987 წ. ქუროს „საბჭოთა სამართლის“ მეხუთე ნომერში.



ნონიერ შემოსავალთან ერთად. რასაკვირველია, მესმის, რომ მეძავობის ცნების ამგვარი განმარტება არ არის სრულყოფილი და უდაო, მაგრამ იგი ამ სოციალური მოვლენის საზღვრების მეტნაკლებად ზუსტად შემოფარგვლის საშუალებას იძლევა. ამის გარეშე კი შეუძლებელია მისი მეცნიერული კვლევა.

რასაკვირველია, არის ქალების სხვა კატეგორიაც, რომელიც ხშირად შედის სქესობრივ ურთიერთობებში სხვადასხვა მამაკაცთან, მაგრამ ამას უნდა გაროდ აკეთებს. მათ შეიძლება ეწოდოს რაც გნებავთ, მაგალითად, გარყვნილი ქალები, მაგრამ არა მეძავეები. ასევე არ შეიძლება მეძავეებად მივიჩნიოთ ის ქალები, რომლებიც მამაკაცებთან ეპიზოდური ან სისტემატიური სქესობრივი ცხოვრების დროს ეძებენ ამა თუ იმ, თუნდაც მატერიალურ გამორჩენას. მაგალითად, ქალები, რომლებიც საყვარლების კმაყოფაზე ცხოვრობენ, თუმცა მათი საქციელი გასაკიცხად უნდა ვცნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეძავეებად უნდა ჩაგვეთვალა ის ქალებიც, რომლებიც გათხოვდნენ არა სიყვარულით, არამედ რაიმე სხვა მოსახრებით, მაგალითად, იმისათვის, რომ შეძლებულად ეცხოვრათ.

მეძავობის სუბიექტად არ შეიძლება აგრეთვე ვცნოთ მამაკაცი, თუმცა პრაქტიკაში არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალთან სქესობრივი სიახლოვის დროს მათ ესა თუ ის ანგარებითი მოტივი ამოძრავებთ. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცები ამყარებენ სქესობრივ კავშირს ხნიერ ქალებთან და ამისათვის გარკვეულ ფულად გასამრჯელოს იღებენ. არ შეიძლება ჩაითვალოს მეძავობად აგრეთვე მამაკაცებისა და ქალების ანგარებითი პომოსექსუალური კავშირი, რაც, სამწუხაროდ, პრაქტიკაში არც თუ იშვიათად გვხვდება. თუმცა ეს უფრო მეტი უზნეობაა, ვიდრე მეძავობა.

მეძავობის ცნების შესახებ საკუთარი პოზიციის ასეთი მოკლე განმარტების შემდეგ კვლავ დაგუბრუნდები ამ მოვლენის წარმოშობის საკითხს და გავიმეორებ, რომ მეძავობა წარმოიქმნა ჯერ კიდევ მონათმფლობელობის გარიჟრაჟზე. მონათმფლობელურ სახელმწიფოებში, მაგალითად, საბერძნეთში, ქალის სხეულით ვაჭრობა სარფიანი საქმე იყო და მას ფართოდ იყენებდნენ როგორც სახელმწიფო, ისე მონათმფლობელები. მეძავობას მისდევდნენ აგრეთვე თავისუფალი ქალებიც, რისთვისაც მათ ოფიციალური ნებართვა ეძლეოდათ. ფეოდალიზმის ეპოქაში ქალის სხეულით ვაჭრობამ კიდევ უფრო მეტი გაქანება მიიღო. ამ გზით შუა საუკუნეებში დიდ შემოსავალს იღებდა ეკლესია, აგრეთვე ფეოდალები და სახელმწიფო. მეძავობის ასეთმა ფართო გავრცელებამ შუა საუკუნეებში გამოიწვია ვენერიულ სნეულებათა ეპიდემიები. რამაც აიძულა მმართველი წრეები შეეცვალა თავისი პოლიტიკა მეძავობის მიმართ. ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში უკვე XVI-XVII საუკუნეებში მიიღეს მეძავობის საწინააღმდეგო მკაცრი სამართლებრივი ღონისძიებები. მაგალითად, საფრანგეთში სიფილისის ეპიდემიის შემდეგ (1560-1565 წწ.) მეძავობა საკანონმდებლო წესით აკრძალა და დაწესდა მკაცრი სხეულებრივი სასჯელები იმათთვის, ვინც ამ ხელობას მისდევდა. პორტუგალიაში მეძავობისათვის სხვა მკაცრ სასჯელებთან ერთად სიკვდილით დასჯაც იყო დაწესებული.

მიუხედავად ასეთი მკაცრი რეპრესიებისა, მეძავობა არა მარტო არ აღიკვეთა, არამედ კიდევ უფრო გავრცელდა და მახინჯი ფორმები მიიღო. კერძოდ, გაჩნდა სუტენიორობა, როგორც მეძავობის ორგანიზებული ფორ-

მების მნიშვნელოვანი ელემენტი. ამან, თავის მხრივ, საბოლოოდ გამოაშველია მეძავობის შერწყმა დანაშაულებასთან, მაგრამ ეს გაცილებით გვიან, ძირითადად ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში მოხდა. თანამედროვე დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მეძავობის ექსპლოატაციას ეწევიან მსხვილი დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომელთაც ქალის სხეულით ვაჭრობა თავიანთი ბიუჯეტის ზრდის მნიშვნელოვან წყაროდ გადააქციეს. ასეთ ვითარებაში მეძავეები მათი „მეპატრონეების“ კაბალაში აღმოჩნდნენ და იძულებულნი გახდნენ „კლიენტებისაგან“ მიღებული გასამრჯელოს მხოლოდ ერთ და თანაც არც თუ ისე დიდ ნაწილს დასჯერებოდნენ. ამგვარად, დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ამა თუ იმ სახით კონტროლს უწევენ მეძავობას, ახორციელებენ მეძავე ქალების მკაცრ ექსპლოატაციას, მიმართავენ სხვადასხვა ხერხს იმისათვის, რათა ისინი სრულ მორჩილებაში იყოლიონ, ამიტომ მეძავეთა ცხოვრება ხშირად მოკლებულია არა მარტო ქალურ და ადამიანურ ღირსებას, არამედ უბრალო მატერიალურ კეთილდღეობასაც, განსაკუთრებით, როდესაც ხანში შედიან „სასაქონლო ფორმის“, პეწს კარგავენ და უფასურდებიან, თუმცა მათ ჰყავთ თავიანთი „ელიტა“, ვინც „მაღალ საზოგადოებას“ ემსახურება და თავისი განსაკუთრებული ქალური მომხიბვლელობის გამო გარკვეული დროის მანძილზე მაინც ფუფუნებაში ცხოვრობს.

ჩვენშიც ორგანიზებული დანაშაულებობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით ჩნდება იმის საფრთხე, რომ მეძავობაც მის გავლენას დაემორჩილება, მაგრამ დღემდე პირადად მე არ მომეპოვება იმის საბუთი, რომ საქართველოში რეკეტს მეძავე ქალებიც მოეცვას და რომ ისინი „ხარკს“ უხდიდნენ დანაშაულებრივ ელემენტებს, თუმცა საბჭოთა კავშირის ბევრ დიდ ქალაქში რეკეტირებმა უკვე დაადეს თავიანთი „თათი“ მეძავობას. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოში მეძავეები ყოველგვარი გადასახადისაგან იყვნენ განთავისუფლებულნი. ისინი, რასაკვირველია, უხდიან გარკვეულ გასამრჯელოს იმ პირებს, რომლებიც მათ ხელს უმართავენ მეძავობაში, მაგალითად, სასტუმროს დარაჯებს, სართულის მორიგეებს, გარყვნილების ბუნაგის მეპატრონეებს და სხვა, მაგრამ ამას ჯერ კიდევ არ მიუღია ორგანიზებულობის მაღალი ფორმები. დროთა განმავლობაში უნდა ველოდეთ იმას, რომ საქართველო თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მაგისტრალურ ნაკადს შეერწყმება და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ახლებურ ყაიდაზე გარდაქმნის კვალობაზე ჩვენშიც მეძავობა დანაშაულებრივი სამყაროს გავლენის ქვეშ აღმოჩნდება, მაგრამ ამაზე დღეს არ ღირს სიტყვის გაგრძელება...

მეძავობა საზოგადოდ დიდი რეგიონალური განსხვავებულობით ხასიათდება. საქართველოშიც მეძავობას ბევრი თავისებურება გააჩნია, განსაკუთრებული სირთულითა და სიმწვავეით გამოირჩევა. საქმე ისაა, რომ საქართველო თავისი განსაკუთრებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, მაღალი რეკრეაციული პოტენციალით ბევრ ეგზოტიკისა და ფათერაკის, უდარდელი ცხოვრების მაძიებელს იზიდავს. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან მეძავეები, გარყვნილი ქალები და ა. შ., რომლებიც რესპუბლიკაში უკანონოდ ცხოვრობენ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ზოგნი კი სამუდამოდაც აქ რჩებიან. ისინი თავიანთი გარყვნილი თუ ბედუქუდმართი ცხოვრების გამო ხშირად იცვლიან ადგილსამყოფელს, ეწევიან აღვირახსნილ ცხოვრებას, სწრაფად განიცდიან დეგრადაციას, იქცევიან მაწანწალებად, მათხოვრებად და სხვ. მეძავე ქალები სხვა სიგლა-

ბესთან ერთად ვენერიული სნეულებების მთავარი გამავრცელებლებიც არიან რაც რესპუბლიკას დღესაც დიდ ზიანს აყენებს. მაგრამ მთავარი საფრთხე მე-  
ძავობის გავრცელებისა მაინც შიდსის მოსალოდნელი ეპიდემია არის, რად-  
გან სწორედ მეძავი ქალები ქმნიან ამ თვალსაზრისით გაზრდილი რისკის  
ჯგუფს. საკმარისია გაჩნდეს შიდსი მეძავეებს შორის და სრული უკონტროლო-  
ბის პირობებში სულ მალე ეს დაავადება ისედაც მცირერიცხოვანი ქართველი  
ერისათვის ნამდვილ კატასტროფად იქცევა.

ყოველივე ეს გვიკარნახებს ღრმად შევისწავლოთ მეძავობის, როგორც  
სოციალური პრობლემის ბუნება და დავსახოთ მისი თავიდან აცილებისა და  
აღკვეთის ქმედითი ღონისძიებები. სწორედ ამ მიზნით ჩატარდა 80-იანი წლე-  
ბის შუა ხანს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) პირველი მე-  
ძავობის ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა. ამისათვის სპეციალურად  
შედგენილი დიდი მოცულობის კითხვარით (იგი შეიცავს 140-ზე მეტ შეკითხ-  
ვას) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლო-  
გიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ძალებით (ამჟამად ეს კოლექტი-  
ვი აღარ არსებობს, რადგან ლიკვიდირებულ იქნა 1987 წ. დამდეგს ფულადი  
სახსრების უქონლობის მოტივით) მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარდა  
532 მეძავი ქალის ინტერვიუება. შეგროვებული ინფორმაცია დამუშავდა  
თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე. გარდა მასალის სტატის-  
ტიკური გათვლისა, ჩატარდა ორფაქტოროვანი ანალიზი ზოგიერთი მნიშვნე-  
ლოვანი მაჩვენებლის მიხედვით.

მართალია, ამ გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი, როგორც ზემოთ უკვე  
იტყვა. გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1987 წლის მე-5 ნო-  
მერში. აქ საჭიროა მათი ნაწილობრივი გამეორება, რათა მკითხველს ამ  
პრობლემაზე მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეექმნას.

გამოკითხული მეძავი ქალები ასაკის მიხედვით შემდეგნაირად განაწილ-  
დნენ: 18 წლამდე — 3,3 პროცენტი, 18-დან 20 წლამდე — 9,5, 21-დან 25  
წლამდე — 32,4, 26-დან 30 წლამდე — 24,9, 31-დან 40 წლამდე — 16,6,  
41 წლისა და მეტი ხნის — 13,3 პროცენტი. ამგვარად, გამოკითხულთა უდი-  
დესი უმრავლესობა (70,1%) შეადგინა 30 წლამდე ასაკის ქალებმა. ეს  
ბუნებრივიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მეძავეთა ცხოვრება სავსეა  
ისეთი მომენტებით, რაც მათ სწრაფ დაბერებასა და პროფესიულ დევალვა-  
ციას იწვევს. სწორედ ამის გამო უფრო მაღალ ასაკში ბევრი მეძავე ქალი  
იმდენად დეგრადირებულია, რომ მასზე „მოთხოვნილება“ ნულს უახლოვდება.

ეროვნების მიხედვით გამოკითხულთა შორის ქართველებმა შეადგინა  
28,6 პროცენტი, სომხებმა — 8,1, რუსებმა — 38,5, აზერბაიჯანელებმა — 0,6,  
ოსებმა — 2,8, ბერძნებმა — 2,3, აფხაზებმა — 2,1, ებრაელებმა — 1,9, უკ-  
რაინელებმა — 8,5, ქურთებმა — 0,9, სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა —  
5,8 პროცენტი. საგულისხმოა, რომ ერთად აღებულნი რუსები და უკრაინელები  
გამოკითხულთა თითქმის ნახევარს — 47 პროცენტს შეადგენენ მაშინ, რო-  
დესაც მათი ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობაში რამდენჯერმე და-  
ბალია, ვიდრე ქართველებისა და ნაკლებია, ვიდრე სომხებისა. ნიშნავს ეს  
იმას თუ არა, რომ მეძავობა უფრო გავრცელებულია საქართველოში მუდმი-  
ვად მცხოვრებ რუსებსა და უკრაინელებს შორის, ვიდრე ქართველებსა და  
სომხებს შორის. ამის მტკიცების არავითარი საფუძველი არ გამაჩნია. საქმე  
ისაა, რომ რუსი და უკრაინელი მეძავეების ძირითად მასას შეადგენენ დრო-

ეპითი მიგრანტები ან ქალები, რომელთაც მეძავობას ხელი მიჰყვეს თავიანთ სამშობლოში, საქართველოში ჩამოსახლებამდე ბევრად უფრო ადრე და ჩვენთან „გასტროლებზე“ გამოემგზავრნენ. შემდეგ კი მოეწონათ აქაურობა და ამა თუ იმ გზით მოახერხეს დამკვიდრება.

ამ სიტყვების სისწორე დასტურდება იმ მონაცემებით თუ რამდენია გამოკითხულთა შორის მიგრანტი. აღმოჩნდა, რომ მათი 42.5 პროცენტი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დაიბადა, ხოლო 19.2 პროცენტი დღემდე ითვლება არა საქართველოს, არამედ ქვეყნის სხვა რეგიონის მუდმივ მცხოვრებად. ამგვარად, გამოკითხულთაგან თითქმის ყოველი მეორე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოსული მიგრანტია, ხოლო ყოველი მეხუთე დღემდე სხვა რესპუბლიკის მცხოვრებად ითვლება და დროებით საშოვარზეა ჩამოსული. საგულისხმოა აგრეთვე, რომ გამოკითხულ მეძავეთა 8.3 პროცენტს სრულიადაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ჩაწერა ანუ მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა. მათი უდიდესი ნაწილი აგრეთვე განეკუთვნება იმ კატეგორიის დროებით მიგრანტებს, რომლებიც საქართველოში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოვიდნენ იოლი ცხოვრების საძებნელად.

რაც შეეხება „შინაურ“ მიგრანტებს, არც მათი ზვედრიტი წილია დაბალი მეძავეთა შორის და დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს. მათი უდიდესი ნაწილი სოფლიდან და სხვა შედარებით მცირე დასახლებიდან ჩამოვიდა თბილისში ან რესპუბლიკის სხვა მსხვილ ქალაქებში სწავლის გასაგრძელებლად. სამუშაოზე მოსაწყობად და სხვა. ბევრი მათგანი ქალაქში პატიოსანი და იმედით აღსავსე მოეშურებოდა, მაგრამ ადაპტაციის სიძნელეებმა, სოციალური კონტროლის უქონლობამ, ყოფითმა მოუწყობლობამ, გამოუცდელიობამ და სხვა, იმედის გაცრუებასთან ერთად უბიძგა მათ ჯერ გარყვნილი ცხოვრებისაკენ, შემდეგ კი მეძავეებად აქცია ისინი.

ამ მონაცემების განმეორებით განხილვა აქ იმისთვის დამჭირდა, რომ მეჩვენებია მიგრაციული პროცესების ფლობის, მათი სწორად მართვის დიდი მნიშვნელობა მეძავობისა და მისი ისეთი მძიმე შედეგების პროფილაქტიკის საქმეში, როგორცაა ვენერიული სნეულებები, ხელო უკანასკნელ ხანს მეოცე საუკუნის შავი ქირი — შიდსი.

აღნიშნული სოციოლოგიური გამოკვლევის სხვა შედეგების ანალიზს აქ არ შევუდგები და მოკლედ მივუთითებ, რომ გამოკითხულ მეძავეთა შორის მაღალია იმათი ზვედრიტი წილი, ვინც საყოფაცხოვრებო და მატერიალურ სიჭირბოროტს განიცდის, ბავშვობა და ყრმობა უდედმამოდ და სიდულჭირეში გაატარა, ვერ მიიღო სათანადო განათლება, ვერ მოიწყო ოჯახური ცხოვრება, ადრეულ ასაკში შევიდა ქორწინებისგარეშე სქესობრივ ურთიერთობაში, ბოროტად იყენებს სპირტიან სასმელებს, ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ა. შ. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა სოციალურად ძლიერ დეგრადირებულია, თითქმის ნახევარი — ქუჩის ან სადგურის მეძავეა. დასასრულ, მათგან 3/4-ზე მეტი შემთხვევით გაცნობილ მამაკაცებთან შედის სქესობრივ კონტაქტში თითქმის ყოველდღიურად, ხოლო დაახლოებით ნახევარი — დღეში რამდენჯერმე (სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ და... იმდენჯერ, რამდენი მსურველიც გამოჩნდება).

მკითხველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ სურათი ძალზე მძიმე და დამაფიქრებელია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ თუ ვენერიულ სენზე არაფერს ვიტყვით (ზოგს ჰგონია, რომ ვენერიული სნეულებები სურდოსავითაა,

რადგან უშუალოდ არ იწვევს ადამიანის სიკვდილს), შიდსის ეპიდემიის მიჯნაზე მდგომებს გულბელდაკრეფილი ყოფნა და საფრთხის ფუქსავატური უგულუბელოფა არ გვეკადრება. ჩვენი დანაშაულებრივი უმოქმედობისათვის შიდსით დასწეულბული და ამ ავი სენის მატარებელი მომავალი თაობები სამარტხვინო ბოძზე გაგვაკრავენ ჩვენი არბენი ბუნებისათვის და მარტლებიც იქნებიან. სხვა რომ არაფერი ვტკვათ, აბა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა უბედურბებს შეუძლია გადაგვყაროს მეძავეებს შორის შიდსის გავრცელებამ. დავუშვათ, რომ შიდსის მატარებელია ამჟამად აწ უხალოეს მომავალში გაბდება გამოკითხული მეძავეების მხოლოდ 5 პროცენტი. თითოული მაივანი წლიწადში დაახლოებით 1000 სხვადასხვა მამაკაცთან შედის სქესობრივ კონტაქტში და შეიძლება დაავადება არ გამოჩნდეს 5 წლის მანძილზე. მარტივი გაანგარიშება ასე უნდა გაკეთდეს:  $25 \times 1000 \times 5 = 125\ 000$ . გამოდის, რომ 25 მეძავე ქალს, რომელსაც ეჭვიც კი არა აქვს შიდსის მატარებლობაზე, შეუძლია დღევანდელი სრული უკონტროლობის პირობებში (თუ არ მოხვდა რაიმე მიზეზით მილიციის ორგანოების ხელში) ხუთი წლის მანძილზე დაავადდოს 125 000 მამაკაცი, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ალბათ ბერად არ აღიკვეციებიან და თავის მარვ დაავადებენ კიდევ უამრავ ქალს... ამ გაჭვეური რეაქციის შესაძლებელი შედეგების უბრალო გააზრებაც კი ქრუანტელს მოგვრის ნებისმიერ სალად მოაზროვნე ადამიანს. განსაკუთრებით თუ ის ჩვენსავით არც თუ იმდენად რიცხვობრივად დიდი ერის შეილია!!!

ყოველივე ამის გამო, თუ უკვე დავგვიანბულები არა ვართ, მეძავობისა და მისი რეალური და მოსალოდნელი მძიმე შედეგების დაძლევა უმნიშვნელოვანეს სადღეისო ამოცანად უნდა დავსახოთ. მაგრამ მეძავობის უხალოეს ხანში აღმოფხვრა, უნდა ვალიართ, რომ ეს ყოვლად არარეალურია. ყოველ შემბთხვევაში, ამას შეტყველებს მეძავობის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალსაუქუნოვანი „მდიდარი“ გამოცდილება. შორეულ წარსულზე რომ არაფერი ვტკვა, მიუხედავად დაუღალავი მეცადინეობისა, ცივილიზბულ კაცობრიობას არ შეუძლია დაიკვებოს რაიმე სერიოზული წარმატებებით ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირუქუ, მეძავობა კვლავ ვრცელდება და სულ უფრო მანიწ სახეს იღებს.

ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ვინმეს გულს ვუტებდე და უგულბებლევყოფდე მეძავობის დაძლევის კვშმარტივად კეთილშობილურ ამოცანას. მე მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ დღეს მეძავობის წინააღმდეგ ბრძოლა გულისხმობს არა მარტო იმ ღონისძიებებს, რაც მიმართული იქნება ამ კვშმარტივად სამარტხვინო სოციალური სენის შემციობისა და საბოლოო ანგარიშით მისი სრული ლიკვიდაციისაკენ (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია), არამედ იმ ღონისძიებებსაც, რაც მიზნად ისახავს თვით მეძავობის ისეთი მძიმე შედეგების თავიდან აცილებასა და აღკვეთას, როგორიცაა ვენერიული სწეულებანი და, რაც მთავარია, შიდსი. ამიტომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ორი კეთილშობილური ამოცანა: მეძავობის აღმოფხვრა და მეძავობის მძიმე შედეგების თავიდან აცილება და აღკვეთა (თუმცა ორივე ეს ამოცანა ერთმანეთზე არის გადაჯაჭვული), ვიმუშაოთ ორივე მიმართულებით, მაგრამ სიტუაციის ექსტრემალურობის გამო. უპირატესობა თანამედროვე ეტაპზე, მეორეს მივანიჭოთ, როგორც გადაუდებელსა და უფრო რეალურს. საკითხის ამგვარად დაყენების სისწორეს ადასტურებს ის სამწუხარო ფაქტი, რომ როგორც უკვე ითქვა, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში და მით უმეტეს

ჩვენში არ უნდა ველოდეთ სწრაფ წარმატებებს მედავობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ზემოთ არაერთხელ უკვე ითქვა, რომ არა მარტო მედავობას, არამედ ბრძოლის წინააღმდეგ ბრძოლასაც აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. მკაცრი სასჯელების, მათ შორის, სიკვდილით დასჯის შემოღებამ მედავობისათვის, არავითარი დადებითი შედეგები არ გამოიღო. დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების კუმანიზაციის კვალობაზე დასავლეთ ევროპასა და სხვა ქვეყნებში მედავობისა და მედავეების მიმართ დამოკიდებულება კარდინალურად შეიცვალა. საზოგადოება დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო მეტი ადამიანურობის გამოჩენა მედავეთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების მსხვერპლს.

ამ დროიდან მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში მედავობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ზომად თანდათანობით იქცა რეგლამენტაცია, რომელიც ემყარებოდა მედავეებზე პოლიციურ ზემოქმედებას, მათ იძულებით სამედიცინო შემოწმებას ვენერიული სნეულებების აღმოჩენის მიზნით, აღრიცხვაზე აყვანას, კონტროლს და ა. შ. ნუ ვიჩქარებთ იმის თქმას, თუ რამდენად მიზანშეწონილი და აუცილებელიც იყო და არის მედავეების მიმართ ამგვარი რეგლამენტაციური ღონისძიებების გატარება ვენერიული სენისა და სხვა ისეთი დაავადებების პროფილაქტიკის თვალსაზრისით, რომლებიც სქესობრივი გზით ვრცელდება. მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რომ ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში ამგვარმა სისტემამ მალე დაკარგა პოპულარობა და მძაფრი კრიტიკის საგნად იქცა. ამის ძირითადი მიზეზი, ჩემი აზრით, გახდა არა თვით რეგლამენტაციის იდეის უეარგისობა, არამედ ის სისასტიკე, რომელსაც მისი პრაქტიკულად განხორციელების დროს იჩენდნენ. მედავე ქალების პირადი ღირსების ყოველგვარი დამცირება, მათი აბუჩად აგდება და სხვა.

საქურთნალო წერილის მოცულობის შეზღუდულობის გამო არაფერს ვიტყვი დასავლეთში მედავეების მიმართ კუმანური დამოკიდებულების დამკვიდრებისათვის წარმოშობილ ისეთ მოძრაობებზე, როგორცაა აბოლიციონიზმი (აბოლიციონისტების დევიზია „თავისუფალი ქალი თავისუფალ ტროტუარზე“), ნეობოლიციონიზმი (წინა პლანზე წამოსწევს მედავეების სანიტარულ-ჰიგიენურ გათვითცნობიერებას, მათთვის ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნას) და სხვა. მოკლედ აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ მოძრაობებმა, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ მოიკიდეს ფეხი მედავობის წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი ბრძოლის პრაქტიკაში და ვერ შეიტანეს არსებითი ცვლილებები უხეშ პოლიციურ მეთოდებში, ყოველ შემთხვევაში, ამან ვერ შეაჩერა მედავობის ზრდა, რაც, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ სახელმწიფო ორგანოები ებრძოდნენ და ებრძვიან არა მედავობას, არამედ მედავეებს.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში, მოქმედებდა მედავობის რეგლამენტაციის პოლიციური სისტემა, რომლის განხილვის საშუალება აქ არ არის, არსებობდა გარკვეული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა მედავობას იმდროინდელ საქართველოში და ა. შ. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ მედავობის მიმართ საქმაოდ დიდი ყოფილა ინტერესი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართველი მედიკოსების მხრივ, მათ ოციან წლებში ჩაუტარებიათ მედავობის დიდი სოციალურ-სამედიცინო ჩასიათის გამოკვლევა. ამ კვლევის შედეგები საქმაოდ

მატარ დონეზე განხილული მ. ბერიძისა და ი. კობახიძის ვრცელ წერალში „მეძავობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა თბილისში“, რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1932 წ. ჟურნალში „საბჭოთა მედიცინა“, საგულისხმოა, რომ აღნიშნული გამოკვლევის შედეგები კარგად ეხმაურება იმ გამოკვლევებს, რომელიც საქართველოში 80-იანი წლების შუა ხანს ჩატარდა. რაც იმას ბეტყველებს, რომ ამ ხნის მანძილზე დიდად არ შეცვლილა ბევრი მეძავი ქალის ცხოვრება...

როგორია მაინც საქართველოში მეძავობისა და მისი მძიმე შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივები? თუ ამ საქმეში მსოფლიო გამოცდილებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს მივმართავთ, ვგონებ, ყველაზე სწორი იქნებოდა მეძავობისა და მისი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც იქნებოდა რეგლამენტაციისა და აბოლიციონიზმის ერთგვარი „ჰიბრიდი“.

ამასთან ერთად, მეძავობისა და მისი მძიმე შედეგების პროფილაქტიკის სისტემა იმგვარი უნდა იყოს, რომ მასში თანაბრად იყვნენ დაინტერესებული როგორც მთელი საზოგადოება, ისე თვით მეძავი ქალები, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა. კარგ სამედიცინო-ჰიგიენურ მომსახურებაში აბა ვინ უნდა იყოს მეტად დაინტერესებული, ვიდრე ის ქალები, რომლებიც, მიუხედავად ვენერიული სენით თუ შიდსით დაავადების დიდი საფრთხისა, რაიმე მიზეზით კვლავ მისდევნენ თავიანთ აგრეზივად არაპოპულარულ და არაპრესტიჟულ „ხელობას“ ამიტომ ამ საქმის კარგად დაყენების შემთხვევაში, ვიმედოვნებ, რომ ისინი არა მარტო სამედიცინო კონტროლის წინააღმდეგნი არ იქნებიან, არამედ ამ საშუალებით ისარგებლებენ. მით უმეტეს, რომ ბევრ მათგანს დღეს პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე (რა თქმა უნდა, კერძოდ) საკმაო თანხა ეხარჯებათ.

მეძავობის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა ჩვენს სინამდვილეში უნდა გულისხმობდეს ამ ბოროტების დაძლევის საერთო და სპეციალურ ღონისძიებებს, რადგან მეძავობის დაძლევის საერთო ღონისძიებების განხილვა მრავალ საყურნალო გვერდს მოითხოვს, ქვემოთ შეძლებისდაგვარად მოკლედ გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებებს ამ სოციალური სენის მხოლოდ მძიმე შედეგების თავიდან აცილებისა და აღკვეთის სპეციალურ ღონისძიებათა შესახებ.

ვიდრე საქმის არსს შევხებოდეთ, თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ მე მეძავობის სამართლებრივი აკრძალვის წინააღმდეგი და გონივრული რეგლამენტაციის მომხრე ვარ, თანაც მხოლოდ ერთი პირობით: რეგლამენტაციის სისტემა ჰუმანური უნდა იყოს და ემყარებოდეს მეძავეების მიმართ მოწყალებას, განსაკუთრებით თუ ისინი უკვე ფიზიკურად და სოციალურად დეგრატირებულნი არიან.

დავიწყოთ მეძავობის სამართლებრივი აკრძალვით, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ვიდრე საბჭოთა კავშირში მეძავობის, როგორც სოციალური მოვლენის არსებობას ოფიციალურად უარყოფდნენ, ყოველ შემთხვევაში, არ აღიარებდნენ, ამ პროფესიის მიმდევრებს არავითარი სამართლებრივი „საფრთხე“ არ ელოდებოდა, რადგან არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი ნორმა, რომელიც კრძალავდა, საკუთარი სხეულით ვაჭრობას, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მეძავი ქალების მიმართ არ ბოროციელდებოდა არავითარი რეპრესია, მაგალითად, სოციალურად, დეგრადირებულ მეძავეებს სისხლისსამართლებრივი წესით სჯიდნენ (და სჯიან დღესაც) მაწანწალობისა და მათხოვრობისათვის და სხვა.

მას შემდეგ, რაც საჯაროობამ ბევრი საჭირობოროტო საკითხი სააშკარა  
ოზე გამოტანა. შეუძლებელი გახდა მედავობა, როგორც მწვავე სოციალური  
პრობლემა, დამალვოდა ეურნალისტების ფზიზელ თვალს. საზოგადოებრიობა,  
განსაკუთრებით კი მისი კონსერვატიული ნაწილი ამით მეტად აღშფოთდა და  
განაწყენდა. როგორ თუ ჩვენს გვერდით დღემდე თურმე ეს უსირცხვილო  
მედავეები დაუსჯელად ცხოვრობენო. თანდათან უფრო დაჟინებით მოით-  
ხოვდნენ მედავეების დასჯას, მათ სამარცხვინო ბოძზე გაკვრას. შორეულ უკაც-  
რიელ კუნძულებზე სამუდამოდ გადასახლებას და სხვა. სამწუხაროდ, მე ვერ  
ვხედავ მედავობისათვის ჯარიმის შემოღების სხვა რაიმე სერიოზულ მიზეზს.  
თუ არა ამ გზით მებრძოლი პროვინციალიზმის დაშოშმინებას, რადგან, როგორც  
უკვე ითქვა, სიკვდილით დასჯის შემოღებამაც კი ვერ აღკვეთა მედავობა შუა  
საუკუნეებში და აბა ჯარიმით რას გააწყობენ სამართალდამცავი ორგანოები ამ  
ბოროტებასთან ბრძოლაში.

ამგვარად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის  
28 მაისის ცნობილი ბრძანებულებით ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შე-  
მოიღეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მედავობისათვის გაფრთხილე-  
ბის ან ჯარიმის სახით. პირველ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა ას მანეთამდე  
აღწევს. ერთი წლის მანძილზე განმეორების შემთხვევაში კი მისი ოდენობა  
იზრდება ორას მანეთამდე. სხვათა შორის, კანონმდებელი დუმს იმის თაობაზე,  
თუ რა უნდა ვიღონოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი წლის მანძილზე  
მესამედ, მეოთხედ ან... მეათედ იქნა დაკავებული პიროვნება მედავობისათ-  
ვის. საფიქრებელია, რომ ასეთი ადამიანი უსასრულოდ უნდა ვაჯარიმოთ მა-  
ნამ, სანამ ან თვითონ ის არ აიღებს ნებაყოფლობით ხელს ამ ზარალიან ხე-  
ლობაზე (ასე ხომ მდიდარი ადამიანიც შეიძლება გაკოტრდეს), ან სამართალ-  
დამცავი ორგანოები არ დაიღლებიან და თავს არ დაანებებენ ამდენი ხარჯით  
მთლად დასუსტებულ ისედაც სუსტი სქესის ამ საცოდავ წარმომადგენელს...

მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთს მთლად არ აუღია ხელი იმ ქალებზე,  
რომლებიც მედავობას მისდევენ. საქმე ისაა, რომ მედავობა ძალზე მაღალი  
ლატენტურობით ხასიათდება (ეურნალ „სოვეტსკაია მილიციას“ ცნობით  
ქ. მოსკოვში 1988 წ. მედავობისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდა  
სულ 48 ქალი, თანაც თითოჯერ, იხ. აღნიშნული ეურნალის 1990 წ. № 1, გვ.  
39). ეს მათ საშუალებას აძლევს თავისთვის დაიტოვონ და შეიღებოს მოაზმა-  
რონ ოფლით ნაშოვნი ფულის ერთი ნაწილი. ისე კი დასანანია, რადგან ამ  
ეკონომიკური ვაჭირვების უამს სახელმწიფო ზაზინა გამდიდრდებოდა მხოლოდ  
და მხოლოდ მედავეების ხარჯზე. მართლაც, მაღალი შრომისუნარიანობის მქო-  
ნე მედავი დღეში სამ, ოთხ, ხუთ და მეტ „კლიენტს“. ხოლო წელიწადში არა-  
უმცირეს ათას კლიენტს ემსახურება. ყველა ასეთი კანონით აკრძალული სქესობ-  
რივი კონტაქტის გამოვლენა თუ გახდება შესაძლებელი, ყოველი რიგითი ქუ-  
ჩის მედავი წლიურად სახელმწიფოს ორასიათას მანეთ შემოსავალს მისცემს და  
ჩვენც იოლად გამოვალთ შექმნილი კრიზისული ფინანსიური მდგომარეო-  
ბიდან.

მკითხველმა მომიტევოს ეს „შავი იუმორი“, რადგან სხვა აზრს მე მედა-  
ვობისათვის ჯარიმის შემოღებაში ვერ ვხედავ, თუ არა მათ ფარულ დაბეგ-  
ვრას, თანაც მეტად უსამართლოს, რადგან ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას  
მხედველობაში არ იქნა მიღებული შემოსავლის ოდენობა, თვითონ განსაჯეთ,  
აბა როგორ გადაიხადოს საცოდავმა ქუჩის ან სადგურის მედავემ ასი ან. მით



უმეტეს, ორასი მანეთი, თუ მას „კლიენტი“ ათ მანეთზე მეტს არ უხდის?! აი, სულ სხვა საქმე იქნებოდა, თუ მეძავეები კოოპერატივებში გაერთიანდებოდნენ და სახელმწიფოსაგან, საპნის ბუშტების კოოპერატივების მსგავსად, სოლიდურ სუფსიდიებს მიიღებდნენ საროსკიპო სახლების მოსაწყობად. მაგრამ აბა რომელი სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომი გაატარებდა რეგისტრაციაში ასეთ კოოპერატიულ საროსკიპოს? სესხის მიღების სხვა გზა კი მეძავე ქალებს არ გააჩნიათ. რადგან მათი „კლიენტები“ ვალს ხელზე არ იძლევიან და არც შემნახველ სალაროებში რიცხავენ „კრედიტს“ მომავალი „სქესობრივი აღმაფრენისათვის“.

მეტი რომ აღარ გავაგრძელო ამ საჩოთირო თემაზე საუბარი, ვიტყვი, რომ საკანონმდებლო აქტი, რომელიც მეძავეობისათვის ჯარიმას აწესებს, ვერაფრითაა კრიტიკას ვერ უძლებს და იგი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში მან უნდა შეწყვიტოს შემდგომი მოქმედება. სხვათა შორის, საქართველოს უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება სრულიად კანონიერი და რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის სასარგებლო ნაბიჯი იქნება.

აქ ისმება კითხვა, რა მოვიმოქმედოთ მეძავეობისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების შემდეგ. ვგონებ დიდ აღმოჩენას არ გავაკეთებ, თუ ვიტყვი, რომ საჭიროა უახლოეს მომავალში შეიქმნას მეძავეობის, როგორც სოციალური ბოროტების დაძლევის სპეციალურ ღონისძიებათა მწყობრი სისტემა, რომელსაც ძირითადად პროფილაქტიკური ხასიათი ექნება. საუბრნალო წერილში, როგორი ვრცელიც არ უნდა იყოს იგი, ყოველ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად დაწვრილებით გამოითქვას დასაბუთებული მოსაზრებები ამგვარი პროფილაქტიკური სისტემის არსის, მისი შემადგენელი ნაწილების, ფუნქციების შესახებ და სხვა. ამიტომ მოკლედ ვიტყვი, რომ მეძავეობის პროფილაქტიკა, ერთი მხრივ, უნდა გულისხმობდეს ცხოვრების, მომავალი თაობების აღზრდის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, არ უბიძგებდა ქალებს თავიანთი სხეულით ვაჭრობისაკენ. მეორე მხრივ, კი — ხელს შეუწყობდა მეძავე ქალებს მომავალი სწორი ცხოვრების გზის არჩევაში. განამტკიცებდა მათ მატერიალურ და სოციალურ მდგომარეობას. აამაღლებდა ზნეობრივად და სხვა. ამ თვალსაზრისით სასარგებლო იქნებოდა, მაგალითად, სოციალური პატრონაჟის სამსახურის შექმნა ან ძველის აღორძინება ახალ ნიადაგზე, საქველმოქმედო საქმიანობის წაშორება და ა. შ.

მაგრამ ყოველივე ამის განხორციელებას გარკვეული დრო და მნიშვნელოვანი სახსრები, აგრეთვე ადამიანთა შეგნებაში მტკიცედ დამკვიდრებული სტერეოტიპების დაძლევა სჭირდება, ხოლო შიდის ეპიდემია კარზე მომდგარი და ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს. როგორც უკვე ითქვა, მეძავეები ვენერიული სენისა და შიდის გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფს ქმნიან და უკან იტოვებენ ჰომოსექსუალისტებს, ნარკომანებს და სხვა. ამის კარგი საბუთია საქართველოში 80-იანი წლების დამდეგს ჩემს მიერ ნ. ცხოვრებაძესთან ერთად ჩატარებული ქალთა შორის ვენერიული სნეულებების გავრცელების ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. კერძოდ, გამოკითხული 518 ვენერიული სენით შეპყრობილი ქალების დაახლოებით 90 პროცენტს მეძავეები შეადგენენ. თითოეული

მათგანი დღეში „ემსახურებოდა“ ერთ ან რამდენიმე სრულიად უცხო მანქანა-კაცს. ამიტომაც უბრალოდ არ იცოდა თუ ვისგან შეეყარა ან ვის შეჰყარა ვენერიული სენი. ამის გამო, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს მომავალში, თუ ახლაც არ მივიღებთ გადაამკრელ ზომებს, სწორედ მეძავეები აღმოჩნდებიან ამ განუკურნებელი და მომაცკდინებელი სენის მთავარი გამავრცელებლები.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია დაუყოვნებლივ შევიმუშავოთ და პრაქტიკაში დავნერგოთ მეძავობის რეგლამენტაციის სისტემა, რომლის მიზანი იქნება ისეთი დაავადებების პროფილაქტიკა, რომლებიც სქესობრივი კონტაქტით ვრცელდება. მათ რიცხვს, როგორც ცნობილია, შიდსიც მიეკუთვნება. თუმცა, ეს ჭეშმარიტად XX საუკუნის შავი ჭირი სხვა გზითაც შეიძლება შეეყაროს ადამიანს. მაგალითად, სისხლით. მე უკვე აღვნიშნე, რომ რეგლამენტაციის ეს სისტემა უნდა შეიცავდეს აბოლიციონიზმის ჰუმანურ ელემენტებს და მიზნად ისახავდეს თვით მეძავეთა დაცვას ვენერიული სენისა და განსაკუთრებით შიდსის შეყრისაგან.

მეძავობის რეგლამენტაციის ეს სისტემა პირველ რიგში უნდა გულისხმობდეს ყველა მეძავი ქალის რეგისტრაციას და კომპეტენტური სამედიცინო კომისიის მიერ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ სათანადო ნებართვის მიცემას. იმ ქალებზე მზრუნველობა, ვისაც არ მიეცა მეძავობის ნებართვა, უნდა იკისრონ სოციალური პატრონაჟის ორგანოებმა. მათი მკურნალობის, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხარჯები ნაწილობრივ შეიძლება დაიფაროს საქველმოქმედო ფონდების სახსრებიდან. მაგრამ ძირითადად ეს უნდა იკისროს სახელმწიფომ.

ის ქალები, რომლებიც მეძავობისათვის „პროფესიულად ვარგისები“ აღმოჩნდებიან, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სათანადო უფასო სამედიცინო მეთვალყურეობითა და მკურნალობით ისეთი დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც სქესობრივი გზით ვრცელდება. მათ თვეში ორჯერ, ან უკეთესია, სამჯერ უნდა გაიარონ ანონიმური სამედიცინო შემოწმება იმის დასადგენად, ხომ არ შეეყარათ ვენერიული დაავადება ან შიდსი.

იმის გამო, რომ სქესობრივი კონტაქტის დროს შიდსის შეყრისაგან დღეს მხოლოდ პრეზერვატივი იცავს, საჭიროა აუცილებელი გავხადოთ მათი ხმარება მეძავეების მიერ შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტების დამყარების დროს.

ამ უბრალო წესების უცილობელი შესრულება, როგორც უკვე ითქვა, მისაღები და აუცილებელია არა მხოლოდ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის, არამედ თვით მეძავი ქალებისათვისაც. კიდევ მეტი, ამ წესების დაცვა, პირველ რიგში, სწორედ მეძავი ქალებისათვის არის აუცილებელი, რადგან მათ შორის შიდსის გავრცელების მომეტებული საფრთხე მეძავობას სიცოცხლისათვის საშიშ ხელობად აქცევს.

ამასთან ერთად, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მეძავეებს შორის ისეთი „შეუგნებლებიც“ აღმოჩნდებიან, რომლებიც მიუხედავად ამ წესების შესრულების შესწავრა მიზანშეწონილობისა და აუცილებლობისა, ნებაყოფლობით მათ არ დაემორჩილებიან. სწორედ ამ კატეგორიის მეძავეების მიმართ საჭირო იქნება იძულებითი ღონისძიებების გამოყენება.

საკითხის ამგვარი დაყენება ნიშნავს იმას, რომ უნდა გავაუქმოთ საქართველოს ტერიტორიაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მეძავობისათ-

ვის და დავაწესოთ მკაცრი პასუხისმგებლობა მეძავობის წესების ბოროტი შე-  
უსრულებლობისათვის. მათი დარღვევისათვის. უნდა დაისაჯონ და თანაც მკაც-  
რად, — სისხლის სამართლის წესით, — ის ქალები, რომლებიც ~~წევრიან~~ მეძა-  
ვობას. მაგრამ თავს არიდებენ რეგისტრაციას, ჭერიოდულ სამედიცინო შე-  
მოწმებას და არ იყენებენ პრეზერვატივებს შემთხვევითი სქესობრივი კონტაქ-  
ტების დროს. იმ მეძავი ქალების მკაცრი სისხლისსამართლებრივი დასჯა,  
ვინც აღნიშნულ წესებს შეგნებულად არ ასრულებს, არა მარტო აუცილე-  
ბელია. არამედ სამართლიანიცაა, რადგან ისინი ქმნიან შიდისა და ვენერიულ  
სნეულებათა სტიქიური გავრცელების დიდ საფრთხეს, რაც შესაძლოა ტრაგე-  
დიად იქცეს ქართული ერისათვის, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობისათვის.

მე კარგად მესმის, რომ ამ წინადადებას მომხრეებთან ერთად მოწინააღმ-  
დეგეებიც ეყოლება, რადგან სქესობრივი ურთიერთობების სფეროში ათწლე-  
ულების მანძილზე დამკვიდრებული სტერეოტიპების დამსხვრევა იოლი საქმე  
როდია. ზოგიერთი ოპონენტი, რომელიც საზოგადოებრივი ზნეობის მკაცრი  
დამცველის როლში მოგვევლინება, ალბათ გამიჩავრდება კიდევაც და იტყ-  
ვის: ამ სტრიქონების ავტორი იმდენად გაკადნიერებულია, რომ შეიძლება ზვალ  
საროსკიპო სახლების გახსნაც მოითხოვოსო. მსგავს ოპონენტებს ახლავე ვეტყ-  
ვი, რომ დიახაც, თუ არჩევანზე დადგება საქმე, შიდის, ამ ყოვლად საში-  
ნელი სენის საქართველოში გავრცელებას საროსკიპოების გახსნა უნდა ვარ-  
ჩიოთ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ დღესვე ჩვენი ხალხის ფიზიკური და სუ-  
ლიერი ჯანმრთელობის გადასარჩენად.

დასასრულ, სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ კარზე მომდგარი შიდის  
მურალ ოზშივარს ვერ გრძნობს დღევანდელი ეროვნული დამოუკიდებლო-  
ბის ქეშმარიტად უყვდავი იდეით შეპყრობილი საქართველო და მასთან შებრ-  
ძობებას სამომავლოდ იტოვებს. ვშიშობ ამასობაში ფეხაკრებით შემოპა-  
რულმა ამ უხილავმა მაჯლაჯუნამ ისე არ დაგვრიოს ხელი, რომ დიდი ხნით ან  
სამუდამოდ დაგვაიწყოს შინაური თუ გარეშე, ნამდვილი თუ ხელოვნურად  
შექმნილი მტერი.

გთხოვთ მონორარი გადარიცხვით გულრიფშის აგროსამრეწველო ბანკში საზოგა-  
დოება „ღემის“ № 70092 ანგარიშზე.

### წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 31 ივლისის ბრძანებულებით  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ანზორ ალექსანდრეს ძე გაბიანს მინიჭა  
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.



გიორგი ნადარეიშვილი

## მილიუკოვი რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებათა შესახებ

ცნობილი რუსი ისტორიკოსის, პუბლიცისტი-სა და პოლიტიკური მოღვაწის პავლე მილიუკოვის (1859-1948) ნაშრომები დღემდე სათანადოდ შეფასებული არ არის. ერთ-ხანს ის „ფასდებოდა“ როგორც ლიბერალურ-მონარქისტული „კონსტიტუციურ-დემოკრატიული“ (კადეტების) პარტიის ლიდერი, როგორც რუსეთის ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ერთ-ერთი მოთავე. რუსეთის იმპერიაში 1905 წლის რევოლუციის ხანაში წარმოშობილ პროლეტარულ პარტიათა ლიდერებს შორის პავლე მილიუკოვი ერთ-ერთი უველაზე მნიშვნელოვანი და კოლორიტული ფიგურა იყო.

წიგნში „სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში“ (ტ. 1), რომელიც მ. გორკის, ვ. მოლოტოვის, კ. ვოროშილოვის, ს. კიროვის, ა. ჟდანოვისა და ი. სტალინის რედაქციით გამოვიდა, ნათქვამია, რომ კადეტთა პარტიის ლიდერი იყო პ. ნ. მილიუკოვი, მოსკოვის უნივერსიტეტის უფილი პროფესორი ისტორიის დარგში.

კადეტების პოლიტიკურმა მარწმნმა გამოხატულება პოვა 1908 წელს შედგენილ მათ პროგრამაში, სადაც შეტანილი იყო პუნქტი — „რუსეთი კონსტიტუციური და საპარლამენტო მონარქია უნდა იყოს“.

ნუ ვიქნებით მაქსიმალისტები, და ისიც უკანარიცხვით, კადეტების პარტიისა და მისი ლიდერის პ. ნ. მილიუკოვის მიმართ. ვაპატიოთ და შევეუნდოთ მაშინდელ მაქსიმალისტებს მათი მკაცრი მსჯავრიტ მილიუკოვის მიმართ. დრომ, უოვლის შემძღემ, ყველას თავისი მაუზლო. ისტორიის ირონია იმაშია, რომ წარმოების ძველი წესის ძირფესვიანად დამსხვრევამ ავტომატურად ვერ მოგვცა საზოგადოებისა და წარმოების ისეთი ორგანიზაცია, „რომელშიც არავის არ შეეძლება სხვებს დააკისროს თავისი წილი მწარმოებლურ შრომაში“... კადეტების სურვილი იყო ძირფესვიანად არ დაეგრიათ ძველი რეჟიმი. ბევრი რამ შეენარჩუნებინათ კაპიტალისტური რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ

რი სტრუქტურიდან. კადეტები თავს „სახალხო თავისუფლების“ პარტიას უწოდებდნენ. მათი პროგრამის მიხედვით რუსეთი უნდა ემართა საყოველთაო არჩევნების საფუძველზე არჩეულ პარლამენტს. აღიარებდნენ სიტყვის, პრესის, სინდისის, გაფიცებისა და კავშირის თავისუფლებას. აღიარებდნენ ენათა თავისუფალ განვითარებას. იმპერიის შემადგენლობაში დასაშვებად თვლიდნენ ავტონომიას. მათი სოციალური იდეალი იყო რუსეთის „შვილობიანი“, „კონსტიტუციური“ განვითარება. 1917 წელს კადეტების პარტიაში დაახლოებთ 50 ათასი წევრი ირიცხებოდა. 1917 წლის ნოემბრისათვის კადეტები დაუპირისპირდნენ რევოლუციას და საბჭოთა მთავრობამ კადეტები „ხალხის მტრების პარტიად“ გამოაცხადა (1917 წლის 24 ნოემბრის (11 დეკემბრის) დეკრეტი).

ამჟერად პ. ნ. მილიუკოვი გვანტერესებს როგორც მეცნიერი, ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი. პავლე მილიუკოვი დაიბადა 1859 წელს პროფესორის ოჯახში. 1882 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. აქ ახალგაზრდა სტუდენტზე დიდი გავლენა მოახდინეს საკვეყნოდ ცნობილმა მეცნიერებმა პავლე ვინოგრადოვმა და ვასილ კლიუჩევსკიმ. 1888 წლიდან იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. პავლე მილიუკოვს სახელი გაუთქვა სქელტანიანმა სამაგისტრო ნაშრომმა „სახელმწიფო მეურნეობა მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში და პეტრე დიდის რეფორმები“. ნაშრომი დიდი (მეოთხე) ფორმატის 678 გვერდისაგან შედგება და დღემდე ითვლება სხვებზე თემაზე შექმნილ უმნიშვნელოვანეს ობზულედად.

სახელმწიფო მეურნეობანი ცნობილი იყო უკვე ძველ აღმოსავლეთში. მაგრამ მათ შორეული ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ვერ გაამართლეს. ცნობილია, რომ ურის სახელმწიფომ და მისმა გიგანტურმა მონათმშობლებურმა სახელმწიფო (სამეფო) მეურნეობებმა კრახი განიცადეს. ამას მოჰყვა ერთი მეურ



ნების განვითარება კრისტვს დაბადებამდე XV-XVI საუკუნეებში და კერძო საპარტობრივი ურთიერთობების განვითარება. სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრების ფორმების ჩამოყალიბებას თან სდევდა მეფის დესპოტიზმის გარკვეულად შეზღუდვა. კერძო საკუთრების პრინციპებზე ჩამოყალიბებული კონონმდებლობის განვითარება. მაგრამ როგორც ცნობილია, დიდი დროა საქირო ვიდრე საკუთრების ერთი ფორმა მეორეზე გაიმარჯვებდეს. ძველ საქართველოში და საშუალო საუკუნეების ევროპაში კერძო საკუთრების დამკვიდრების შემდეგაც ქვეყნის ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ სათემო კრებები სათემო მიწების გამკვებლობაში. საფინანსო საკითხების გადაწყვეტაში. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში; სასამართლო საქმიანობაში ისინი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ მეფის ზღლისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

მართალია, პ. მილიუკოვისთვის დღეისათვის აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერების მიღწევათაგან ბევრი რამ ცნობილი არ იყო. მაგრამ ის, როგორც ისტორიკოსა იურიდიული, სახელმწიფომცოდნეობა სკოლის წარმომადგენელი, კარგად იყო გარკვეული იმ როლში, რასაც სახელმწიფო ასრულებდა ძველი რუსეთის სინამდვილეში. სადაც მისი თქმით, სახელმწიფო ბატონობდა საზოგადოებაზე. ასე იყო ძველი აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებშიც.

როგორც კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნებში, ასევე შუა საუკუნეების ევროპაშიც ორი საწყისი ეტაპი იყო ერთმანეთს. ერთის მიხედვით, მეფის თვითმპყრობეობისა და დესპოტის ძალაუფლების წყარო და საფუძველი არის ოკუპაციის, დაპყრობის ფაქტი ან შემკვიდრებობითი საკუთრების უფლება თვით სამეფოზე. მთელ სახელმწიფო ტერიტორიაზე. მეორე საწყისის მიხედვით, მეფის ძალაუფლების წყაროა ხალხის, ერის, არმიის, ლაშქრის წების გამოვლინება. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ძველ ქართულში ერთი ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც.

პ. მილიუკოვის ნაშრომთაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი „ნარკვევები რუსული კულტურის ისტორიიდან“ ხამ ნაწილად. თხზულებაში მკაობხვლეება და სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია და უკვე 1944 წლისათვის შევსებული შესწორებული სახით მესამე გამოცემა გამოვიდა. 1947 წელს დაიბეჭდა მისი „რუსული პოლიტიკური აზრის მთავარი მიმართულებანი“.

არ შეიძლება მკითხველთა განსაკუთრებული ინტერესი არ გამოიწვიოს პ. მილიუკოვის მიერ დონის როსტოვში 1948 წელს გამოცემულმა ბროშურამ, მცირე მოცულობის ნაშრომმა „ოდინდელი საწყისები“ და „ცხოვრების მოთხოვნილებანი“ რუსეთის სახელმწიფოებრივ

წყობილებაში“. ამ დროისათვის პ. მილიუკოვს უკვე შემუშავებული მქონდა თავისი შეხედულება რუსეთში მიმდინარე ისტორიულ-პროცესის თავისებურებებს შესახებ. ნაშრომი ცენტრირს მიერ გამოსაქვეყნებლად ნებადართულია 1948 წლის 4 ოქტომბერს.

ამ დროს რუსეთის სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობდა ცხარე კამათი იმის შესახებ, არის თუ არა განვითარებისუნარიანი რუსეთის სახელმწიფო წესწყობილება. უნდა განვითარდეს თუ არა იგი და თუ უნდა განვითარდეს, მაშინ რა მიმართულებით? საზოგადოების ერთი ნაწილი აზრით, რუსეთის სახელმწიფო წესწყობილება უნდა განვითარდეს მისი ოდინდელი, ძველისძველი საწყისების საფუძველზე, ხოლო სხვების თვალსაზრისით, რუსეთის სახელმწიფო წესწყობილება უნდა გარდაიქმნას შესატყვისად „ცხოვრების მოთხოვნილებას“ და არა მისი „ოდინდელი საფუძველების“ მიხედვით.

კონსერვატორთა აზრით, რუსეთის სახელმწიფო წესრიგის შეცვლა არ შეიძლება, რადგან რუსეთი რუსეთად აღარ დარჩებოდა. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ პოლიტიკური წესწყობილების რუსული ფორმა რაღაც ისეთი განსაკუთრებულია, რომელიც რუსეთის გარდა სხვაგან არ გვხვდება. ისტორიკოსთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ რუსეთის ძველისძველი პოლიტიკური სტრუქტურა იმანენტურად იყო დაკავშირებული რუსი ხალხის სულთან. მის ეროვნულ თავისებურებებთან და ამიტომაც ის მარად უცვლელად უნდა დარჩენილიყო.

მაგრამ 1941 წლიდან 1944 წლამდე რუსეთში ისე სწრაფად განვითარდა სახალხო, მეურნეობა-მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, აგრეთვე მეცნიერება და კულტურა, რომ ძველი ბატონყმური, ტრადიციული საზოგადოება დაირღვა. რასაც ბუნებრივად მოჰყვა ცვლილებები რუსეთის პოლიტიკურ სტრუქტურაში, მის სახელმწიფო წყობილებაში.

პ. მილიუკოვის აზრით, რუსეთის, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ისტორიაში, კომპლექსურად მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი. არ შეიძლება ამ ფაქტორთაგან გამოვყოთ ერთი და ის ვალიარო ისტორიული პროცესის განმსაზღვრელად.

მართალია, ისტორიაში არ არსებობს მისი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. მაგრამ რუსეთისათვის მაინც ისტორიული პროცესის სხვა ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ პ. მილიუკოვმა შეიღვისა რუსული ისტორიული პროცესის სახელმწიფოებრივი თეორია.

პ. მილიუკოვს ეს მოდა, რომ როგორც ადრეფეოდალური ხანის რუსეთი, ასევე სკანდინავია განვითარების დაბად. შედარებით პრიმიტიულ



საფეხურზე იმყოფებოდა. მაგრამ, ამავე დროს, მას მიაჩნდა, რომ ვარიაგები, სახელმწიფოებრიობის განვითარების თვალსაზრისით, სწავებზე მაღლა იდგნენ. ამიტომ ის თვლიდა, რომ ვარიაგული ელემენტების გავლენა რუსეთზე პროგრესული იყო. არა მარტო ვარიაგების, არამედ საერთოდ, დასავლეთ ევროპის კეთილისმყოფელ გავლენას რუსეთზე უკველთვის ხაზს უსვამდა პ. მილიუკოვი.

მისი აზრით, რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ჩამორჩენილობამ გამოიწვია წოდებრივ ურთიერთობათა განვითარების შეტისმეტად დაბალი დონე, რამაც თავის მხრივ განაპირობა ქვეყნის ისტორიაში სახელმწიფო ხელისუფლების დიდი, და შეიძლება ითქვას, დომინირებული როლიც. პ. მილიუკოვი არისტოკრატულსა და ვიკოს იმონებდა იმასთან დაკავშირებით, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ საზოგადოებაში პოლიტიკური წყობილების ფორმა არ შეიძლება დარჩენ უცვლელი. სახელმწიფო წყობილება იცვლება საზოგადოების შეზადგენლობის ცვლილებასთან ერთად. მისი აზრით, თვით სახელმწიფო ხელისუფლების ევოლუცია განსაზღვრული იყო ქვეყნის თავდაცვის ინტერესებით.

პ. მილიუკოვი ეკამათებოდა იმ რუს მოაზროვნეებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ ფორმაში აირკლება „ხალხის სული“ და რომ უკველ ცალკე აღებულ ხალხს გააჩნია თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი „სული“ ამა თუ იმ ხალხის ისტორია მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მისი მკვიდრი ოდინდელი „სული“ თავის გამოხატულებას სახელმწიფოს ფორმაში პოვებს ამდენად, უკველი ხალხი მიჰკავებელია სახელმწიფოებრიობის, პოლიტიკური სტრუქტურის ამა თუ იმ ფორმასთან. პ. მილიუკოვი აღნიშნავდა, რომ უკველ ხალხს გააჩნია რაღაც თავისი, განსაკუთრებული, რაც მას ხევა ხალხებისაგან განსხვავებს. მაგრამ, ამავე დროს, ყველა ხალხს აქვს რაღაც საერთო, და რომ ეს საერთო უფრო მეტი აქვს ხალხებს, ვიდრე განსხვავებულს და განსაკუთრებულს.

ისტორიული პროცესის თავისი კონცეფციის დასახაბუთებლად პ. მილიუკოვი სოციოლოგიის მონაცემების ეყრდნობოდა. სოციოლოგია გვიჩვენებს, წერდა პ. მილიუკოვი, რომ თავის განვითარების გზაზე ესა თუ ის საზოგადოება გაივლის განვითარების სამ საფეხურს:

პირველი საფეხური კაცობრიობის განვითარებისა ესაა ტომობრივ გვაროვნული უფა-ცხოვრების ხანა, როდესაც საზოგადოებაში ნათე საური კავშირები თამაშობენ დიდ როლს ამ დროს სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობს. განვითარების შემდგომ, მეორე საფეხურზე უკვე არსებობს სახელმწიფო და სახელმწიფო

ებრივი კავშირითიერთობანი. მაგრამ ჯერ კიდევ, დევ სუსტია სახელმწიფოებრიობა. ჯერ კიდევ, არ არსებობს ძლიერი და მსხვილი სახელმწიფო. საზოგადოება ქვეყანა დაქუცმაცებულია წყრილ საფეხობელოებად, სადაც ბატონობენ მსხვილი მესაკუთრეები, რომლებიც დაეუფლებენ სატომო და სათემო მიწებს. ამ მესაკუთრეებმა და მფლობელებმა თავიანთი მსახურებისაგან შექმნეს სამხედრო ლაშქარი, რათა თავდასხმისაგან დაიცვან ქვეყნადომები ან თავს დაესხნენ სხვებს. განვითარების ხსენებულ საფეხურად იგულისხმება ფეოდალური საზოგადოების აყვავების ხანა.

კაცობრიობის განვითარების მესამე საფეხურზე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციას, საგანთა და მოკლებათა ლოკიკის მიყვავართ სამხედრო-ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოშობამდე, მაგრამ განვითარების ეს სტადიაც არ არის საბოლოო, თანდათანობით ამ სახელმწიფოს სამხედრო საქმიანობის ფუნქცია სუსტდება და გზას უთმობს მრეწველობის მშვიდობიან განვითარებას.

პ. მილიუკოვის აზრით, „საწარმოო ძალების თავისუფალი განვითარება მოითხოვს საშინაო უშიშროებას“, თვითნებობისა და ძალადობის აღკვეთას და სახელმწიფო შინაგანი წყობილების კანონისა და სამართლის საფუძველზე გარდაქმნას. ე. ი. სამხედრო-ეროვნული სახელმწიფო თანდათან გადაიქცევა სამრეწველო სამართლებრივ სახელმწიფოდ.

ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“ მეცნიერებაში შემოდის რომერტ ფონ შოლის მცდელობით. შოლი (1791-1878) ცნობილი გერმანელი იურისტი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან ერთმანეთისაგან გამოიყარა ცნებები სახელმწიფო და საზოგადოება. შოლი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას უპირისპირებდა ანტიკურ სახელმწიფოსა და თეოკრატიას. შოლისათვის სამართლებრივი სახელმწიფო იყო ადამიანის უფლებების დაცვის საშუალება, როგორც შოლს, ასევე პ. მილიუკოვს, ადამიანის, პიროვნების უფლებების დაცვა მიაჩნდა ცივილიზებული სახელმწიფოსა და საზოგადოების საბატიო მოვალეობად. პ. მილიუკოვის აზრით, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოშობა ნიშნავდა ოდინდელ, ძველისძველ სახელმწიფო წესწყობილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას. მოსკოვის მთავარი პრეტენზია აცხადებდა ხელმწიფისა და თვითმკურნების ტიტულზე, ისტორიის მოსკოვურ პერიოდში რუსეთმა გამოავლინა პოლიტიკური განვითარების უნარი, რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა სამრეწველო-სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეას და 1861 წლის მ აგვისტოს კანონს მას მიაჩნდა ამ მიმართულებით გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად.

3. მილიუკოვის აზრით, რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ძველ რუსეთში არ უყოფილან ისეთი მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებსაც შეეძლოთ ხელთ ეგდათ სახელმწიფოს უფლებები და ხელი შეეშალათ ნაციონალის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებაში. 3. მილიუკოვის აზრით, რუსული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი იყო ფეოდალური უფლის, პოლიტკურთ ფეოდალიზმის სუსტად განვითარება და ეს ამიტომ მხდა, რომ ჭერ კიდევ ტომობრივი წყობილების დროს ტომების უხუცესებმა ვერ მოახწრეს სათემო და სატომო მიწების მიტაცება-მითვისება, როდესაც რუსეთში ვარიაგების წრიდან მოვიდნენ პირველი მთავრები, ტომთა უხუცესები ჭერ კიდევ სუსტნი იყვნენ და ტომები პირდაპირ დაპირიხლდნენ მთავრებს. ამდენად გლეხების ადგილ-მამული პირდაპირ გამოცხადდა მთავართა საკუთრებად. ხოლო, როცა მთავრებმა მონღოლმეს სამხედრო ლაშქრის შექმნა, ჯამაგირის ნაცვლად სამთავროს მიწები დაურიგეს მოლაშქრეებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. ამრიგად, ის მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც მოგვიანებით გაჩნდნენ რუსეთში, პირდაპირ იყვნენ დამოკიდებულნი მთავარზე. მისი ხელის შემუშურენი და მოსამსახურენი გახდნენ. ხოლო ურჩ, მსხვილ მესაკუთრე ფეოდალებს ივანე მესამემ და ივანე მეოთხემ მოუგრიხეს კისერი. ამიტომაც რუსეთში შედარებით გაადვილდა, როგორც 3. მილიუკოვი ამბობს, ეროვნულ-სამხედრო სახელმწიფოს შექმნა. ვიდრე მაგალითად ლიტვაში ან პოლონეთში. ამიტომ, როცა ჯარისკაცებს ფული სჭირდებოდათ, იძულებული იყვნენ მსხვილი ფეოდალებისათვის ეთხოვათ დახმარება. ამდენად, 3. მილიუკოვის აზრით, მოსკოველი მთავრების მიერ შექმნილი სამხედრო-ეროვნული სახელმწიფო უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რადგან რუსეთის სახელმწიფოს სუსტი მოწინააღმდეგეები ჰყავდა და მათ ადვილად გაუწურდებოდა.

მოსკოვში ივანე III და ივანე IV ხანაში გაჩნდა მოთხოვნილება დიდი მთავრისა და მეფის ხელისუფლების უფლებამოსილების იურიდიული დასაბუთებისა, მაგრამ ამ დროს მოსკოვში არც რომის სამართალს, არც ბერძნულ-ბიზანტიურ მოძღვრებას ხელისუფლების შესახებ სათანადო დონეზე არ იცნობდნენ. იურისტი მეცნიერების საქმე აქ სახულიერო პირებმა იკისრეს. გაჩნდა შეხედულება, რომ მოსკოვი „მეორე კონსტანტინეპოლი“ და „მესამე რომა“. შეიქმნა ლეგენდა, რომ მოსკოვის მთავრები რომის კეისრის ავგუსტუსის შთამომავლები არიან. ვლადიმერ მონოტახტი გაიხსენეს, რომელსაც ვითომ ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა კონსტანტინეპოლიდან კევში გამოუგზავნა სამეფო რე-

გალიები. ვლადიმერ მონომახი კი ამ დროს მხოლოდ 2 წლისა იყო. ამიტომ ეს თეორია თეორი ძაფით იყო ნაყერი კონსტანტინეპოლის პატრიარქს მოსოხვეს, რომ კრების უსტარით დაედასტურებინა მოსკოვის უფლებები და როდესაც „დოკუმენტი“ მთლად სახურველი არ გამოდგას, ის ჩაახწორეს.

ივანე მესამის მეუღლე ბიზანტიის იმპერატორის ასული იყო. ამასთან ბიზანტიის ტახტის კანონიერი მემკვიდრე მზად იყო იაფად დაეთმო თავისი უფლებები. ბიზანტიის იმპერატორის კანონიერი ტიტულები შეიძინა საფრანგეთის მეფე კარლ VIII. მოსკოვმა ფული ვერ გაიშვტა და უაღბო ბიზანტიური სიგელით დაკმაყოფილდა. 3. მილიუკოვი მართებულად აღნიშნავდა, რომ ბიზანტიაში იმპერატორი ღმერთის ნაყურთხად ითვლებოდა და ეკლესიის უმაღლეს მფარველად. პეტრე პირველმა მთლი იმპერატორის ტიტული, მიბაძა რა რომის საღვთო იმპერიის (ავსტრიის) იმპერატორს. პეტრე პირველის ბრძანებით თეოფანე პროკოპოვიჩმა სეციალური ნაშრომი დაწერა იმპერატორის უფლებების შესახებ. სადაც ამტკიცებდა, რომ იმპერატორს უფლება აქვს შეცვალოს ტახტის მემკვიდრეობის რიგი. პროკოპოვიჩი დასავლეთ ევროპელი იურისტების ნაშრომებს იცნობდა და მათი გავლენით წერდა, რომ ერთადერთი მიზანი სახელმწიფო მმართველობისა არის საერთო-სახალხო კეთილდღეობა. პროკოპოვიჩი ამართლებდა პეტრე პირველის ჩარევას ქვეშევრდომთა კერძო ცხოვრების სფეროში. თვით ივანე მესამემც კი არ აცხადებდა პრეტენზიას ქვეშევრდომთა მიმართ ასეთ უფლებებზე. პეტრე ხელმწიფის ასეთი ფართო უფლებები თვით ხალხის კეთილდღეობასა და სარგებლობაზე ზრუნვით მართლდებოდა.

3. მილიუკოვი პეტრე პირველის ეპოქის პირველხარისხოვანი მკვლევარი იყო და უარუფდა პეტრეს მიერ განხორციელებულ რეფორმებს და გარდაქმნების დადებით როლს რუსეთისათვის.

3. მილიუკოვისათვის პეტრეს რეფორმები მიუღებელი იყო, რადგან მისი აზრით, პეტრემ სახელმწიფოს მართვის მეთოდი კი არ შეუფარდა ხალხის მდგომარეობას, არამედ პირიქით. ხალხი შეაგუა და მოარგო სახელმწიფოს მართვის მისეულ ბერძნულ სახელმწიფო კი არ არსებობდა ხალხისათვის, არამედ ხალხი სახელმწიფოსათვის.

3. ნ. მილიუკოვის სოციალური იდეალი იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთი, სადაც მისი აზრით, შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ოპტიმალური ურთიერთობის დამუშავება. ამიტომ მისთვის თანაბრად მიუღებელი იყო, როგორც პეტრეს აბსოლუტიზმი და ფეოდალურ-მონარქიული დიქტატურა, ასევე პროლეტარიატის დიქტატურა.

# ევროპის კონვენსია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ\*

1950 წლის 4 ნოემბერი

მოცემულ კონვენციაზე ხელისმომწერი ევროპის საბჭოს წევრი მთავრობები

**ითვალისწინებენ** 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას.

**ითვალისწინებენ**, რომ ამ დეკლარაციის მიზანია მასში განცხადებული უფლებების საყოველთაო და ეფექტური აღიარება და დაცვა.

**მიიჩნევენ**, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მისი წევრების მჭიდრო ერთიანობის მიღწევა. და რომ მისი ხორცშესხმის ერთ-ერთი გზაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი განხორციელება.

**კვლავ აღიარებენ** თავიანთ ღრმა რწმენას, რომ ეს ძირითადი თავისუფლებები წარმოადგენენ საფუძველს სამართლიანობის და დედამიწაზე მშვიდობისათვის, რომელთა მხარდაჭერა შეიძლება ერთის მხრივ, ეფექტური პოლიტიკური დემოკრატით, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებით და დაცვით მათ მიერ, ვისზედაც ეს არის დამოკიდებული.

**მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი** ერთიანი პოლიტიკური ტრადიციის, თავისუფლების იდეალების, სამართლიანობის ბატონობის მქონე და თანამოაზრე ევროპული მთავრობების სახით გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციაში მითითებული ზოგიერთი უფლების კოლექტიური უზრუნველყოფისათვის. შეთანხმდნენ შემდეგზე:

## მუხლი 1

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ მათ იურისდიქციაში მყოფი ყოველი ადამიანისათვის იმ უფლებებს და თავისუფლებებს, რომლებიც გადმოცემულია მოცემული კონვენციის 1 ნაწილში.

\* ძალაში შევიდა 1953 წ. 3 სექტემბერს, 1989 წლის 1 იანვრისათვის 21 მონაწილე



## მუხლი 2

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლებას იცავს კანონი. არავინ არ შეიძლება განზრახ გამოასაღმონ სიცოცხლეს გარდა შემთხვევისა, როდესაც სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი სასამართლოს განაჩენი, რომელიც მოცემულ პირს მიიჩნევს დამნაშავედ ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.

2. სიცოცხლის მოსპობა მოცემული მუხლის დარღვევად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა იგი შედეგია ძალის გამოყენებისა აბსოლუტური აუცილებლობის დროს:

a) ნებისმიერი პირის უკანონო ძალადობისაგან დაცვის დროს;

b) კანონიერი დაპატიმრების ან კანონიერ საფუძველზე დაკავებული პირის გაქცევისათვის ხელის შეშლის დროს;

c) ბუნტის ან აჯანყების ჩახშობისას ჩადენილი კანონიერი მოქმედებების დროს.

## მუხლი 3

არავინ არ შეიძლება აწამონ ან მოეპყრონ ან დასაჯონ მისი პიროვნული ღირსების დათრგუნვით.

## მუხლი 4

1. არავინ არ შეიძლება ცხოვრობდეს მონობაში ან არათავისუფალ მდგობარეობაში.

2. ძალდატანებით არავინ არ უნდა ასრულებდეს იძულებით ან სავალდებულო შრომას.

3. ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ მოცემულ კონვენციაში არ მოიცავს:

a) რომელიმე სამუშაოს, რომელიც ჩვეულებრივ სრულდება მოცემული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მომხდარი დაპატიმრების ან ამგვარი პატიმრობიდან პირობითი განთავისუფლების დროს;

b) სამხედრო ხასიათის ყოველგვარ სამუშაოს, ხოლო ქვეყნებში, რომელთა მოქალაქენი უარს ამბობენ პოლიტიკური ან რელიგიურ-ეთნიკური მოტივებით ამგვარი სამუშაოს შესრულებაზე, იმ სამუშაოს, რომელიც სრულდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ;

c) სამუშაოს, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს განსაკუთრებული მდგომარეობის ან უბედურების დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს და კეთილდღეობას;

d) სამუშაოს ან სამსახურს, რომლის შესრულებაც ჩვეულებრივი სამოქალაქო ვალდებულებაა.

## მუხლი 5

1. ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლების და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. არავის არ უნდა წაერთვას თავისუფლება, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული პროცედურით:

a) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო მიერ მისი გასამართლების შემდგომ;

b) კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება პიროვნებისა სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან კანონით გათვალისწინებული რაიმე ვალდებულების შესასრულებლად;

c) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, რათა იგი წარდგეს კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დროს მის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო ან იმ შემთხვევაში, როცა დასაბუთებულადაა მიჩნეული აუცილებელი წინააღმდეგობა გაეწიოს დანაშაულის ჩადენას ან გაქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ;

d) არასრულწლოვანის დაკავება კანონიერი განკარგულებით, რათა ის წავლოს ზედამედველობის ქვეშ ან მისი კანონიერი დაპატიმრება, რათა იგი წარდგეს კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე;

e) პირთა კანონიერი დაკავება გადამდები სნეულებების გავრცელების ხელის შეშლის მიზნით, აგრეთვე დაკავება ფსიქიურად დაავადებული ადამიანების, ლოთების ან ნარკომანების და მაწანწალების;

f) კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება პირისა, რათა ხელი შეეშალოს მის უკანონოდ შესვლას ქვეყანაში, ან პირისა, რომლის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებები გასახლების ან გადაცემისათვის.

2. ყოველ დაპატიმრებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ აცნობებენ მისი დაპატიმრების მიზეზებს და ყოველგვარ წარდგენილ ბრალდებას.

3. ყოველი დაპატიმრებული ან დაკავებული პირი ამ მუხლის 1c ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუყოვნებლივ მიჰყავთ მოსამართლესთან ან სხვა თანამდებობის პირთან, რომელსაც კანონის მიზნდევით აქვს სასამართლო ძალაუფლება და უფლება აქვს მისაღებ ვადაში ჩაატაროს სასამართლო განხილვა ან განთავისუფლება სასამართლომდე. განთავისუფლება დამოკიდებულია წარდგენილ გარანტიებზე სასამართლოში გამოცხადების შესახებ.

4. ყოველ პირს, რომელიც დაპატიმრებული ან დაკავებულია, უფლება აქვს განხილული იქნეს მისი საქმე, რის შემდეგაც სასამართლო გამოიტანს განაჩენს მისი დაკავების კანონიერების შესახებ და დაადგენს მის განთავისუფლებას უკანონოდ დაკავების შემთხვევაში.

5. ყოველ პირს, რომელიც დაპატიმრებული ან დაკავებული იყო მოცემული მუხლის მითითების დარღვევით, უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია, რომელსაც სარჩელის ძალა აქვს.

## მუხლი 6

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისი სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების განსაზღვრის ან მისდამი წარდგენილი ყოველგვარი სისხლის საპართლოს ბრალდების წარდგენის დროს ითხოვოს მისაღები ვადის განმავლობაში დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და საჯაროდ განხილვა. განაჩენი ცხადდება საჯაროდ, მაგრამ შეიძლება პრესა და საზოგადოება არ იქნეს დაშვებული საქმის გარჩევის დროს ან სხდომების ნაწილზე, მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის დემოკრატიულ საზოგადოებაში, როდეს-

საც ამას ითხოვენ მოზარდთა ინტერესები ან მხარეთა კერძო ცხოვრების დაცვა. ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, რათა არ იქნეს დარღვეული სასამართლოს ინტერესები.

2. ყოველი ექვმიტანილი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დანაშაული დადგენილი არ იქნება კანონის შესაბამისად.

3. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ყოველ ექვმიტანილს როგორც მინიმუმი, შემდეგი უფლებები აქვს:

a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ გააგებინონ მისდამი წარდგენილი ბრალდების საფუძველი და ხასიათი;

b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი თავისი დაცვის მოსამზადებლად;

c) დაიცვას თავი თვითონ ან შუამავლობით არჩეული პირის მეშვეობით, თუ არა აქვს საკმარისი თანხა დამცველის მომსახურების ასანაზღაურებლად, შეუძლია უფასოდ ისარგებლოს მისი მომსახურებით, როცა ამას ითხოვს სასამართლოს ინტერესები;

d) დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის საწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევიან, მოითხოვოს ამ მოწმეთა დაკითხვა, აგრეთვე თავის მოწმეთა დაკითხვა იმავე პირობების დაცვით, რომლებიც არსებობს მის საწინააღმდეგოდ გამოსული მოწმეებისათვის;

e) თუ არ ესმის ან არ ფლობს ენას, რომელსაც იყენებს სასამართლო მუშაობისას, ისარგებლოს მთარგმნელის უფასო დახმარებით.

#### მუხლი 7

1. არც ერთი ადამიანი არ შეიძლება მიჩნეული იქნას სისხლის სამართლის რაიმე დანაშაულის ჩამდენად, თუ ჩადენის მომენტისათვის რაიმე მოქმედების ან დაუდევრობის მიზეზით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით მისი მოქმედება არ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, არ შეიძლება გამოტანილი იქნას უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც გამოაქვთ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

2. წინა მუხლი არ კრძალავს სასამართლოსთვის ან დასასჯელად ნებისმიერი პირის გადაცემას, რომელმაც ჩაიდინა რაიმე მოქმედება და მისი ჩადენის მომენტში ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე.

#### მუხლი 8

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს პატივი სცენ მის პირად ან საოჯახო ცხოვრებას, საცხოვრებელს, მისი კორესპონდენციის საიდუმლოებას.

2. სახელმწიფო ორგანოების მხრივ, არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეეშალოს ამ უფლების განხორციელებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებას ან ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, როცა საჭიროა უწყსრიგობათა ან დანაშაულობათა თავიდან აცილება, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობრიობის დაცვა; ან სხვა პირთა უფლებათა ან თავისუფლებათა დაცვა.

1. ყოველ ადამიანს აქვს აზრების, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება გულისხმობს თავისუფლებას შეიცვალოს რელიგია ან რწმენა. აწარმოოს აღმსარებლობა როგორც პირადად, ისე სხვებთან ერთად. კერძოდ ან საჯაროდ; თავისუფლებას კულტმსახურების, მოძღვრების და სხვადასხვა რელიგიური და რიტუალური წესების აღსრულებისა.

2. რელიგიის ან მოძღვრებათა აღმსარებლობა შეიძლება შეზღუდულ იქნას მხოლოდ კანონით დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობრიობის ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

მუხლი 10

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. ეს ნიშნავს, რომ უფლება აქვს თავისუფლად დაიცვას თავისი აზრები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები სახელმწიფო ხელისუფალთა ან საზღვარგარეთ საზღვრებისაგან დამოუკიდებლად, აღნიშნული დებულება ხელს არ უშლის სახელმწიფოებს მოითხოვონ ნებართვები რადიო-ტელე და კინოკომპანიებისათვის.

2. ვინაიდან მოცემულ თავისუფლებათა გამოყენება აკისრებს ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას, მათ განხორციელებას შეიძლება ახლდეს ფორმალურობანი, პირობითობანი, შეზღუდვები ან სასჯელები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად, უწესრიგობათა და დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად, მოსახლეობის ჯანმრთელობის და ზნეობრიობის დასაცავად, სხვა პირთა რეპუტაციის ან უფლებათა დასაცავად, კონფედენციალურად მიღებული ინფორმაციის გავრცელების ასაკრძალავად ან სასამართლო ორგანოთა ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებების, სხვებთან ერთად ასოციაციის თავისუფლების, თავისი ინტერესების დასაცავად პროფკავშირების შექმნისა და მათში შესვლის თავისუფლების უფლებანი.

2. ჩამოთვლილ უფლებათა მონხარება შეუზღუდველია, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, უწესრიგობათა ან დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად, მოსახლეობის ჯანმრთელობის და ზნეობრიობის დასაცავად ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი არ კრძალავს შემოღებულ იქნას კანონიერი შეზღუდვები შეიარაღებულ ძალებში, პოლიციაში ან სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოებში შემავალი პირებისათვის.

მუხლი 12

საქორწინო ასაკს მიღწეულ მამაკაცებს და ქალებს უფლება აქვთ დაქორწინდნენ. შექმნან ოჯახი საშინაო კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13

ამ კონვენციაში მითითებული უფლებების და თავისუფლებების, შელახვის შემთხვევაში, თუნდაც ეს დარღვევა მოხდეს სამსახურებრივი მოვალეობების აღსრულების დროს, ყოველი პირის, შელახული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა აღადგინოს ეროვნულმა სახელმწიფო ირგანომ.

მუხლი 14

ამ კონვენციაში ჩამოთვლილი უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა შეუძლია ყველას, ყოველგვარი სახის — სქესობრივი, რასობრივი, კანის ფერის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოების გამო დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 15

1. ომის, ან სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს, როდესაც საფრთხე ემუქრება ერის არსებობას, მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს მიიღოს ზომები და კონვენციით აღებული ვალდებულებები დათმოს იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება არსებულ საშიშროებას, მაგრამ იმ პირობით, რომ მსგავსი ზომები არ შეეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო სამართლის შესაბამის ვალდებულებებს.

2. არავითარი გადახვევა დებულებიდან, რომელიც მე-2 მუხლშია მოყვანილი, გარდა კანონიერი საომარი მოქმედების დროს ადამიანების დაღუპვის, აგრეთვე 3, 4 (პუნქტი 1) და 7 მუხლების დებულებებიდან ნებადართული არ არის.

3. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი სახელმწიფო, რომელიც გამოიყენებს ვალდებულებებიდან გადახვევის ამ უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს სრულ ინფორმაციას აწვდის მიღებული ზომების და მათი მიზეზების შესახებ. ასევე აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, როცა ამგვარი ზომების მოქმედება შეწყდება და კონვენციის დებულებანი ხელახლა შევა ძალაში.

მუხლი 16

10, 11 და 14 მუხლები არ უკრძალავს სახელმწიფოებს შემოიღონ შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

მუხლი 17

ამ კონვენციაში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფს ან პირს უფლება აქვს აწარმოოს ნებისმიერი მოღვაწეობა ან შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რომლებიც მიმართული იქნება ამ კონვენციაში მითითებული უფლებების ან თავისუფლებების ლიკვიდაციისაკენ და მათი შეზღუდვისაკენ უფრო მეტად, ვიდრე ეს კონვენციაშია მითითებული.

ამ კონვენციაში მითითებული შეზღუდვები არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა მიზნით, გარდა იმისა, რისთვისაც ისინი განკუთვნილია.

ნაწილი II

მუხლი 19

მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის იქმნება:

- 1) ადამიანთა უფლებების ევროპის კომისია, შემდგომ „კომისიად“ წოდებული;
- 2) ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, შემდგომ „სასამართლოდ“ წოდებული.

ნაწილი III

მუხლი 20

კომისია შედგება იმდენი წევრისაგან, რამდენი სახელმწიფოც მონაწილეობდა მოლაპარაკებაში, კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქე.

მუხლი 21

1. კომისიის წევრებს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ირჩევს მინისტრთა კომიტეტი სიიდან, რომელიც შედგენილია კონსულტატიური ასამბლეის პრეზიდენტის მიერ. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი სახელმწიფო კონსულტატიურ ასამბლეაში წარადგენს სამ კანდიდატს, რომელთაგან ორი მაინც ამ სახელმწიფოს მოქალაქეა.

2. შეძლებისამებრ, იგივე პროცედურა მეორდება კომისიის წევრთა რაოდენობის გაზრდისას ამ კონვენციისადმი სხვა სახელმწიფო შეერთების დროს, ასევე შექმნილი ვაკანსიის შევსების დროს.

მუხლი 22

1. კომისიის წევრებს ირჩევენ 6 წლის ვადით. შესაძლებელია კომისიის წევრთა ხელახალი არჩევა, მაგრამ პირველი არჩევნების შედეგად არჩეული კომისიის 7 წევრის უფლებამოსილება იწურება სამი წლის გასვლის შემდეგ.

2. კომისიის წევრებს, რომელთა უფლებამოსილება იწურება სამი წლის გასვლის შემდეგ, ირჩევენ პირველი არჩევნების დამთავრებისთანავე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული კენჭისყრის შედეგად.

3. რათა უზრუნველყოფილი იყოს კომისიის წევრთა რაოდენობის ნახევრის მოღვაწეობის განახლება ყოველი სამი წლის შემდეგ, მინისტრთა კომისიას შომავალი არჩევნების ჩატარებამდე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ერთი ან რამოდენიმე წევრი არჩეულ იქნას სხვა, და არა ექვსწლიანი ვადით; მაგრამ მოღვაწეობის ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 წელს და არ უნდა იყოს სამ წელზე ნაკლები.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ერთზე მეტი ვადით არჩევა და მინის-

ტრთა კომისია ასრულებს წინა მუხლის დებულებას, თანამდებობის დაკავების ვადას განსაზღვრავს არჩევნების დამთავრებისთანავე გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული კენჭისყრა.

5. კომისიის წევრი, რომელიც ცვლის წევრს, რომლის მოღვაწეობის ვადაც არ არის გასული, იმდენი ხნით რჩება თანამდებობაზე, რამდენიც უნდა ყოფილიყო მისი წინამორბედი.

6. კომისიის წევრები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ შეცვლამდე შეცვლის შემდეგ დაკავებულნი არიან მათ კომპეტენციაში შემავალი საქმეებით.

#### მუხლი 23

კომისიის წევრები კომისიაში მუშაობენ პირადად.

#### მუხლი 24

მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია კომისიას გაუგზავნოს ყოველგვარი საჩივარი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მეშვეობით, რომელშიც ნავარაუდევია მეორე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის დებულებათა დარღვევა.

#### მუხლი 25

1. კომისიას შეუძლია მიიღოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე არასამთავრობო ორგანიზაციის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ გაგზავნილი პეტიცია მოლაპარაკებაში მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის დებულებათა დარღვევის შესახებ მხოლოდ იმ პირობით, რომ სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია პეტიცია, აღიარებს კომისიის კომპეტენციას მიიღოს ამგვარი საჩივრები. ის სახელმწიფოები, როლებმაც აღიარეს კომისიის კომპეტენცია, ვალდებულებას იღებენ არავითარ შემთხვევაში არ შეუშალონ ხელი მის განხორციელებას.

2. მსგავსი განცხადებები კომისიის კომპეტენციის აღიარების შესახებ უნდა გაკეთდეს გარკვეული პერიოდის მითითებით.

3. განცხადებები ინახება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელიც პირებს უგზავნის მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოებს და აქვეყნებს მათ.

4. კომისია თავის მოღვაწეობას იწყებს მას შემდეგ, რაც სულ ცოტა, ექვსი სახელმწიფო მაინც თავის თავზე აიღებს ვალდებულებას ზემოთ მოითხოვნილი განსაზღვრული წესის დაცვით.

#### მუხლი 26

კომისიას მაშინ შეუძლია საქმის განხილვა, როდესაც ამოიწურება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული საშუალებანი და საქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან გავა ექვსი თვე.

#### მუხლი 27

1. კომისია არ განიხილავს 25-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ პეტიციას, რომელიც:

ა) ანონიმურია, ან

ბ) ანალოგიურია იმ პეტიციისა, რომელიც უკვე განიხილა კომისიამ. ან რომელიც უკვე განხილულ იქნა საერთაშორისო განხილვის ან რეგულირების სხვა პროცედურით. ან არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას.

2. კომისია არ განიხილავს 25-ე მუხლის მიხედვით წარდგენილ პეტიციას. რომელიც მისი აზრით არ ემთხვევა მოცემული კონვენციის დებულებებს. აშკარად დაუსაბუთებელია ან თუ ბოროტად არის გამოყენებული პეტიციის წარდგენის უფლება.

3. კომისიას შეუძლია უარყოს ყოველგვარი პეტიცია, რომელიც წარდგენილია 26-ე მუხლში მითითებული დებულების დარღვევით.

#### მუხლი 28

კომისია მისდამი წარგზავნილი პეტიციის მიღების შემთხვევაში:

ა) ფაქტების დადგენის მიზნით მხარეთა წარმომადგენლების დასწრებით ატარებს პეტიციის განხილვას. და საჭიროების შემთხვევაში. აწარმოებს გამოძიებას. რომელსაც კომისიასთან მოსაზრებათა გაცვლის შემდეგ ყოველმხრივ ეხმარება სახელმწიფო;

ბ) კონვენციაში მითითებული დებულების თანახმად კომისია ორივე დაინტერესებული მხარის განკარგულებაშია საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით ადამიანთა უფლებების პატივისცემის საფუძველზე.

#### მუხლი 29

25-ე მუხლის თანახმად. წარდგენილი პეტიციის განხილვის შემდეგ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პეტიციის უარყოფის შესახებ. თუკი შენიშნავს 27-ე მუხლში მითითებულ მიზეზთაგან ერთ-ერთის არსებობას. ასეთ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება მხარეებს.

#### მუხლი 30

თუ კომისიამ მიაღწია 28-ე მუხლში მითითებულ მშვიდობიან შეთანხმებას. იგი ადგენს მოხსენებას და უგზავნის შესაბამის სახელმწიფოებს. მინისტრთა კომიტეტს და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გამოსაქვეყნებლად. მოხსენებაში მოკლედ არის მითითებული ფაქტები და მიღებული გადაწყვეტილების არსი.

#### მუხლი 31

1. თუ არ მოხერხდა საკითხის მოგვარება. კომისია ადგენს მოხსენებას ფაქტების ჩამოთვლით და უთითებს თავის მოსაზრებას. მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ თუ არა სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას. მოხსენებაში მოყვანილი უნდა იყოს კომისიის ყველა წევრის მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე.

2. მოხსენება ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს. ასევე შესაბამის სახელმწიფოებს. რომლებსაც არა აქვთ უფლება გამოაქვეყნონ იგი.

3. მოხსენების მინისტრთა კომიტეტისადმი წარგზავნის დროს კომისიას შეუძლია ისეთი წინადადებები წამოაყენოს. რომელთაც ის თვლის მიზანშეწონილად.



### მუხლი 32

1. თუ ამ კონვენციის 48-ე მუხლის თანახმად საკითხი არ გადაეცემა სასამართლოს მინისტრთა კომიტეტისადმი მოხსენების წარდგენიდან სამი თვის განმავლობაში, მინისტრთა კომიტეტი მასში შემავალ წევრთა ხმების 2/3-ის უპირატესობით იღებს გადაწყვეტილებას, მოხდა თუ არა კონვენციის დარღვევა.

2. თუ დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას, მინისტრთა კომიტეტი განსაზღვრავს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოლაპარაკებაში მონაწილე დამრღვევა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მითითებული ღონისძიებანი.

3. თუ შესაბამისმა სახელმწიფომ მითითებულ პერიოდში არ განახორციელა დამაკმაყოფილებელი ღონისძიებანი, მინისტრთა კომიტეტი ამ მუხლის 1 პუნქტში მითითებულ ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, როგორ უნდა განხორციელდეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და აქვეყნებს მოხსენებას.

4. მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია ვეღარიან თავს შეასრულონ ყოველი გადაწყვეტილება, რომელიც მინისტრთა კომიტეტმა შეიძლება მიიღოს ჩამოთვლილი პუნქტების განსახორციელებლად.

### მუხლი 33

კომისიის სხდომები დახურულია.

### მუხლი 34

29-ე მუხლის დებულების დაცვის პირობით გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრაში მონაწილე და დამსწრე წევრების უმეტესობა.

### მუხლი 35

კომისია სხდომებს ატარებს აუცილებლობის მიხედვით. სხდომებს იწვევს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

### მუხლი 36

კომისია შეიმუშავებს პროცედურის საკუთარ წესებს.

### მუხლი 37

კომისიის სამდივნო უზრუნველყოფილია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

ნაწილი IV

### მუხლი 38

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო შედგება იმდენი მოსამართლისაგან, რამდენი სახელმწიფოც არის ევროპის საბჭოს წევრი. სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქე.

მუხლი 39

1. სასამართლოს წევრებს ირჩევს კონსულტატიური ასამბლეა ხმების უმრავლესობით ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიიდან, ყოველი სახელმწიფო წამოაყენებს სამ კანდიდატს. რომელთაგან სულ ცოტა, ორი — მისი მოქალაქეა.

2. რამდენადაც შესაძლებელია, იგივე პროცედურა სრულდება სასამართლოს შემადგენლობის გაზრდის დროს ევროპის საბჭოში ახალი წევრის მიღების და არსებული ვაკანსიების შევსების დროს.

3. კანდიდატები შემკულნი უნდა იყვნენ საუკეთესო მორალური თვისებებით, ჰქონდეთ სათანადო კომპეტენცია უმაღლესი სასამართლო თანამდებობის დასაკავებლად ან წარმოადგენდნენ აღიარებული ავტორიტეტის მქონე იურისკონსულტებს.

მუხლი 40

1. სასამართლოს წევრები აირჩევიან ცხრა წლის ვადით და შეიძლება მათი ხელახალი არჩევა. მაგრამ სასამართლოს პირველი შემადგენლობის 4 წევრის უფლებამოსილება წყდება სამი წლის შემდეგ, ხოლო კიდევ 4 წევრისა — ექვსი წლის შემდეგ.

2. გენერალურმა მდივანმა პირველი არჩევნების დამთავრებისთანავე კენჭისყრით უნდა გაარკვიოს რომელი წევრი აირჩევა სამწლიანი და ექვსწლიანი ვადებით.

3. სასამართლოს შემადგენლობის მესამედის ხელახალი არჩევის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფის მიზნით, ნებისმიერ მომდევნო არჩევნებამდე კონსულტატიურ ასამბლევას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, ერთი ან ოამოდენიმე ხელახლა ასარჩევი წევრის უფლებამოსილება განისაზღვროს არა 4 წლით, არამედ სხვა ვადით. მაგრამ აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს და არ უნდა იყოს 6 წელზე ნაკლები.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი დგას ერთზე მეტი ვადით უფლებამოსილების მინიჭების შესახებ და კონსულტატიური ასამბლეა ხელმძღვანელობს წინა პუნქტში მითითებული დებულებით, ვადას ადგენს გენერალური მდივანი კენჭისყრით არჩევნების დამთავრებისთანავე.

5. სასამართლოს წევრი, რომელიც არჩეულია იმ წევრის სანაცვლოდ, რომლის უფლებამოსილების ვადა ჯერ არ გასულა, დაკავებულ თანამდებობაზე რჩება თავისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

6. სასამართლოს წევრები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ დათხოვნამდე, დათხოვნის შემდეგ დაკავებულნი არიან მათთვის განსაზღვრულად უკვე წარდგენილი საქმეებით.

მუხლი 41

სასამართლო ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს სამი წლით. შესაძლებელია მათი განმეორებით არჩევა.

მუხლი 42

სასამართლოს წევრები მათ მიერ ყოველდღიურად შესრულებული ფუნქციებისათვის იღებენ ანაზღაურებას, რომლის სიდიდეს ადგენს მინისტრთა კომიტეტი.

#### მუხლი 43

სასამართლოში განსახილველად გადაცემული ყველა საქმის განსახილველად იქმნება კამერა 7 მოსამართლის შემადგენლობით. კამერის სხდომებს ex officio ესწრება ნებისმიერი დაინტერესებული სახელმწიფო-მონაწილის მოქალაქე მოსამართლე ან ამგვარის არყოფნის შემთხვევაში, მის მიერ შერჩეული პირი, რომელიც შეასრულებს მოსამართლის მოვალეობას. სხვა მოსამართლეებს კენჭისყრით ირჩევენ თავმჯდომარე სასამართლო განხილვის დაწყებამდე.

#### მუხლი 44

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოებს და კომისიას.

#### მუხლი 45

სასამართლოს კომპეტენციაშია განიხილოს ყველა საქმე, რომელიც ეხება ამ კონვენციის განმარტებას და განხორციელებას, და რომლებიც სასამართლოს განსახილველად გადასცეს მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოებმა ან კომისიამ 48-ე მუხლის დებულების თანახმად.

#### მუხლი 46

1. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი აღიარებს განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე ipso facto სასამართლოს იურისდიქციას ყველა საკითხში, რომელიც ეხება ამ კონვენციის განმარტებას და განხორციელებას.

2. ზემოხსენებული განცხადებანი შეიძლება იყოს საბოლოო ან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ან შეიძლება განცხადების მოქმედება განისაზღვროს გარკვეული პერიოდით.

3. ამგვარი განცხადებანი შესაძლავს გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც მათ პირებს უგზავნის მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოებს.

#### მუხლი 47

სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომისია აღიარებს საკითხის მშვიდობიანი გზით რეგულირების შეუძლებლობას. 32-ე მუხლში მითითებული 3 თვის განმავლობაში.

#### მუხლი 48

სასამართლოში წარმოდგენილი მხარეები შეიძლება იყვნენ მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფო ან სახელმწიფოები თუ ისინი აღიარებენ სასამართლოს იურისდიქციას ან წინააღმდეგ შემთხვევაში, მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა თანხმობით:

a) კომისია;

b) მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც მიჩნეულია მსხვერპლად;

ე) მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფო. რომელმაც საქმე გადასცა კომისიას:

დ) მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფო. რომელზედაც შეტანილია საჩივარი.

#### მუხლი 49

კამათს იმის შესახებ, აქვს თუ არა სასამართლოს სათანადო იურისდიქცია, არეგულირებს სასამართლოს გადაწყვეტილება.

#### მუხლი 50

თუ სასამართლო თვლის, რომ გადაწყვეტილება ან ზომა, რომელიც მიიღო მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფო იურიდიულმა ან სხვა ნებისმიერმა ორგანომ მთლიანად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება ამ კონვენციიდან გამომდინარე დებულებებს, და თუ ზემოხსენებული მხარის საშინაო სამართალი ითვალისწინებს ამგვარი გადაწყვეტილების ან ზომის შედეგად მიყენებული ზარალის მხოლოდ ნაწილობრივ ანაზღაურებას, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას დაჩაგრული მხარის სამართლიანად დაკნაყოფილების შესახებ.

#### მუხლი 51

1. სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი უნდა იყოს მოსაზრებანი, რომლებზედაც იგი არის დაფუძნებული.

2. თუ გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ყოველ მოსამართლეს უფლება აქვს გამოთქვას თავისი განსხვავებული მოსაზრება.

#### მუხლი 52

სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

#### მუხლი 53

მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას შესრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საქმის შესახებ, რომლის განხილვის დროს ისინი მხარეებს წარმოადგენენ.

#### მუხლი 54

სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ყურადღებას აქცევს მის შესრულებას.

#### მუხლი 55

სასამართლო შეიმუშავებს თავის წესებს და ადგენს თავისი მუშაობის რეგლამენტს.

### მუხლი 56

1. სასამართლოს წევრთა პირველი არჩევნები ტარდება მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოების მიერ გაგზავნილი 46-ე მუხლში მითითებული განცხადებების რიცხვი მიაღწევს რვას.

### ნაწილი V

### მუხლი 57

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისაგან შეკითხვის მიღებისთანავე მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი სახელმწიფო წარადგენს განმარტებებს, როგორ უზრუნველყოფს მისი საშინაო კანონმდებლობა ამ კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტურ განხორციელებას.

### მუხლი 58

კომისიის და სასამართლოს ხარჯებს იღებს ევროპის საბჭო.

### მუხლი 59

კომისიის და სასამართლოს წევრები თავიანთ მოვალეობების შესრულების დროს სარგებლობენ ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლში გათვალისწინებულ და მის შესაბამისად დადებულ შეთანხმებებში გათვალისწინებული პრივილეგიებით და იმუნიტეტებით.

### მუხლი 60

ამ კონვენციაში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს იზღუდება ან იჩქმალება მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან სხვა შეთანხმებით უზრუნველყოფილ ადამიანთა ნებისმიერი უფლება და ძირითადი თავისუფლებანი.

### მუხლი 61

მოცემული კონვენცია არ აყენებს ზარალს ევროპის საბჭოს წესდებით გათვალისწინებულ მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებებს.

### მუხლი 62

მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, განსაკუთრებული შეთანხმების გამოკლებით, არ გამოიყენონ მათ შორის მოქმედი ხელშეკრულებები, კონვენციები ან დეკლარაციები პეტიციის სახით დავის გადასაწყვეტად ამ კონვენციის გაგების და გამოყენების შესახებ, სხვა საშუალებებით. ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამ კონვენციაში.

### მუხლი 63

1. ყოველ სახელმწიფოს კონვენციის რატიფიკაციის დროს ან სხვა ნებისმიერ დროს რატიფიკაციის შემდეგ შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალურ მდი-

ვანს გაუგზავნოს შეტყობინება და განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე იგი პასუხისმგებელია, ან ნებისმიერზე ამ ტერიტორიათაგან.

2. კონვენციის მოქმედება ვრცელდება შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე ოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც შეტყობინებას მიიღებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

3. ამ კონვენციის დებულებები გატარდება ასეთ ტერიტორიებზე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

4. ყოველი სახელმწიფო, რომელმაც ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გააკეთა განცხადება, ნებისმიერ დროს აცხადებს განცხადებაში მითითებული ტერიტორიის სახელით, რომ აღიარებს კომისიის კომპეტენციას მიიღოს პეტციები ცალკეული პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან ან პირთა ჯგუფებისაგან ამ კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად.

#### მუხლი 64

1. ყოველ სახელმწიფოს ამ კონვენციის რატიფიცირების დროს ან სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემის დროს შეუძლია გააკეთოს შენიშვნა ამ კონვენციის ნებისმიერი კონკრეტული დებულების მიმართ იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში მის ტერიტორიაზე მოქმედი რომელიმე კანონი არ შეესაბამება კონვენციის მითითებულ დებულებას, საერთო ხასიათის შენიშვნების დართვა არ არის ნებადართული.

2. ამ მუხლის შესაბამისად, შენიშვნაში მოკლედ უნდა გადმოიცეს შესაბამისი კანონის არსი.

#### მუხლი 65

1. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავა ხუთი წელი კონვენციის წევრად მისი გახდომის დღიდან, და ექვის თვის გასვლის შემდეგ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნის დღიდან. გენერალური მდივანი აღნიშნულ გადაწყვეტილებას აცნობებს მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს.

2. დენონსაცია არ ათავისუფლებს მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციით თავის თავზე აღებული ვალდებულებებისაგან ნებისმიერი მოქმედების მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ამ ვალდებულებათა დარღვევას და შეიძლება მას ჩადენილი ჰქონდეს დენონსაციის ძალაში შესვლამდე.

3. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი სახელმწიფო, რომელიც წყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, ასეთივე პირობებით წყვეტს კონვენციის წევრობას.

4. კონვენცია შეიძლება დენონსირებული იყოს ზემოხსენებული პუნქტების საფუძველზე ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, რომელზედაც ვრცელდება მისი მოქმედება 63-ე მუხლის დებულებათა თანახმად.

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოწერისათვის ევროპის საბჭოს წევრებისათვის. ხდება მისი რატიფიკაცია. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. ეს კონვენცია ძალაში შედის 10 სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემის შემდეგ.

3. ყოველი მონაწილისათვის, რომელმაც მოგვიანებით მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემის დღიდან.

4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრებს კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ, იმ სახელმწიფოთა სახელებს, რომელთაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება და შემდგომ რატიფიცირებული სიგელების შესანახად ჩაბარების შესახებ.

დაიდო რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ორივე ტექსტი თანაბრად აუტენტურია. ერთ ეგზემპლარად, რომელიც შეინახება ევროპის საბჭოს არქივებში. გენერალური მდივანი კონვენციის სათანადოდ დამოწმებულ პირებს უგზავნის მასზე ხელისმომწერ ყოველ სახელმწიფოს.

### კონვენციის პირველი მუხვი

მოცემულ კონვენციაზე ხელმისმომწერმა ევროპის საბჭოს წევრმა მთავრობებმა

**მტკიცედ გადაწყვიტეს** გადადგან ნაბიჯები, რათა კოლექტიურად იქნას უზრუნველყოფილი ზოგიერთი უფლებანი და თავისუფლებანი, რომლებიც არ არის შეტანილი 1950 წლის 4 ნოემბერს რომში დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ კონვენციის I ნაწილში (შემდგომ ეწოდება „კონვენცია“).

დაადგინეს შემდეგი:

#### მუხლი 1

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს მშვიდობიანად გამოიყენოს თავისი ქონება. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება, გარდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში და პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპებით.

ზემოხსენებული დებულება არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც მას მიაჩნია საჭიროდ ქონების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის საერთო ინტერესების შესაბამისად ან გადასახადების გადახდის ან სხვა შესატანების და ჩარიმების გადახდის უზრუნველყოფისათვის.

#### მუხლი 2

არავის არ უნდა ეთქვას უარი განათლების მიღებაზე, ასრულებს რა თავის თავზე ალებულ ნებისმიერ ფუნქციას განათლების და სწავლების დარგში.

სახელმწიფო პატივს უნდა სცემდეს მშობლების უფლებას. უზრუნველყვეს შვილების იმგვარი განათლება და სწავლება, რომელიც შეესაბამება მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მოძღვრებას.

#### მუხლი 3

მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას განხორციელონ თავისუფალი არჩევნები დროის გარკვეული ინტერვალის შემდგომ ფარული კენჭისყრით იმ პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფს ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების წევრთა არჩევის დროს.

#### მუხლი 4

მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ მხარეს შეუძლია ხელმოწერის, რატიფიცირების ან რატიფიცირების შემდგომ ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გაუგზავნოს განცხადება, როგორ აპირებს განხორციელოს ამ ოქმის დებულებანი იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთერთობებზეც იგი პასუხისმგებელია.

მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გაგზავნა ამ მუხლში მითითებული განცხადება, შეუძლია დრო და დრო გააგზავნოს მომდევნო განცხადებები, რომლებიც ცვლიან ადრე გაგზავნილი ნებისმიერი განცხადების არსს ან წყვეტენ ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ ამ ოქმის დებულებათა განხორციელებას.

ამ მუხლის თანახმად გაკეთებული განცხადება მიიჩნევა კონვენციის 63-ე მუხლის 1 პუნქტში მითითებული დებულების თანახმად გაკეთებულ განცხადებად.

#### მუხლი 5

მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის ამ ოქმის 1, 2, 3 და 4 მუხლები მიიჩნევა კონვენციის დამატებით მუხლებად, და კონვენციის ყველა დებულება გამოყენებულ იქნება შესაბამისად.

#### მუხლი 6

ეს ოქმი ხელმოსაწერად გახსნილია ევროპის საბჭოს წევრთათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. ოქმის რატიფიცირება ზდება კონვენციასთან ერთად ან შემდეგ. ოქმი ძალაში შედის ათი სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემის შემდეგ. ნებისმიერი მონაწილისათვის, რომელიც მოგვიანებით მოახდენს ოქმის რატიფიცირებას, იგი ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემის დღიდან.

სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც ევროპის საბჭოს წევრებს აცნობს სახელმწიფოებს, რომელთაც მოახდინეს ოქმის რატიფიცირება.

დაიდო პარიზში 1952 წლის 20 მარტს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტი აუტენტურია, ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. გენერალური მდივანი სათანადოდ დამოწმებულ ოქმის პირებს უგზავნის ოქმზე ხელისმომწერი ყოველი სახელმწიფოს მთავრობას.



რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ანიჭებს კომპეტენციას გამოიტანოს კონსულტატიური დასკვნები

ამ ოქმზე ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

**მხედველობაში იღებენ** 1950 წლის 4 ნოემბერს რომში დადებულ კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ (შემდგომ — „კონვენცია“) და კერძოდ, მეცხრამეტე მუხლის, რომელიც სხვა ორგანოების გვერდით აარსებს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს (შემდგომ — „სასამართლო“).

**მიაჩნიათ** მიზანშეწონილად სასამართლოს მიანიჭონ კომპეტენცია კონსულტატიური დასკვნების გამოტანისა გარკვეული პირობების გათვალისწინებით.

**შეთანხმდნენ** შემდეგზე:

### მუხლი 1

1. სასამართლოს შეუძლია მინისტრთა კომიტეტის თხოვნით გამოიტანოს კონსულტატიური დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციის და მისი ოქმების განმარტებას.

2. ასეთი დასკვნები არ გაკეთდება ნებისმიერი საკითხის გამო, რომლებიც ეხება კონვენციის I ნაწილისა და მასზე დართულ ოქმებში მითითებულ უფლებათა და თავისუფლებათა არსს ან მოცულობას ან სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ კონვენციის შესაბამისად საქმის განხილვა, შეიძლება აწარმოოს კომისიამ, სასამართლომ ან მინისტრთა კომიტეტმა.

3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებები გაეცნოს სასამართლოს კონსულტატიურ დასკვნას. მიიღება კომიტეტში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა 2/3 ხმის უპირატესობით. |

### მუხლი 2

სასამართლო წყვეტს არის თუ არა საკითხი, რომლის შესახებ მისი კონსულტატიური დასკვნის გამოტანას ითხოვს კომიტეტი სასამართლოს კომპეტენციაში, როგორც ეს განსაზღვრულია ამ ოქმის 1 მუხლში.

### მუხლი 3

1. კონსულტატიური დასკვნების გამოტანისათვის თხოვნათა განსახილველად სასამართლო ატარებს პლენარულ სხდომებს.

2. სასამართლოს კონსულტატიური დასკვნის გამოტანისათვის წარედგინება საფუძვლები.

3. თუ კონსულტატიური დასკვნა არ არის ერთსულოვანად მიღებული, ყოველ მოსამართლეს უფლება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრება.

4. სასამართლოს კონსულტატიური დასკვნები იგზავნება მინისტრთა კომიტეტში.

### მუხლი 4

კონვენციის 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლებამოსილება ვრცელდება ისეთი წესების შემუშავებასა და ისეთი რეგლამენტის განსაზღვ-

რაზე, რომელიც სასამართლოს ესაჭიროება ამ ოქმის მიზნების უზრუნველყოფისათვის.

### მუხლი 5

1. ეს ოქმი ხელმოსაწერად გახსნილია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ხელი მოაწერეს კონვენციას და მონაწილენი გახდნენ:

a) რატიფიცირების და დამტკიცების შესახებ შენიშვნის გარეშე;

b) შენიშვნით რატიფიცირების ან დამტკიცების, ასევე შემდგომი რატიფიცირების ან დამტკიცების შესახებ.

სარატიფიკაციო სიგელები და დოკუმენტები დამტკიცების თაობაზე შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. ეს ოქმი ძალაში შევა მაშინ, როდესაც ამ მუხლის 1 პუნქტის თანახმად, კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფო გახდება ოქმის მონაწილეც.

3. ამ ოქმის ძალაში შესვლისთანავე 1-4 მუხლები მიიჩნევა კონვენციის უშუალო ნაწილად.

4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი საბჭოს წევრ სახელმწიფოებს აცნობებს:

a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ უშენიშვნოდ რატიფიკაციის ან დამტკიცების თაობაზე;

b) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ შენიშვნით რატიფიკაციის ან დამტკიცების თაობაზე.

c) ნებისმიერი სარატიფიკაციო სიგელის ან დამტკიცების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შესახებ;

d) ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ოქმის ძალაში შესვლის შესახებ.

**დაიდო** სტრასბურგში, 1963 წლის 6 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად აუტენტურია ერთ ეგზემპლარად, რომელიც შეინახება ევროპის საბჭოს არქივებში. გენერალური მდივანი სათანადოდ დამოწმებულ ოქმის პირებს უგზავნის მასზე ხელმოწერ ყოველ სახელმწიფოს.

### მეოთხე ოქმი,

რომელიც უზრუნველყოფს ზოგიერთ უფლებას და თავისუფლებებს, განსხვავებულს კონვენციასა და მის პირველ ოქმში შეტანილი უფლებებისა და თავისუფლებებისაგან

ამ ოქმში ხელისმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც:

**მტკიცად გადაწყვიტეს** კოლექტიურად გადადგან ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ზოგიერთი უფლებანი და თავისუფლებანი, რომლებიც არ არის შეტანილი 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის 1 ნაწილში (შემდგომ — „კონვენცია“) და 1959 წლის 20 მარტს ხელმოწერილ ამ კონვენციის პირველი ოქმის 1-3 მუხლებში.

**შეთანხმდნენ** შემდეგზე:



მუხლი 1

არავის არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმის გამო, რომ მას არ შეუძლია შესასრულოს ნაბიჯი სახელმწიფოებო ვალდებულება.

მუხლი 2

1. ყველას ვინც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეძლევა ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევანის უფლება.

2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის, თავისი სამშობლო.

3. ეს უფლება უნდა შეიზღუდოს მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული კანონით სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის მიზნით, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, დანაშაულის აღკვეთის, მოსახლეობის ჯანმრთელობის და ზნეობრიობის დაცვის ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

4. პირველ პუნქტში მითითებული უფლებანი კონკრეტულ რაიონებში შეიძლება შეზღუდვის ობიექტი გახდეს. შეზღუდვები შემოღებული იქნება კანონის შესაბამისად და დაეფუძნება დემოკრატიული საზოგადოების საყოველთაო ინტერესებს.

მუხლი 3

1. არავინ არ შეიძლება ინდივიდუალური ან ერთობლივი ღონისძიების შედეგად გაძევებული იქნას სახელმწიფოდან, რომლის მოქალაქეც თავად არის.

2. არავის არ უნდა აეკრძალოს თავისუფლად შევიდეს იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეც თავად არის.

მუხლი 4

იკრძალება უცხოელთა კოლექტიურად გაძევება.

მუხლი 5

1. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ამ ოქმის ზღვრის ან რატიფიკაციის, ან ამის შემდგომ ყოველ დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გაუგზავნოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება რამდენად უზრუნველყოფს იგი ამ ოქმის დებულებათა გატარებას იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელიც არის ეს სახელმწიფო, და განცხადებაში ჩამოთვლილი უნდა იყოს ამგვარი ტერიტორიები.

2. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც წინა პუნქტის საფუძველზე გააგზავნა განცხადება, შეუძლია მოგვიანებით კვლავ გააგზავნოს განცხადებები, რომლებიც ცვლიან წინანდელის შინაარსს ან წყვეტენ მოცემული ოქმის მოქმედებას რომელიმე ტერიტორიის მიმართ.

3. აღნიშნული განცხადება ჩაითვლება კონვენციის 63-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გაკეთებულ განცხადებად.

4. მე-2 და მე-3 მუხლებში სახელმწიფოთა ტერიტორიის მითითების

5. „სახელმწიფო და სამართალი“, № 10.

დროს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზედაც ვრცელდება ოქმი რატიფიცირების ან დამტკიცების საფუძველზე და ყოველი ტერიტორია, რომელზედაც ვრცელდება ოქმი ამ სახელმწიფოს მიერ შესაბამისი განცხადების საფუძველზე. მიიჩნევიან განცალკევებულ ტერიტორიებად.

#### მუხლი 6

1. მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის ამ ოქმის 1-5 მუხლები წარმოადგენენ კონვენციის დამატებით მუხლებს და კონვენციის ყველა დებულება ხორციელდება შესაბამისად.

2. მაგრამ, კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად აღიარებული ინდივიდუალური რეგრესის უფლება ან კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად გაკეთებული განცხადება სასამართლოს აუცილებელი იურისდიქციის შესახებ. არ იქნება ძალაში ამ ოქმის მიმართ. თუ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარე არ განაცხადებს, რომ იგი აღიარებს ამგვარ უფლებას ან იურისდიქციას ოქმის ყველა, ან 1-4 მუხლებიდან რომელიმეს მიმართ.

#### მუხლი 7

1. ეს ოქმი ხელმოსაწერად გახსნილია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ხელი მოაწერეს კონვენციას;

მისი რატიფიცირება ხდება კონვენციასთან ერთად ან შემდეგ, ოქმი ძალაში შედის ხუთი სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემის შემდეგ. რაც შეეხება სახელმწიფოს, რომელმაც მოგვიანებით მოაწერა ხელი ოქმს და მოახდინა მისი რატიფიცირება, მისთვის ოქმი ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემის დღიდან.

2. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც აცნობს საბჭოს სახელმწიფოებს მათ მიერ ოქმის რატიფიცირების თანახმად.

რის დასადასტურებლად ქვემოთ ხელის მომწერებმა, რომელთაც აქვთ სათანადო რწმუნებანი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

დაიდო სტრასბურგში 1963 წლის 16 სექტემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში, გენერალური მდივანი ოქმის სათანადოდ დამოწმებულ პირებს უგზავნის ყველა ხელისმომწერ სახელმწიფოს!

არაოფიციალური თარგმანი შეასრულა  
პაპ სუგბათაშვილმა.

<sup>1</sup> 1961 წლის 18 ოქტომბერს, ტურინში, ევროპის საბჭომ მიიღო ევროპის სოციალური ქარტია.

## საყურადღებო ნაშრომი\*

ნაშრომი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ფუნქციების, ცნებისა და სისტემის თეორიული პრობლემების შესწავლის პირველი ცდაა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ეძღვნება ზოგადად სამართლის ფუნქციების თეორიულ პრობლემებს. ხოლო მეორე — უშუალოდ სამოქალაქო სამართლის ფუნქციების ცნებისა და სისტემის საკითხებს.

უპირველესად აღსანიშნავია პრობლემის მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია, რომელსაც ავტორი იყენებს როგორც სამართლის ფუნქციების ცნების, ისე ფუნქციების სისტემის დასადგენად. მხედველობაში გვაქვს სისტემური მიდგომის სტრუქტურულ-ფუნქციონალური ასპექტი, რომელსაც ბოლო დროს იყენებენ მეცნიერების ზოგიერთ დარგში და მათ შორის სამართალმცოდნეობაშიც. ამ მეთოდოლოგიური პრინციპის მეოხებით, რომელიც უკვე ზოგადმეცნიერულ მეთოდოლოგიად იქცა, აქცენტის გადატანა ხდება სამართლებრივი მოვლენების საგნობრივი კვლევიდან მათი ცხოველმყოფელობის კანონზომიერებაზე, ე. ი. ფუნქციონირებაზე. ამ შემთხვევაში სამართალი განიხილილია არა სტატიკური, უძრაობაში, არამედ დინამიკაში, მოქმედებაში, რაც საგრძნობლად აადვილებს მისი არხისა და სხვა შინაგანი თვისებების გამოვლინებასა და შემეცნებას.

სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომის საფუძველზე ავტორი სამართალს განიხილავს, როგორც სისტემურ ობიექტს, რომელიც შედის სხვა უფრო დიდი სისტემის შემადგენლობაში. ამიტომ მას გააჩნია როგორც საკუთრივ სპეციფიკური თვისებები, ისე ზოგადიც, რომლებიც დამახასიათებელია მაღალი დონის სისტემისათვის. ავტორი მეთოდოლოგიურად სწორ ნაბიჯს დგამს, როდესაც სამართლის ფუნქციების ცნების დასადგენად სამართლის სპეციფიკურ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას, რამეთუ ზოგადი გაგებით ფუნქციები სხვა არაფერია თუ არა ობიექტის შინაგანი სპეციფიკური თვისებე-

ბის გარეგანი გამოვლინება. თვისებების გამოვლინება კი ხდება მაშინ, როდესაც ობიექტი მოქმედებს, სამართლის მოქმედება, თავის მხრივ, გამოიხატება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედებაში. ავტორი, ამასთანავე, სწორად შენიშნავს, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედება მრავალგვარია, მაგრამ „მიზნისა“ და „ამოცანების“ კატეგორიების მეოხებით უკველთვის შეიძლება გამოვარჩიოთ მათში ძირითადი მიმართულებანი, რომელიც ფუნქციების ცნების მთავარ დერძს წარმოადგენს. სწორედ სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებში გამოვლინდება ხოლმე სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნება. ამასთან დაკავშირებით ავტორი კრიტიკულად განიხილავს სამართლის ზოგად თეორიაში, აგრეთვე სამართალმცოდნეობის სხვა დარგებში მომუშავე სწავლულ იურისტთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და იძლევა სამართლის ფუნქციების ცნების საკუთარ ორიგინალურ განმარტებას. მისი შეხედულებით სამართლის ფუნქციები არის „სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრის მიზნით საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც განპირობებულია სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნებით“ (გვ. 80). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სამართლის ფუნქციების კატეგორიულური სტატუსის დასადგენად ავტორი, ჩვენი აზრით, დასაბუთებულად ანსხვავებს მას ისეთი მომიჯნავე ცნებებისაგან როგორცაა სამართლის როლი, დანიშნულება, ამოცანები, მიზანი და სხვ.

უაღრესად საინტერესოა სამართლის ფუნქციების ავტორისეული სისტემა, რომელშიც აშკარად მოჩანს სისწორე იმ მეთოდოლოგიური პრინციპებისა, რომლებიც სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა აირჩია მოცემული პრობლემის კვლევისას.

ნაშრომში სპეციალური თავი აქვს დათმო-

\* Давиди Хелтуриани «Функции Советского гражданского права», «Медицинские», Тб., 1996 г.



ბილი სამართლის ფუნქციების კლასიფიკაციის პრობლემას იურიდიულ მეცნიერებაში. სამართლის ფუნქციების სისტემის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მრავალგვარობა ძირითადად უნდა აიხსნას იმით, რომ ჭერ-ჭერობით არ არის შემუშავებული სამართლის ფუნქციათა კლასიფიკაციის ობიექტური კრიტერიუმები. მისი აზრით, სამართლის ფუნქციათა სისტემის დასადგენად საქიროა შეირჩეს ისეთი საკლასიფიკაციო კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ არა მარტო გამოვაცალკეოთ სამართლის ფუნქციათა კონკრეტული სახეობები, არამედ მის საფუძველზე განხორციელებული კლასიფიკაციის შედეგად უნდა მივიღოთ ფუნქციათა ისეთი ნაჯრები, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირი, ურთიერთგანპირობებულობა, ორგანული ერთიანობა და იერარქიული წყობა.

ამ საკითხის გადაწყვეტისას, ავტორი, უწინარეს ყოვლისა ცდილობს დაადგინოს სამართლის სისტემის მთავარი ფუნქცია, ხოლო შემდეგ ვაარკვიოს ფუნქციათა ის წყება, რომლებიც ემსახურება ამ ფუნქციის განხორციელებას.

სამართლის მთავარი ფუნქციის გასარკვევად ნაშრომში სამართალი განხილულია, როგორც სოციალური მართვის სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი. სისტემური მიდგომის თანახმად ის, რაც მაღალი რანგის სისტემისათვის არის კერძო ფუნქცია, შეიძლება იყოს ამ სისტემაში შემავალი კომპონენტისათვის (შედარებით დაბალი რანგის სისტემურში ვიბექტისათვის) მთავარი ფუნქცია, როგორც ცნობილია, სოციალური მართვის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაცია; სწორედ ეს ფუნქცია ავტორის მიერ მიჩნეულია და, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულია, სამართლის მთავარ ფუნქციად, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების უძირითადესი მიმართულება ხომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორგანიზებულობისა და წესრიგის შეტანაა.

ამ ფუნქციის განხორციელებას სამართალი, თავის მხრივ ახერხებს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებითა და დაცვით. მას ემსახურება სამართლის იდეალური სისტემის ორი სტრუქტურული ქვეგანყოფი — მარგულირებელი და დაცვითი (ნორმები, სუბინსტიტუტები, ინსტიტუტები, ქვედარგები). ამის საფუძველზე ავტორი გამოყოფს სამართლის ფუნქციათა პირველ ჯგუფს — სპეციალურ-სამართლებრივ ფუნქციებს (მარგულირებელსა და დაცვითს). იმ ამოცანების მიხედვით, რომლებსაც სამართალი წყვეტს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ავტორი ახდენს სამართლის

ფუნქციათა მეორე ჯგუფის, სახელდობრ, ალურ-პოლიტიკური ფუნქციების გამოცალკევებას. ესენია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და იდეოლოგიური ფუნქციები. სამართლის ფუნქციათა მესამე ჯგუფს ავტორის აზრით შეადგენს სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები: ინფორმაციული, შემეცნებითი, ღირებულებით-ორიენტაციული და აღმზრდელბითი. მათში ვლინდება სამართლის იდეოლოგიური ზემოქმედების თავისებურებანი და ხორციელდება სამართლის მოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმის მეოხებით. ფუნქციათა ამ ჯგუფებს შორის არსებობს ურთიერთგანპირობებულობა და ორგანული კავშირი. ისინი დამახასიათებელია როგორც სამართლის სისტემისათვის მთლიანად, ისე მისი ყოველი დარგისათვის. სამართლის ყოველ დარგსა და მათსადაც სამოქალაქო სამართალსაც ვააჩნია ფუნქციათა ანალოგიური სისტემა. ამასთანავე, სამართლის დარგის სპეციფიკა, რომელიც გამომდინარეობს რეგულირების საგნისა და მასზე ზემოქმედების მეთოდის თავისებურებებიდან, გამოიხატება ფუნქციათა ზემოაღნიშნული ჯგუფების შიგნით არსებული სახეობების თანაფარდობაში. ასევე მათი შემადგენელი ელემენტების — ქვეფუნქციების სხვადასხვაობით.

ასეთ საკუთარ მეთოდოლოგიურ ბაზაზე დაუდნობით მონოგრაფიის მეორე ნაწილში გამოვლენულია სამოქალაქო სამართლის ფუნქციების ცნებისა და სისტემის საკითხები. სახელდობრ, დადგენილია სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნების შინაარსი. მისი სპეციფიკა და მნიშვნელობა. გამოთქმულია, ჩვენი აზრით, საუურადღებო საკანონმდებლო წინადადება, რომ სამოქალაქო სამართლის კოდფიცირებული აქტების პირველივე მუხლებში მითითებული იყოს მოცემული დარგის ძირითად ფუნქციებზე.

მონოგრაფიის ბოლო თავში, რომელიც მოცულობით უველაზე დიდია ნაშრომში, დეტალურად არის გადმოცემული სამოქალაქო სამართლის ფუნქციების სისტემის სტრუქტურა და მისი შემადგენელი ელემენტები. თითოეული ფუნქცია განხილულია სამოქალაქო სამართლის იმ სტრუქტურული ქვეგანყოფილების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული ფუნქციის განხორციელებას. გამოთქმულია მოსაზრებანი სამოქალაქო სამართლის ნორმების, ინსტიტუტებისა და ქვედარგების საკანონმდებლო განმტკიცების სრულყოფის შესახებ. ეს წინადადებანი მოწინააღმდეგე სამოქალაქო სამართლის ფუნქციონალურ შესაძლებლობათა მაქსიმალურ ამალდებას. სამართლის მოცემულ დარგში დისფუნქციონალურობის აღმოფხვრას, რაც გამოწვეულია საკანონმდებლო რეგულირების ხარვეჭებით.

საბჭოთა ცივილისტიკაში პირველად სრულყოფილად და ამოწმურავად არის გამოკვლეული სამოქალაქო სამართლის მარეგულირებელი და დაცვითი ფუნქციების ელემენტარული შემადგენლობა. სამოქალაქო სამართლის ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური და პოლიტიკური ფუნქციების შინაარსი, მათი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციაში. დასაბუთებულია ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნის პირობებში სამოქალაქო სამართლის ფუნქციების როლის ამადღების კანონზომიერება.

ამასთანავე, ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა. სამართლის ფუნქციის ცნების შინაარსის დადგენისას ავტორი ამოსვალდებულად მიიჩნევს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებს. ამას შეიძლება დაევათნებოთ, მაგრამ იქვე არის გატარებული აზრი, რომ ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები, თავის მხრივ, განპირობებულია სამართლის ობიექტური თვისებებითა და კლასობრივი არსით (გვ. 116-117).

ჩვენი აზრით, სამართლის ბუნების ახსნა, როგორც კლასობრივი მოვლენისა, დღევანდელი სამართალგაგების პოზიციებიდან უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ამიტომ მისი გამოყენება სამართლის ფუნქციების ცნების შინაარსის დასადგენად მეთოდოლოგიურად არასწორად მიგვაჩნია. სამართალში, მართალია, დიდია სუბიექტური ელემენტების გავლენა. მაგრამ ამავე დროს მას გააჩნია საკუთარი ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც მის განუყოფელ ნიშან-თვისებებს წარმოადგენენ. სამართლის ფუნქციონალური კვლევისას საჭიროა სწორედ ამ კანონზომიერებიდან გამოვიდეთ და არა მისი კლასობრივი არსიდან. სამოქალაქო საზოგადოებაში სამართალი არ წარმოადგენს კლასობრივ მოვლენას, რადგანაც აღარ არსებობენ გაბატონებული კლასები.

სადავოდ მიგვაჩნია აგრეთვე ავტორის მოსაზრება, რომ სამოქალაქო სამართლის ფუნქციების ცნებაში არ უნდა იყოს ასახული სამართლის მოცემული დარგის საგანი (გვ. 116). ჩვენი აზრით, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება სამოქალაქო სამართლის ფუნქციების ცნების ორიგინალური განმარტების შემუშავება. სამოქალაქო სამართლის სპეციფიკა ხომ, უწინარეს უოვლისა, მისი ზემოქმედების საგნის თავისებურებებით განისაზღვრება. ამ გარემოებითაა განპირობებული

სამოქალაქო სამართლის ფუნქციების სპეციფიკაც. ამიტომ ზემოქმედების საგანი ფუნქციების ერთ-ერთ ძირითად ცნებით ნიშნად უნდა იქნეს განხილული.

ნაშრომის პირველ ნაწილში ავტორი საქმოდ დაწვრილებით იხილავს ზოგადი სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციების ცალკეული ქვეფუნქციების შინაარსს. კარგი იქნებოდა სამოქალაქო სამართლის შესაბამისი ფუნქციების გაშუქებისას ავტორი არ შემოფარგლულიყო მხოლოდ ზოგადი დებულებებით და უფრო კონკრეტულად გადმოეცა ის სპეციფიკა, რომელიც ახასიათებს სამოქალაქო სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მექანიზმსა და მის ძირითად მიმართულებებს.

ნაშრომის გაცნობისას მკითხველი ავიღლად დარწმუნდება, რომ კვლევის პროცესში ავტორს გამოუყენებია უაღრესად დიდი რაოდენობის ლიტერატურა როგორც საბჭოური, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებისა. ჩვენი აზრით, ნაშრომი უფრო მოიგებდა მონოგრაფიაში ცალკე თავი რომ დათმობოდა სამართლის ფუნქციების პრობლემის დამუშავების მდგომარეობას საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ მეცნიერებაში. მითუმეტეს, როგორც ნაშრომიდან ირკვევა, ავტორს ბელი მიუწვდება უცხოურ წყაროებზე.

შემოადინებული შენიშვნები სრულებითაც არ ამცირებენ სარეცენზიო ნაშრომის ღირსებას. ვფიქრობთ, ავტორს შესაძლებლობა ექნება ამ პრობლემაზე შემდგომი მუშაობისას გაითვალისწინოს ისინი და კიდევ უფრო სრულყოფილი სახე მისცეს კვლევის შედეგებს. ეს მომავლის საქმეა. ახლა კი შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სარეცენზიო ნაშრომი უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის თეორიაში.

უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელსაც უოველი დაინტერესებული მკითხველი გამოიტანს მონოგრაფიის გაცნობისას, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ახლებურად გაიაზრებს სამოქალაქო სამართლის სოციალურ ღირებულებას. მის არსსა და დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნაშრომი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი იძლევა იმპულსს სამოქალაქო სამართლის თეორიის თითქოსდა უკვე გამოკვლეული, ე. წ. ამოწურული საკითხების ახლებური კვლევა-ძიებისათვის.

რომან შენგელია,  
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

# განხილვა სანუგვარო მხედრობის

კომუნისტური იდეების საფუძველზე შექმნილი იმპერია შეიქმნა. იგივე ბედი ეწია სამართლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიასაც. ხოლო მის ადგილს დაიკურს ეროვნულ-სამართლებრივ კულტურაზე დაფუძნებული კანონმდებლობა. სწორედ ამ სანუგვარი ოცნების მექანიერული გაცხადება მიხეილ კეკელიას ნაშრომი „ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია“ („მეცნიერება“, თბილისი, 1984)\*.

ჩვენი მიზანი ნაშრომის სრულად განხილვა არ არის. უურადღებს გავამახვილებთ მხოლოდ ერთ საკითხზე, კერძოდ, ქართული სამართლის აღორძინების საკითხებზე. ვფიქრობთ, სამართლის სპეციალისტები დაგვეთანხმებიან, რომ საქართველოს დღეს მოქმედი კანონმდებლობა ძირითადად მაინც თარგმანია რუსულისა. რუსული სამართლის ბევრი ნორმა კი ჩვენთვის მიუღებელია. ნაშრომი თვალნათლივ წარმოაჩენს ამდაგვარი ნორმების არსს. ნიმუშად რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ. მიხეილ კეკელია წერს: „ჩვენი ეროვნული ტრადიციული სამართალი მუდამ მკაცრად განიხილავდა ქვეყნის, ერის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ამ ბოლო დროს უველადფერი შეიცვალა, მეცნიერულად დაიხვეწა დანაშაულის ცნება, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია და მოხლის დანაშაულად გამოაცხადოს ერის წინააღმდეგ მიმართული ბოროტმოქმედება... საბჭოთა სისხლის სამართალი დანაშაულად აღიარებს უველადფერს... გარდა ხელყოფას ეროვნულ თვითმყოფადობაზე, ეროვნულ ღირსებაზე, ეროვნული ღადატი, ერის სიძლიერისა და პატივის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება კი უველას ებატიება. შინაურსაც და გარეშესაც“ (გვ. 84-81).

მეორე მაგალითი. ავტორი აღნიშნავს: „ღალატით ჩადენილი დანაშაული ოდითგანვე ითვლებოდა ჩვენი (როგორც კანონმდებლობით, ისე სხვა სოციალური ნორმებით) დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად და გაორკეცებულ სასჯელსაც იმსახურებდა. საქმე იმაშია, რომ გულწრფელი მინდობა-მშობის, მეგობრობის, მეზობლობის თუ სტუმარ-მასპინძლობის კვაკუთხედი იყოს საყოველთაოდ აღიარებული მინდობა“ (გვ. 24).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი კი სხვაგვარად „ფიქრობს“ და ღალატს არ მიიჩნევს დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად.

სამართალი, რომელიც რომელიმე იდეოლოგიით ნასაზრდოები პოლიტიკის განხორციელების იარაღია (ასეთად თვლიდნენ სამართალს მარქსიზმის კლასიკოსები) და არა სამართლიანობის იდეის გამოვლინება, „მართალი სამართლის“ ქმნა, სამართალი, რომელიც აიძულებს დამნაშავის ახლობლებს, დაახელოს სულიერი თუ სისხლით ნათესავი და მის წინააღმდეგ ჩვენებაც კი მისცეს (საპირისპირო შემთხვევაში სასჯელით ემუქრება). ცხადია, ფრიად შორს დგას ზნეობისაგან. პიროვნების პატივისცემისაგან. ამიტომ, რაც უნდა ნაწყენი იყოს, არ უნდა გავვიკვირდეს ამგვარ სამართალზე გაზრდილი „ერთი ქართველი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქმრის მიერ საკუთარ ხაწოლში ცოდნის წასწრება საყვარელთან არ უნდა იქნეს მიჩნეული პირის ავექტურ მდგომარეობაში ჩაშენებლად და საყვარლის ან ცოდნის მიმართ გამოვლენილი „არასამართლო მიერ“ მოქმედება მკაცრად უნდა დაისაჯოს“ (გვ. 18).

ვახტანგ შექვესე კი ლაკონურად წერდა: „თუ კაცმან ცოლი ბოზობაზე დაახელოს და მოკლას, არც ძმისაგან, არც ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვები“.

მოქმედი კანონმდებლობის ეროვნულ ტრადიციებთან დაპირისპირება ორ შედეგს იძლევა: 1. კანონი კანონობს და იღაბება ეროვნული ტრადიცია; 2. ტრადიცია მაინც მძლავრობს და მოქმედ ნორმას მკვდარ ნორმად აქცევს ეს დებულება ნაშრომში ორიოდ მაგალითითა დასაბუთებული.

1. „ჩვენთან — წერს ავტორი, — ჭრჭერობით მაინც, რეგისტრირებული კორწინების გარეშე ბავშვის დაბადება არ იმსახურებს მოწონებას... ამ დროს ტოლ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ქალთაგან ერთს, რომელსაც რეგისტრირებულ კორწინებაში მყოფი ქმარი გარდაეცვალა და ობლად დარჩენილ ბავშვს ზრდის, ხოლო მეორე მარტოხელა დედა (ბავშვი გაჩნდა რეგისტრირებული კორწინების გარეშე), კანონი შეღავათიან პირობებს თავშეუკავებელ ქარაფშუტა დედას უქმნის. სხვაგან მე არ ვიცი, მაგრამ დღეს მთელ საქართველოში, მთასა და ბარში, ჩვენი ჩვეულებების მიხედვით ასეთი მარტოხელა დედა ჩემ მიერ მიითქმუნებულ ქვრივ ქალთან შედარებით წახალისებას კი არა, დაგმობას იმსახურებს“ (გვ. 87). ლოგიკურია დასკვნაც:

\* მოახვედოს გაეახსენებთ, რომ „მეცნიერებაში“ 1982 წელს გამოცემა ამავე ავტორის ეროვნული ტრადიციებისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ნაშრომი „ეროვნული ჩვეულებებისა და ტრადიციის ბუქებიანობის“.



ახალმა საბინაო კანონმდებლობამ არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა მარტოხელა დედებს კანონიერი კორწინების შემდეგ დაქვრივებულ დედათა წინაშე (გვ. 34).

2. მიხეილ ეკელიას ეროვნული ტრადიციების მიერ მოქმედი ნორმის „მკვდარ ნორმად“ ქცევის საინტერესო მაგალითი მოაქვს: „შრომის კანონი შვილგარდაცვლილ დედასაც არ ანიჭებს რაიმე მნიშვნელოვან შეღავათს სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის. ფაქტიურად დადგება თუ არა ასეთი სამწუხარო შემთხვევა, უმალ ამოქმედდება ეროვნული ჩვეულება (გლოვის ეროვნული წესი) და დედაც სარგებლობს მთელი რიგი დაუწერელი შეღავათებით... აქაც ჩვეულება ერევა საქმეში. რა გვიზღლის ხელს მივიღოთ ისეთი სამართლის ნორმა, რომელიც აუცილებლად გვკვირდება და რომლის მიერ მოსაკუთვნებელ უფლებას ისედაც ვიუენებთ და მოვიცილოთ ის, რასაც არ ვასრულებთ და კანონში მაინც წის“ (გვ. 34).

ეს არის მრავალთაგან მცირედი იმ მაგალითებისა, რომლებითაც მიხეილ ეკელია ცხადყოფს ქართული კანონმდებლობის ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნების არა ოდენ სასურველობას, არამედ აუცილებლობასაც. რადგან ერი.

მცხოვრები სხვათაგან თავსმოხვეული სამართალით, ვერ იქნება თავისუფალი.

ნაშრომში სხვაც ბევრი რამ არის საინტერესო და პრაქტიკული ღირებულების მქონე. ჩვენ მათზე არ შევჩერდებით (დაინტერესებული მკითხველი თავათ წაიკითხავს). ერთ საკითხს კი დავსვამთ: ხომ არ დადგა დრო, ქართული სამართლის ისტორიკოსებისა და კონსტიტუციური სამართლის მკვლევართაგან შეიქმნას ჯგუფი, რომელიც მოამზადებს სრულიად ახალ, საბჭოური სამართლის რეციდივისაგან თავისუფალ, ქართულ სამართლებრივ კულტურაზე და ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის კოდექსს (სამართლის სხვა დარგებში კოდექსთა არსი თუ არქიტექტონიკა ბევრად იქნება დამოკიდებული მომავალი საქართველოს სახელმწიფო და ეკონომიკურ წუობაზე).

სხვისი არ ვიცი და, ჩვენი აზრით, ასეთი უამი დადგა, თავისუფალ საქართველოს თავისუფალი, ქართული სულის მატარებელი ერთი კოდექსი მაინც უნდა დავახვედროთ.

ოთარ ზომიძე

## უცხოური იურიდიული კრესა

ლაური უაიზანი

### სამართლიანი სასამართლო

შეერთებული შტატების კონსტიტუცია უფლებების შესახებ ბილში განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლო განზიღვისა და სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოების ძირითად და ფუნდამენტურ გარანტიებს.

1787 წელს საკონსტიტუციო კონვენტზე ამერიკული კონსტიტუციის შემუშავებისა და განზიღვისას, ეს ფუნდამენტური გარანტიები არ იქნა შეტანილი საბოლოო ტექსტში, რომელიც 13 საწყის შტატს რატიფიცირებისათვის წარუდგინეს. ამ დოკუმენტში ყურადღება ძირითადად მიქცეული იყო ცენტრალური მთავრობის უფლებამოსილებაზე შტატების მთავრობებთან შედა-

რებით. აგრეთვე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელ-  
სუფლებებისა და კონსტიტუციური მთავრობაში. სხვა სიტყვებით, პირველ კონსტი-  
ტუციაში აღწერილი იყო მხოლოდ ის უფლებები და უფლებამოსილებანი,  
რომელთაც ხალხი ანიჭებდა კონსტიტუციური მთავრობებს. ხალხის  
უფლებები და უფლებამოსილებანი, რისთვისაც ხალხი იბრძოდა რევოლუცი-  
ის დროს, მასში არ იყო მოცემული, რამდენადაც, მთავრობის შესახებ წარ-  
მოდგენის თანახმად, ხალხს შენარჩუნებული ჰქონდა ყველა უფლება და  
უფლებამოსილება, გარდა იმისა, რაც კონკრეტულად გადასცა კონსტიტუციური  
მთავრობებს.

მაგრამ, როდესაც ეს კონსტიტუცია შტატებს რატიფიცირებისათვის წა-  
რუდგინეს, ზოგიერთმა მათგანმა ამაზე უარი განაცხადა; სანამ არ დაემატებოდა  
ბილი უფლებების შესახებ; რამეთუ მიიჩნიეს, რომ ხალხის უმნიშვნელოვა-  
ნესი უფლებები და უფლებამოსილებანი არ შეიძლება მხოლოდ იგულისხმე-  
ბოდეს, მათ მიანდათ, რომ ყველა დროისა და პერიოდის მთავრობები საჭი-  
როებენ სპეციალურ შეხსენებას, რომ არა აქვთ თავის თანამემამულეთა იმ  
ფუნდამენტურ თავისუფლებათა შეზღუდვის უფლება, როგორცაა: რწმენის,  
გაერთიანების, აზრის გამოთქმისა და პირად ცხოვრებაზე, საკუთრებაზე,  
მიუდგომელ სასამართლოზე, სამართლიან სამართლებრივ სისტემასა და სხვა  
ძირითად უფლებებზე თავისუფლება.

უფლებების შესახებ ბილი იყო პირობა, რომლის გარეშეც რამდენიმე  
შტატი არ თანმდებოდა კონსტიტუციის რატიფიცირებაზე, თუმცა ზოგი ბი-  
ლის წინააღმდეგი იმიტომ კი არ იყო, რომ მთავრობის მხრიდან მათი უფლე-  
ბების ხელყოფა მოსწონდათ, არამედ ფიქრობდნენ, ვაითუ ზოგიერთი უფლე-  
ბის დაფიქსირებამ მომავალი მთავრობები იმ დასკვნამდე შეიძლება მი-  
იყვანოს, რომ შესაძლებელია სხვა უფლებების შეზღუდვა, ასეთი გაუგებ-  
რობის თავიდან ასაკლებლად პირველ რეა შესწორებას, რომლებშიც გან-  
საზღვრული უფლებები იყო ჩამოთვლილი, დაემატა ორი ძალზე მნიშვნელო-  
ვანი გაფრთხილება, მე-9 შესწორება განმარტავს, რომ ამ კონსტიტუციაში  
ხალხის ზოგიერთი უფლების ჩამოთვლა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც  
სხვა უფლებათა უარყოფა ან დაკანონება, მე-10 შესწორება კი კვლავ განამ-  
ტკიცებს კონსტიტუციის ფუნდამენტურ დებულებას და იმეორებს იმ პუნქტს,  
რომლითაც კონსტიტუცია იწყება, რომ შეერთებული შტატების მთავრობა  
ჩამოყალიბებული, დაწესებული და დაარსებულია ხალხის მიერ, და რომ უფ-  
ლებამოსილებანი, რომელნიც კონსტიტუციით მისთვის არ არის გადაცემული,  
რჩება ხალხს, მაგალითად, თუმცა ბილი უფლებების შესახებ განსაკუთრებით  
არ აღნიშნავს ხალხთა უფლებას გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგი-  
ლის არჩევის თავისუფლებაზე, მაგრამ დაეკვებაც კი არ შეიძლება, რომ ეს  
უფლება არსებობს და არ შეიძლება იქნეს შეზღუდული.

მსგავს დებულებებს ორმოცდაათი შტატის კონსტიტუცია შეიცავს, ამას-  
თან, მათი გარანტიები ზოგან უფრო დეტალურადაა შემუშავებული, ვიდრე  
ფედერალურ კონსტიტუციაში, სწორედ ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი  
ცალკეული შტატების კონსტიტუციები, ხოლო მათი კონსტიტუციური ისტო-  
რია შეერთებული შტატების კონსტიტუციური სამართლის არსებით ნაწილს  
შეადგენს, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია მოქალაქეთა ფუნ-  
დამენტური გარანტიების მხოლოდ საფუძველია მთავრობასთან ურთიერთო-  
ბაში, როგორც ფედერალურ, ისე შტატის დონეზე.

უფლებების შესახებ ბილის დებულებები, რომლებიც მიუყვარდობებელ სასამართლოს ეხება. IV-VIII შესწორებებშია მოცემული. მეოთხე შესწორება აცხადებს: „არ შეიძლება დარღვეულ იქნას ხალხის უფლება პიროვნების საცხოვრებელი ბინის, ქალაქებისა და ქონების ხელშეუხებლობის შესახებ უსაფუძვლო ჩხრეკით ან დაპატიმრებით, და ორდერი ჩხრეკის ან დაპატიმრების შესახებ არ გაიცემა ფულით ან საჯარო განცხადებით დამოწმებული საკმაო საფუძვლის გარეშე. ასეთი ორდერი უნდა შეიცავდეს ჩხრეკის ადგილს. აგრეთვე დასაპატიმრებელი პირის ან ქონების დაწვრილებით აღწერას“.

**პირადი** ცხოვრებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის ეს მნიშვნელოვანი გარანტიები განსაზღვრავენ, როგორ უნდა წარმოებდეს დაპატიმრება და როგორ შეუძლია პოლიციას ან მოკვლევის სხვა ორგანოს მტკიცებულებათა მოპოვება. თუ ხელისუფლება არ დაიცავს კანონიერ პროცედურას, ასეთი გზით მოპოვებული მტკიცებულებანი ამორიცხულ უნდა იქნეს სასამართლო მასალებიდან. ზოლო განსასჯელი უნდა განთავისუფლდეს. დაპატიმრების ან ჩხრეკის ორდერს ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თუ პოლიცია ვერ დაარწმუნებს მოსამართლეს, რომ მას სერიოზული და კანონიერი საფუძველი გააჩნია დასაპატიმრებლად ან ვინმეს სახლის ან სხვა ნაგებობის ჩხრეკისათვის, მაშინ მოსამართლე უარს იტყვის ორდერის გაცემაზე. ორდერის გარეშე დაპატიმრება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც პოლიცია დააკავებს პირს დანაშაულის ჩადენის მომენტში. ასეთ შემთხვევაში პოლიცია მოვალეა დაუყოვნებლივ წარუდგინოს ბრალდებული მოსამართლეს და დაარწმუნოს ეს უკანასკნელი დაპატიმრების კანონიერებაში.

დაპატიმრების ან ჩხრეკისათვის ორდერის მისაღებად პოლიციამ უნდა დაარწმუნოს მოსამართლე რომ „საკმაო საფუძველი“ მოეპოვება. ეს ნიშნავს, რომ პოლიციამ უნდა მოძებნოს პირი, რომელიც მზადაა ფიცით განამტკიცოს ჩვენება (და ამით, ტყუილის შემთხვევაში, დევნილ იქნეს ცრუმოწმობისათვის), რომ მისთვის ცნობილია გარკვეული კონტრაბანდის ადგილსამყოფელი, ან ამ გარკვეულმა პირმა გარკვეული დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა. პოლიცია კანონს არღვევს, თუ, მაგალითად, ორდერი ჩხრეკის შესახებ გაცემულ იქნა ნარკოტიკების ამოსაღებად, მაგრამ ამ პროცესის დროს იგი პორნოგრაფიული ლიტერატურის ძებნას იწყებს. საერთო (ყოვლისმომცველი) ჩხრეკები კატეგორიულადაა აკრძალული, და ამ დროს მოპოვებული მტკიცებულებანი არ შეიძლება სასამართლო დევნის საფუძველი გახდეს.

პოლიციის მუშაკები შეიძლება სამოქალაქო ან სისხლის სამართლებრივი წესით დაისაჯონ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შელახვისათვის. მაგალითად, მასაჩუსეტელ პოლიციელს, რომელიც ამტკიცებს, რომ ორდერი აქვს, თუმცა სინამდვილეში ასეთი არ გააჩნია, ანდა ამტკიცებს, რომ აქვს ორდერი, იმისაგან განსხვავებული, რაც ფაქტობრივად გააჩნია, შეიძლება დაეკისროს 1000 დოლარამდე ჯარიმის გადახდა ან მიესაჯოს ერთ წლამდე პატიმრობა.

მოქალაქეებს შეუძლიათ შეიტანონ სარჩელი სასამართლოში იმ პოლიციელებზე, რომელთაც შელახეს მათი უფლებები. ფედერალურმა მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც უფლებას იძლევა ფედერალურ სასამართლოში უჩივლოს შტატების მოსამსახურეებს, რათა გარანტირებულ იქნეს, რომ შტატების მთავრობები არ შელახავენ მოქალაქეთა ფედერალურ კონსტიტუციურ უფლებებს.



მეხუთე შესწორება ადგენს, რომ „არავის არ უნდა წაერთვას სიციცხლეტი თავისუფლება ან ქონება სასამართლო განხილვის გარეშე“. ეს კონცეფცია ნა-სესხებია ინგლისის 1215 წლის თავისუფლების დიდი ქარტიიდან, რომელიც ამერიკის სამართლებრივ სისტემას უდევს საფუძვლად. „კანონიერი სასამარ-თლო გარჩევის“ კნება უძველესი „ბუნებრივი კანონის“ გაგებიდან მომდინა-რეობს, რომლის თანახმად, კანონი სამართლიანი და გონიერი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კანონი კი არა. ტირანიაა. სხვა სიტყვებით „კა-ნონი“ ის კი არ არის, რასაც დაძალების მონობოლიის მფლობელი ნების-მიერი მთავრობა კანონს დაარქმევს. იმისათვის, რომ ეს სახელი დაიმსახუროს, კანონი უნდა იყოს რაღაც უფრო კეთილშობილური და ამადლებული. გონიერ შესაძლებლობათა შორის სამართლიანი და ბრძნული არჩევანის ნაყოფი, რო-მელსაც კანონიერი მთავრობა შეასრულებს იმ წესებით, რომელთაც მისი ყვე-ლა წევრი სიამოვნებით დაემორჩილება. მთავრობის შესახებ ასეთი შეხედუ-ლების არსებობა მეხსიერებაში აცოცხლებს პრეზიდენტ ლინკოლნის ღრმავაზ-როვან გამოხატევას, რომ რამდენადაც მას არ სურს თავად იყოს მონა, ამი-ტომ არც ის უნდა, მათი მფლობელი იყოს.

კანონიერი სასამართლო განხილვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენ-ტად გვევლინება დებულება, რომ „არავინ არ უნდა აიძულონ სისხლის სა-მართლის საქმეში საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება“. ეს უდანა-შაულობის პრეზუმფციის ყველაზე არსებითი გარანტიაა. მის გარეშე უდანაშა-ულობის პრეზუმფციას ფასი არ ექნებოდა. ამგვარად, პოლიცია და პროკურა-ტურა სრულად ეწვეიან ექვმიტანილის ბრალის დამტკიცების ტვირთს. სისხ-ლის სამართლის პროცესის დაწყებისთანავე, დაპატიმრების დროს ან დანა-შაულის სავარაუდო ჩამდენი სხვა პირის შესახებ დაკითხვების ჩათვლით არა-ვინ არის ვალდებული მისცეს ჩვენება. მეტიც, კანონის თანახმად, პოლიცია მოვალეა გააფრთხილოს ექვმიტანილი, რომ მას შეუძლია არ მისცეს ჩვენება, რომ ყველაფერი მის მიერ თქმული, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წი-ნააღმდეგ, რომ მას აქვს ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლება და რომ თუ მას არა აქვს დაცვის საფასურის გადახდის შესაძლებლობა, მაშინ ად-ვოკატს სახელმწიფოს ხარჯზე მიუჩენენ. თუ ექვმიტანილი ადვოკატს მოით-ხოვს ან პასუხზე უარს განაცხადებს, დაკითხვა უნდა შეწყდეს. თუ პოლიცია ჩვენებებს ან სხვა მტკიცებულებებს ამ გარანტიების დარღვევით მოიპოვებს, ასეთი ჩვენებები ან მტკიცებულებანი ამოღებულ იქნება სასამართლოს მასა-ლებიდან. მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკამ ისეთი სამართლებრივი სისტემა აირ-ჩია, რომ დამნაშავეც კი შეიძლება იქნეს განთავისუფლებული, თუ ეს აუ-ცილებელია ისეთი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, რომლის დროსაც დამნაშავეებს კიხეში სვამენ მხოლოდ თავისუფლების ფუნდამენტური უფ-ლების გარანტიის მიმკეში სათანადო პროცედურების შემდეგ.

სასამართლოზე განსასჯელი სულაც არაა ვალდებული მისცეს ჩვენება. მას შეუძლია თავისი სახელიც კი არ თქვას. მისთვის წაყენებული ბრალდე-ბის ყველა დეტალი ისე უნდა იქნეს გამაგრებული მტკიცებულებებით, რომ მკირედი ექვიც არ დარჩეს. მაგრამ თუ ბრალდების თუნდაც ერთი დეტალის მიმართ რაიმე ექვი გაჩნდება, განსასჯელი უნდა იქნეს გამართლებული. ადვო-კატები ხშირად მიმართავენ იმ სტრატეგიას, როცა განსასჯელი მთლიანად უარყოფს ჩვენებებს. ბრალმდებელს მკაცრად აქვს აკრძალული ნაფიც მსაჯუ-ლთა წინაშე ჩვენებების უარყოფის ფაქტის კომენტირება. რადგან ასეთმა

კონსტიტუციის მექანიზმების განხორციელების გამო. შეიძლება სასაჩუქროდ გამოიწვიოს. ჩვეულებრივ, მოსამართლე-ობის დაფრთხილებენ ნაფიც მსაჯულებს, რომ განსაჯელის დუმილის გამო რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნა არ გააკეთონ ან პროკურორი ან მოსამართლე განსაჯელის დუმილზე რაიმე სხვა ხერხით მიანიშნებს. განსაჯელი ახალი სასამართლო განხილვის უფლებას იძენს.

კანონიერი პროცესის შემდეგ მნიშვნელოვან ელემენტად, რომელიც მჭიდრო კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმციასთან, გვეკლინება განუზომლად დიდი თავანის მოთხოვნის აკრძალვა, რაც მოცემულია მე-8 შესწორებაში. თავანი ეს არის ხელშეკრულება, რომლითაც ბრალდებული სასამართლოში გამოცხადების პირობას დებს. მას ან ვინმეს მის ნაცვლად შეაქვს სასამართლოში დადგენილი თანხა, რომელიც დაუბრუნდება სასამართლო პროცესზე გამოცხადების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თანხა დაკარგულია. მე-8 შესწორება ითვალისწინებს, რომ ეს თანხა ზომიერი უნდა იყოს და შემსაბამებოდეს სავარაუდო დანაშაულის სიმძიმეს. როგორც წესი, მოსამართლემ ბრალდებული სასამართლო პროცესამდე არ უნდა დააპატიმროს თუ არ ჩათვლის, რომ იგი პროცესზე არ გამოცხადდება ან სხვა დანაშაულს ჩაიდენს. თავდებით განთავისუფლება შესაძლოა სიკვდილით დასჯის საფრთხის დროსაც. თუმცა ამ შემთხვევაში თანხა ერთობ დიდი იქნება და სასამართლოში გამოუცხადებლობა ძალიან ძვირი დაჯდება. სხვა შემთხვევებში თანხა ძალზე პატარა ან საერთოდ არ წესდება თუ ბრალდებული უბრალოდ სასამართლოში გამოცხადების პირობას დადებს.

მე-8 შესწორების პრაქტიკული ეფექტი იმაში გამოიხატება, რომ ბრალდებულთა უმრავლესობას დაპატიმრებიდან 48 საათის განმავლობაში ათავისუფლებენ. დაპატიმრებასა და სასამართლოს შორის დროის მონაკვეთს იმის ციხეში არ ატარებენ. პოლიციას არა აქვს შესაძლებლობა ბრალდებული ხანგრძლივი, ყოველდღიური, გამუდმებული დაკითხვებით დააუძღუროს და გამოფიტოს, რადგან, როცა სასამართლოს დღე დადგება, განსაჯელი ციხის საკენიდან ახლახანს გამოშვებულებით არ გამოიყურებოდეს. სასამართლოს დაწყებამდე დრო მას შეუძლია სახლში, ოჯახის წევრებთან გაატაროს, ექვბოს მოწვევები თავის დასაცავად. აქტიური მონაწილეობა მიიღოს პროცესისათვის მზადებაში თავის ადვოკატთან და სხვა პირებთან ერთად.

მე-6 შესწორებით გარანტირებულია ბრალდებულის უფლება „მიუყვრებელ ნაფიც მსაჯულთა სწრაფ და საჯარო სასამართლოზე“ და „უფლება, რომ წინასწარ აცნობონ ბრალდების ხასიათისა და მოტივების შესახებ და დააპირისპირონ იმ მოწვევებს, ვინც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას. ბრალდებულს აქვს თავისი მოწვევების იძულებით გამოძახების და დასაცავად ადვოკატის დანმარების უფლება“. ყველა ამ უფლებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ვფიქრობთ, მათ შორის უმნიშვნელოვანესი ღია სამართალწარმოების უფლებაა. ეს უქველესი უფლება, როგორც ინგლისურ-ამერიკელი მემკვიდრებმა, ადრეული კოლონიისტების მიერაა შეთვისებული.

ღია სასამართლო ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს მისი ყველა პროცედურის სამართლიანობას მასში ჩაბმულ პირებთან დამოკიდებულებაში, დამსწრე საზოგადოების ჩათვლით, რომელსაც, რაც შემდგომ უფრო დაწვრილებით აისახება განსაკუთრებული მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა აკისრია. ამერიკელები ამბობენ, რომ მზე საუკეთესო დეზინფექტორია. ეს ნიშნავს, რომ

პატიოსანი მთავრობა ღია უნდა იყოს. ღია სამართალწარმოება პროცესის ხაწილებს ცრუმოწმობისა და სხვა საძრახისი ქცევის სურვილს უკარგავს. განსაკუთრებით კი მიეკრძაოებული გადაწყვეტილების გამოტანის საფრთხეს გვაცილებს. ინგლისელი ფილოსოფოსი ჯერემი ბენტამი ნაშრომში „სასამართლო მტკიცებულებათა დასაბუთება“ (1827) წერდა: „კონტროლის ყველა სხვა ფორმა საჯაროობის გარეშე არასაკმარისია... ოქმის წარმოება, აპელაცია, ნებისმიერი სხვა დანაწესი, რომელიც შეიძლება გარანტიის სახით იქნეს წარმოდგენილი, სინამდვილეში უფრო შენიღბვია. ვიდრე კონტროლი — ნიღბი კონტროლის სახელით“. ბენტამი აღნიშნავდა, რომ ღია სამართალწარმოება აუმჯობესებს მის ხარისხს, იცავს მოსამართლეს უპატიოსნობის ბრალდებისაგან და ემსახურება მოქალაქეთა განათლებას.

მოქალაქეებს თავისი მართლმსაჯულების უნდა სჯეროდეთ. მართლმსაჯულების საჯაროობა ამის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა.

იქნებ, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს სხვაზე უკეთ ესმით ამ სიტყვების სიმართლე. საჯაროობის ერაში საბჭოთა მოქალაქეები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან იმ უამრავ ხერხებში, რომელთა საშუალებითაც ქვეყნის საჯაროობას მთავრობის სწორი ფუნქციონირების უზრუნველყოფა შეუძლია.

ღია მართლმსაჯულების განსაკუთრებულ მნიშვნელობას შესანიშნავად გვიჩვენებს ამ ცოტა ხნის წინ ამერიკაში შემდგარი პროცესი:

1980 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს პირველად უნდა განესაზღვრა, შეუძლია თუ არა მოსამართლეს არ დაუშვას საზოგადოება სასამართლო დარბაზში. განსასჯელი დახურულ პროცესს ითხოვდა, რაც ადრე არასოდეს მომხდარა. მაგრამ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საზოგადოებას უფლება აქვს დაესწროს სასამართლოს. მან აღიარა, რომ ეს უფლება კონსტიტუციის პირველი შესწორებებით ნებისმიერი ადამიანისათვის მინიჭებული სიტყვისა და კრების თავისუფლების შემადგენელი ნაწილია, თუმცა, არ არის მასში კონკრეტულად მოხსენიებული. და ეს უფლება იმის უფლებასაც შეიცავს, რომ ინფორმირებულიყო მთავრობის საქმიანობის შესახებ, რათა განახორციელოს მასზე კონტროლი. სხვა სატყვებით, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი პირობა ისაა, რომ ხალხმა იცოდეს რა ხდება მის ნებისმიერ სასამართლოში და ამით თავად განსაჯოს. კანონიერად მოქმედებს თუ არა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების სისტემა.

ამავე მიზეზით აქვს სასამართლო პროცესებზე დასწრების უფლება პრესას. ამერიკული იურისპრუდენცია ყოველთვის ამტკიცებდა, რომ პრესა მოქალაქეთათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების აუცილებელი ინსტრუმენტია. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დიდი ხნის წინ გადაწყვიტა, რომ პროცესის შესახებ კეთილსინდისიერი ანგარიში ბრალდებულის უფლებას სამართლიან სასამართლოზე ზიანს არ აყენებს.

ჯერემი ბენტამმა აღნიშნა სამართლიანი სასამართლოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება, კერძოდ, სხდომის ოქმის შედგენა, თუმცა, როგორც უდანაშაულობის პრეზუმფცია, ეს მოთხოვნაც არ მოიხსენიებოდა კონსტიტუციაში. მაგრამ იგულისხმებოდა „კანონიერი სასამართლო განხილვის“ ცნებაში რეგულუციამდე დიდი ხნით ადრე. მასაჩუსეტში სასამართლო ოქმების პირველი აღწერა 1939 წელს გაკეთდა. იმ წელს კანონმდებელი აღნიშნავდა, რომ

ბევრ სასამართლო პროცესზე ოქმი არ შემდგარა. და რამდენადაც ასეთი ოქმები დიდ სარგებლობას მოუტანენ შთაბრძნავლობას როგორც პრეცედენტები და იმათაც დაეხმარებიან. ვინც სამართლიანად ცდილობს თავისი საქმის განმეორებითი განხილვის მიღწევას, ამიტომ კანონმდებელმა დაადგინა „ამერიკიდან სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება ყველა მტკიცებულებით შეტანილ იქნეს წიგნში. რომელიც შთაბრძნავლობას შეენახება“. კანონმდებელმა დაადგინა, რომ „ქვეყნის ყველა მცხოვრებს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს მოიძიოს სასამართლო დოკუმენტები, გაეცნოს მათ და გადაიღოს ასლები“.

ამჟამად, შეერთებულ შტატებში დაცულია ყველა სასამართლო არქივი. ჩვენს დროში მათი ასლების მიღება ძალზე ადვილია. ყველას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი პროცესის სტენოგრაფიული ჩანაწერისა და სხვა სასამართლო დოკუმენტების ფოტოასლი. ეს შეიცავს თითოეული მხარის — პროკურორის თუ ადვოკატის უფლებას ფირზე ჩაიწეროს ყველაფერი. რაც სასამართლოზე ითქვა. ერთ ამასწინანდელ შემთხვევაში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „არ არსებობს სერიოზული საფუძველი, რომლის გამო თითოეულ მხარეს — ბრალდებას ან დაცვას არ შეეძლოს მაგნიტოფონით სარგებლობა სასამართლო ოქმის დაზუსტების მიზნით“. თუმცა, ხმისჩამწერი მოწყობილობის გამოყენება მოსამართლის მხრივ მეთვალყურეობას მოითხოვს. რომელსაც უფლება აქვს გონივრული ზომები მიიღოს სასამართლოს ღირსების, წესრიგისა და პროცედურის დასაცავად. მოსამართლეს არ შეუძლია თვითნებურად აუკრძალოს პროკურორს ან დამცველს ხმისჩამწერი მოწყობილობის გამოყენება. ასეთი აკრძალვა საქმის გადასინჯვას გამოიწვევდა. ამჟამად ბევრი სასამართლო დარბაზი პროცესების ვიდეოჩამწერი აპარატურითაა აღჭურვილი. ზოგიერთი სასამართლო კი ექსპერიმენტებს ატარებს ისეთი კომპიუტერების გამოყენებით. რითაც მალე შეეძლება წარმოთქმული სიტყვები ნაწერ ოქმებად აქციონ, რომლებითაც ისარგებლებენ ადვოკატები და მოსამართლეები პროცესების დაჩქარების მიზნით და რომლებიც ნებისმიერს შეეძლება მიიღოს თავისი საშინაო ან სამსახურებრივი კომპიუტერის საშუალებით.

სამართლიანი სასამართლოს ბენტამის მიერ აღნიშნული უკანასკნელი დამახასიათებელი ნიშანი არის სააპელაციო პროცესი. სწორედ ამ გზით სრულყოფს იურიდიული სისტემა თავის ფუნქციებს. სააპელაციო სასამართლოს დანიშნულებაა თვალყური ადევნოს სათანადოდ მიმდინარეობს თუ არა სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს მიუტკრძობებელ ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, განსასჯელის ბრალის დამამტკიცებელ საბუთთა დამაჩერებლობა იმ პირობით, რომ ეს მტკიცებულებანი ამოღებას არ ექვემდებარებიან პოლიციის ან ბრალმდებლის უკანონო მოქმედებათა გამო, რომ განსასჯელს ყველა შესაძლებლობა ეძლევა თავისი ადვოკატის მეოხებით წარმოადგინოს მოწმეები თავის დასაცავად და იმ მოწმეების ჭვარდინი დაკითხვისათვის, რომელნიც მის წინააღმდეგ იძლევიან ჩვენებას. და ბოლოს. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქტირების სისწორე იმ კანონთა ირგვლივ, რომელნიც გამოყენებული იქნება სასამართლოზე განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზემოხსენებული უმნიშვნელოვანესი წესის ჩათვლით, რომლის თანახმად ბრალმდებელი მოვალეა შექველად დაამტკიცოს წარდგენილი ბრალდების ყველა პუნქტი.

თუ მოსამართლე თავის მოვალეობას დაუდევრად შეასრულებს და განსას-

ჯელი დამნაშავედ იქნება ცნობილი. მაშინ განსასჯელის ადვოკატს აპელაციის შეაქვს სააპელაციო სასამართლოში. ყველაზე გავრცელებულ საშუალებად სასამართლო შეცდომის წინააღმდეგ გვევლინება საქმის გადასინჯვის შესახებ სააპელაციო სასამართლოს დადგენილება. მსამართლისათვის მიცემული იმ ინსტრუქციებით. რომლებიც გვაცილებს წინანდელი განხილვისას დაშვებულ შეცდომებს. ამერიკული სამართლის დიდი ნაწილი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ცნებას ეხება. ათწლეულებისა და ასწლეულების განმავლობაში დაგროვილ სააპელაციო სასამართლოს განჩინებებში მდგომარეობს. და თითოეული ასეთი განჩინება იქითკენაა მიმართული. თუ როგორ ავიცილოთ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში და წინასწარი პროცედურების დროს დაშვებული შეცდომები. ძირითადად ასე ვითარდებოდა ამერიკის სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი.

ამგვარად. ზურგს უკან ყოველთვის დგას სააპელაციო სასამართლო. თითოეული ამერიკელი მოსამართლე ძალზე მგრძობიარეა თავისი გადაწყვეტილების სააპელაციო გადასინჯვის შესაძლებლობისადმი. მოსამართლე ამაყობს „გადასინჯულთა სიის“ სიმოკლით და მორცხვობს თუ იგი გრძელია. რადგანაც ხშირად გადასინჯება არცთუ კარგ მოსამართლეთა გადაწყვეტილებები. სააპელაციო სასამართლოს დადგენილებაში გათვალისწინებულია ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლის მოვალეობა გაარჩოს უკვე განხილული შემთხვევა — კვლავ დაუბრუნდეს მას და ხელახლა გაარჩოს. ამემად უკვე უშეცდომოდ. და ეს მნიშვნელოვანია. რადგანაც თუ მოსამართლე ვალდებული არ იქნება კვლავ გადაწყვიტოს უკვე განხილული საქმე. მას შესაძლებლობა ექნება თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა არასწორი გადაწყვეტილებისათვის. მოსამართლე პასუხისმგებელია არა მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმეში ბრალდებული პირის მიმართ. არამედ მთელი სამართლებრივი სისტემის. იურიდიული პროფესიის წინაშე. რომლის დამოუკიდებლობასა და ღირსებას ყველა მოსამართლე. როგორც ამ პროფესიის უმაღლესი წარმომადგენელი. უყოყმანოდ ერთვულობს.

ამერიკული მართლმსაჯულების საფუძველია ოპონენტების შეჯიბრების სისტემა. სისხლის სამართლის კონტექსტში ეს ნიშნავს. რომ როგორც ბრალდებულმა. ისე დამცველმა თავისი პოზიცია ენერგიულად. დამოუკიდებლად და კანონის ფარგლებში უნდა წარმოადგინოს. და პატივისცემით მოეპყროს მოსამართლეს. მათ მსგავს იურისტს. რომელიც არბიტრის როლს ასრულებს. აუცილებელია გვახსოვდეს. რომ იურისტები. მათ შორის. მოსამართლენიც. მთავრობის როგორც ასეთის კი არა. არამედ ამერიკულ სამართლებრივი ტრადიციების ერთგულნი არიან. რომელნიც აღმოცენდნენ ამერიკაში ინგლისური სამართლებრივი ტრადიციების საფუძველზე და დააკანონეს უჩვეულოდ მნიშვნელოვანი და რევოლუციური დებულება. რომელიც გაცხადებულია ამერიკულ კონსტიტუციაში — მთავრობა თვითონ ემორჩილება კანონს და ყოველთვის ასეთად უნდა დარჩეს. ადვოკატები. ისევე როგორც ხელისუფლების მოსამართლენი სასამართლო განშტოების მსახურნი არიან. რომელთა ფუნქციებში შედის იმის უზრუნველყოფა. რომ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ტოტებმა დაიცვან კონსტიტუცია არაფორმულირებული და ჩამოუთვლელი უფლებების ჩათვლით. რომელნიც ხალხს არასოდეს გადაუცია მთავრობისათვის. და ე. ი. თვითონ დაიტოვა.

სამართლიანი სასამართლოს ცნება. რომელიც სათანადო სასამართლო გან-



ხილვისა და გონიერი მართვის შესახებ „ბუნებითი კანონის“ კონცეფციას ეყრდნობა. საბოლოო ჯამში, ყოველი მომდევნო თაობის სიფხიზლეზეა დამოკიდებული. სიმტკიცეზე — აღანთოს კანონი თავისუფლების სულით, რომელსაც ერთადერთს შეუძლია შთაბეროს სიცოცხლე მთავრობასაც. მარტოოდენ მის მოქალაქეთა ნებით რომ მოქმედებს.

**ბილი უფლებების შესახებ**  
**(ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება)**

**შესწორება 1**

კონგრესმა არ უნდა გამოსცეს რომელიმე რელიგიის დასამკვიდრებელი ან მისი თავისუფალი აღსრულების ამკრძალავი, სიტყვის ან ბეჭდვითი სიტყვის, ანდა ხალხის მშვიდობიანი შეკრებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე მთავრობისადმი პეტიციებით მიმართვის უფლებების შემზღუდავი კანონები.

**შესწორება 2**

რამდენადაც თავისუფალი სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელია კარგად ორგანიზებული ლაშქარი, ხალხის უფლება, შეინახოს და ატაროს იარაღი, შეზღუდვას არ ექვემდებარება.

**შესწორება 3**

მშვიდობიან დროს არცერთი ჯარისკაცი არ უნდა იქნეს ჩაყენებული რომელიმე სახლში მისი მფლობელის თანხმობის გარეშე, ომის დროს დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

**შესწორება 4**

არ შეიძლება დარღვეულ იქნეს ხალხის უფლება პიროვნების საცხოვრებელი ბინის, ქალაქებისა და ქონების ხელშეუხებლობის შესახებ უსაფუძვლო ჩხრეკით ან დაპატიმრებით, და ორდერი ჩხრეკის ან დაპატიმრების შესახებ არ გაიცემა ფიცით ან საჯარო განცხადებით დამოწმებული საკმაო საფუძვლის გარეშე. ასეთი ორდერი უნდა შეიცავდეს ჩხრეკის ადგილის, აგრეთვე, დასაპატიმრებელი პირის ან ქონების დაწვრილებით აღწერას.

**შესწორება 5**

არავინ არ უნდა მიეცეს პასუხისგებაში მძიმე ან სხვა სამარცხვინო დაწაშაულისათვის ნაფიც მსაჯულთა დიდი ეიურის მიერ გამოტანილი დადგენილების ან ბრალდების გარეშე, იმ შემთხვევათა გარდა, რომელიც ეხება სახმელეთო ან საზღვაო ძალების ანდა სახალხო ლაშქრის შემადგენლობას იმ დროს, როცა ეს უკანასკნელნი ომთან ან საზოგადოებისათვის მოსალოდნელ



საფრთხესთან დაკავშირებით ნამდვილ სამსახურში იმყოფებიან, ორჯერ ვინ არ უნდა აგოს პასუხი სიკოცხლით ან ფიზიკური ხელშეუხებლობით თიდაიგივე დანაშაულისათვის, არავინ არ უნდა იძულონ სისხლის სამართლის საქმეში საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. არავის არ უნდა წაერთვას სიკოცხლე, თავისუფლება ან ქონება კანონიერი სასამართლო განხილვის გარეშე; არანაირი კერძო საკუთრება არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს საზოგადოებრივი სარგებლობისათვის სამართლიანი გასამარჯლოს გარეშე.

შესწორება 6

სისხლის სამართლებრივი დევნის ყველა შემთხვევაში ბრალდებულს აქვს უფლება იმ შტატისა და ოლქის მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა სწრაფ და საჯარო სასამართლოზე, სადაც ჩადენილი იქნა დანაშაული. ამასთან, ეს ოლქი წინასწარ უნდა დადგინდეს კანონით; ბრალდებულს აქვს იმის უფლება, რომ წინასწარ აცნობონ ბრალდების ჩასიათისა და მოტივების შესახებ და დააპირისპირონ იმ მოწმეებს, ვინც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას; ბრალდებულს აქვს თავისი მოწმეების იძულებით გამოძახებისა და დასაცავად ადვოკატის დახმარების უფლება.

შესწორება 7

საერთო სამართალზე დაფუძნებულ სასამართლო საქმეებზე თუ სარჩელის თანხა 20 დოლარს აღემატება, შენარჩუნებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწვევის უფლება, და ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული არცერთი ფაქტი არ უნდა ექვემდებარებოდეს გადასინჯვას შეერთებული შტატების რომელიმე სასამართლოს მიერ, ზოგადი სამართლის დებულებათა საფუძვლის გარეშე.

შესწორება 8

არ უნდა იქნეს მოთხოვნილი განუზომლად დიდი თვანაი. უზომო ჯარიმის ზღვევინება, სასტიკი და უჩვეულო სასჯელის დადება.

შესწორება 9

კონსტიტუციაში გარკვეულ უფლებათა ჩამოთვლა ისე არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც სხვა, ხალხის მიერ შემონახულ უფლებათა უარყოფა ან დაკნინება.

შესწორება 10

უფლებამოსილებანი, რომლებიც წინამდებარე კონსტიტუციით შეერთებულ შტატებს არ გადასცემია და რომლით სარგებლობაც ცალკეული შტატების მიერ არ არის აკრძალული, რჩებათ შტატებს ან ხალხს.

# მეცნიერებასა და მეცხოველებს!

მომავალი წლიდან ჩვენი უფროსი ახალი სახელწოდებით გამოვა. საქართველოს იურისტთა კავშირის უკველთვიური ორგანო „სამართალი“ მკითხველს ბევრ საინტერესო მასალას პირდება.

უფროსი სისტემატურად გააშუქებს სიახლეებს კანონმდებლობაში. საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს სამართალშემოქმედებით საქმიანობას დაეთმობა სპეციალური რუბრიკა „პარლამენტის დღიური“. სადაც მკითხველის წინაშე წარსდგებიან იურისტები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები, ვისაც მომავალი არჩევნები ეროვნული პარლამენტის წევრის პასუხსაგებ ტვირთს დააქისრებს.

განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა სხვადასხვა იურიდიული სამსახურის საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკას. გახმაურებული სისხლის და სამოქალაქო საქმეების ანალიზს. სპეციალური რუბრიკა „გამამართლებელი განაჩენი“ მკითხველს ოპერატიულად მიაწვდის სათანადო დოკუმენტურ მასალას, რაც მოქალაქეთა შებღაღული პატივისა და ღირსების აღდგენის ერთგვარ ბაშუალებად გვესახება. უფროსი კვლავაც გამოჩეულ ადგილს დაუთმობს ქართველი და უცხოელი მეცნიერი იურისტების გამოკვლევებს. გამოჩენილი იურისტების შემოქმედებით პორტრეტებს. პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების, სამართლის ისტორიულ პრობლემებს.

სამწუხაროდ, იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალი წლიდან ძვირდება ქაღალდი, სასტამბო და სარეალიზაციო ბარჯები, იზრდება უფროსი ზელმოწერის ფასი. კერძოდ, „სამართალი“ ღირს მთელი წლით — 12 მანეთი, ნახევარი წლით — 6 მანეთი.

ეს გარემოება ალბათ არ დააბრკოლებს იმათ, ვისთვისაც ჩვენი უფროსი არ არის მოცალეობის უამს საკითხავი. არამედ აქტიური მრჩეველი და მეგზურია.

იმედია, ჩვენი მკითხველი უფროსი კვლავაც არ მოაკლებს ერთადერთ ქართულ იურიდიულ უფროსს „სამართალს“ და დროულად გააფორმებს ზელმოწერას, რომელიც უკვე დაიწყო. გამოიწერეთ უფროსი „სამართალი“. მასზე ზელმოწერა შეუზღუდავია.

„სახელმწიფო და სამართლის“ რედაქცია.

**«САХЕЛМЦИПО ДА САМАРТАЛИ» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.**  
Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.  
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,  
Тбилиси, ул Костава, 14.

ფასი 60 კპპ.

ინფორმაცია 76185

